საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებები მიიღება 3 ს-დე.
[illegible] ტელეფ. 5—48, სტამბის ტელ. 13—80.

სამშაბათი, 15 დეკემბერი 1925წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 288 (1443)

დღიური

— ინგლისის ნახშირის მრეწველებს მიეცათ „დახმარების" სახით 9 მილიონი სტერლინგი.
— ავსტრიაში უმუშევრობა ფართო-ხასიათს ღებს.
— ჩეხო-სლოვაკიაში კოალი[illegible]
— პორტუგალიაში აირჩიეს ახალი პრეზიდენტი.
— მოსულის საკითხი ძლიერ გამწვავდა.
— დრუზები ემზადებიან დამასკის დასაკავებლად.
— სახალხო არმიები ტიან-ცზინის ახლო შეტევას განაგრძობენ.

ისევ მთლიანობის შესახებ

დღეს მკითხველი გაეცნობა ბერლინში შემდგარ ინგლის-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტის თათბირის შედეგებს. თათბირის მიზანი იყო თავის პოზიციის გამოაშკარავება ამსტერდამის გაერთიანების აღმასკომის უკანასკნელი სესიის გადაწყვეტილების მიმართ საბჭოთა პროფკავშირებთან დამოკიდებულების და საერთოდ მთლიანობის საკითხის შესახებ.

როგორც ვიცით, ამ სესიამ ხმების უმრავლესობით (14 ხმით 7-ის წინააღმდეგ) უარყო ყოველგვარი წინასწარი პირობების გარეშე ამსტერდამის ინტერნაციონალის და ჩვენი პროფკავშირების წარმომადგენელთა გაერთიანების კონფერენციის მოწვევა. ამსტერდამის გაერთიანების მემარჯვენე ხელმძღვანელებმა განაცხადეს: კონფერენციას მოვიწვევთ, თუ საბჭოთა პროფკავშირები დასთანხმდებიან ჩვენს ინტერნაციონალში შესვლაზე უკანასკნელის წესდების საფუძველზეო. ასეთ შემთხვევაში არც კონფერენცია იქნებოდა საჭირო, ჩვენ განვაცხადებდით ამსტერდამის ინტერნაციონალისადმი შეერთების სურვილს და საქმე ამით გათავდებოდა.

ნამდვილად კი საკითხი სულ სხვანაირად დგას. ლაპარაკია არა ჩვენ შესვლაზე ამსტერდამის ინტერნაციონალში და მისი წესდებისათვის დაქვემდებარებაზე, არამედ ისეთი მთლიანი მსოფლიო ორგანიზაციის შექმნაზე, რომელიც მართლა იბრძოლებდა მუშათა კლასის ინტერესებისათვის. ამსტერდამის ინტერნაციონალი არც თეორიულად, მით უფრო პრაქტიკულად არ დგას პროლეტარიატის კლასობრივ თვალსაზრისზე, არამედ აწარმოებს ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის პოლიტიკას, რაც არსებითად ნიშნავს კაპიტალისტური რეჟიმის განმტკიცებისათვის ხელის შეწყობას.

ამსტერდამის ბიუროკრატები ცდილობენ საბჭოთა პროფმოძრაობა დაუქვემდებარონ თავის გავლენას და ხელი აგვაღებინონ ბრძოლის რევოლიუციონურ მეთოდებზე. ამისათვის იჩენენ „სოლიდარობას" და [illegible] ოჯახში. გაზ. „ფორვერტს" აცხადებს: საბჭოთა პროფკავშირებისათვის „ამსტერდამის კარები ფართოდაა გაღებული". გმადლობთ ასეთი „სტუმართმოყვარეობისათვის"! ჩვენ კარგათ ვიცით ამ მოპატიჟების იდუმალი სარჩული და მიზანი.—შეხედეთ, ჩვენ მოწადინებული ვართ საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობა აღვადგინოთ, მაგრამ საბჭოთა კავშირები ხელს გვიშლიან,—აი რას ამბობენ მთლიანობის ნამდვილი მტრები. ამით სურთ ჩამორჩენილი მასსები შეცდომაში შეიყვანონ, თავისი მოღალატეობა დაფარონ და ყველა „მომაკვდინებელი ცოდვები" ჩვენ წამოგვკიდონ ზურგზე.

აქ პროფესიული ხაზით დაახლოვებით მეორდება ის კომედია, რომელსაც ადგილი აქვს ერთა ლიგის საკითხში. ბურჟუაზიული სახელმწიფოები ამ ბოლო დროს დიდ გულმოდგინეობას იჩენენ, რომ საბჭოთა კავშირი „გააბედნიერონ" და ლიგის წევრი გახადონ. ამ კამპანიის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი უარის თქმა ლიგაში შესვლაზე გამოიყენონ საგიტაციოთ ჩვენს წინააღმდეგ,—საბჭოთა მთავრობა თითქო იმპერიალისტურ ზრახვებს ატარებდეს და ამიტომ არ სცნობდეს ასეთ „მშვიდობიანობის დამცველ" დაწესებულებას, როგორიცაა ერთა ლიგა.

ამ რიგათ, აქ ხდება ერთგვარი შრომის განაწილება ჩემბერლენებსა და უდეგესტებს შორის.

მაგრამ მათი დემაგოგია არ სჭრის და მშრომელი მასსები თანდათან ერკვევიან როგორც ერთა ლიგის ჭეშმარიტ ბუნებაში, ისე ჟუო-უდეგესტ-ტომასების მიზნებში. კერძოდ რაც შეეხება ჩვენს დამოკიდებულებას პროფმოძრაობის მთლიანობის საკითხისადმი, ეს იმთავითვე გამორკვეულია. ჩვენ მოვითხოვთ გაერთიანებულ კონფერენციის მოწვევას ყოველგვარი წინასწარი პირობის გარეშე. ამ კონფერენციაზე წამოვაყენებთ ჩვენს შეხედულებებს პროფმოძრაობის ამოცანების, მისი მთლიანობის განხორციელების ფორმების შესახებ.

შეიძლება აქ ჩვენმა თვალსაზრისმა ვერ გაიმარჯვოს. ამ შემთხვევაში დავემორჩილებით უმრავლესობის გადაწყვეტილებებს, ერთიან ორგანიზაციაში იდეიურ ბრძოლის უფლების შენარჩუნებით! აბა რა უნდა ჰქონდეთ ამის საწინააღმდეგო ამსტერდამის მეთაურებს.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ისინი შიშობენ, ვაი თუ კონფერენციაზე უმრავლესობა საბჭოთა კავშირებს მიემხროსო. ყოველ შემთხვევაში ჩვენ მაშინ კონფერენციაზე საშუალება მოგვეცემოდა მსოფლიო მუშათა კლასის წინაშე საჯაროთ გამოგვეაშკარავებია, თუ ვინ არის მისი ინტერესების დამცველი და ვინ მოღალატე. ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცემოდა გადაგვეშალა პროლეტარიატის განთავისუფლების საშუალებები და გზები. აბა ასეთ კონფერენციის მოწვევას როგორ შეურიგდებიან ამსტერდამელები. ისინი თავისი გამცემლობის და შინაგანი უძლურების მისაჩქმალავად ებღაუჭებიან ამსტერდამის ინტერნაციონალის წესდებას და ჩვენგან უსიტყვო მორჩილებას მოითხოვენ. მაგრამ უდავოა, რომ ეს ვაჟბატონები ვერ შესძლებენ მთლიანობის იდეის დამარხვას, ვერ მოახერხებენ ჩაშალონ მუშათა ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნა, რომელიც მიზნათ დაისახავს რევოლიუციონურ ბრძოლას პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის კაპიტალის უღლისაგან.

ამას მოწმობს ინგლის-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტის თათბირის დადგენილება. თათბირმა გაკიცხა ლონდონის კონფერენციის (ამსტერდამის გაერთიანების აღმასკომის სესიის) საბოტაჟი მთლიანობის საქმისადმი. მან სამართლიანად გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ ამ კონფერენციის გადაწყვეტილება სრულებით არ გამოხატავს მსოფლიო პროლეტარულ მასსების სურვილს და აზრს, რაც სჩანს, იქიდან, რომ სხვადასხვა ქვეყნის პროფორგანიზაციები ილტვიან საბჭოთა პროფკავშირებთან დაახლოვებისაკენ. თვით თათბირის დროს კომიტეტმა მიიღო მისალმებები ნორვეგიის და ფინეთის პროფკავშირებისაგან, რომელნიც აღუთქვამენ მას [illegible] ცით ის უდიდესი ნაბიჯი, რომელიც გადადგმულია ინგლისის და ჩვენი პროფკავშირების გასაერთიანებლად და რომლის ორგანიზაციული გამოხატულებაა ინგლის-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტი. მუშათა მასსებში ყველა ქვეყანაში ფართო მოძრაობა წარმოებს მთლიანობის სასარგებლოდ. ასეთ პირობებში კომიტეტს საშუალება ეძლევა გააძლიეროს თავისი მუშაობა ამ მიმართულებით, წინააღმდეგ ამსტერდამის მემარჯვენე ფრთის ხრიკებისა. რაკი ეს უკანასკნელი უარს აცხადებს კონფერენციის მოწვევაზე, მთლიანობის კომიტეტს სხვა გზა არ დარჩენია, თუ არ უდეგესტების განზე დატოვება და არ საერთაშორისო კონფერენციის თვითონ მოწვევა. ეს აზრი კიდეც მიიღო კომიტეტის თათბირმა. ეს ღირსეული პასუხია მთლიანობის მტრებისათვის.

„ფორვერტს" სწერს: „ინგლისელი ამხანაგები აწარმოებენ ორმაგ ულამაზო თამაშსო". ჩვენ შევნიშნავთ, რომ ორმაგი ბუხჰალტერიის თამაში ეს „ფორვერტს"-ის ხელობაა. გაზეთი შემდეგ „წინასწარმეტყველებს", თუ ინგლის-საბჭოთა კომიტეტი, ამსტერდამის გაერთიანების ბიუროს წინააღმდეგ, მოიწვევს საერთაშორისო კონფერენციას პროფმოძრაობის მთლიანობის აღსადგენათ, ინგლისელ პროფკავშირებს იმედის სასტიკი გაცრუება მოელისო, იმედის ჩაფერფვლა მართლა მოელის ვიღაცას, მაგრამ არა ინგლისის ტრედ-იუნიონებს. იმედი გაუცრუვდებათ სწორედ „ფორვერტს"-ს და მთლიანობის ყველა მოწინააღმდეგეებს, ვინაიდან მომავალი კონფერენცია უეჭველად გამოიღებს დიდ ნაყოფს მსოფლიო პროფმოძრაობის აღდგენის საქმეში.

ბრძოლა პროფმოძრაობისათვის ახალ ნიადაგზე დგება. ამსტერდამის მეთაურთა მემარჯვენე ფრთასთან მოლაპარაკება ამ საკითხის შესახებ უშედეგო გამოდგა. უდეგესტები გამოუსწორებელი აღმოჩნდენ. მთლიანობა აღდგენილი იქნება მათზე გადაბიჯებით, მათი გარიყვის გზით.

ამხ. ჩიჩერინი ჩავიდა პარიზში

განკეტი ამხ. ჩიჩერინის პატივსაცემად საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში

ამხ. რაკოვსკიმ რწმუნების სიგელი გადასცა საფრანგეთის პრეზიდენტს

გერმანიის რეიხსტაგმა დაამტკიცა სავაჭრო ხელშეკრულება საბჭ. კავშირთან

სენატორმა ბორამ შეიტანა ამერიკის სენატში რეზოლიუცია საბჭ. კავშირის ცნობის შესახებ

ამერიკის სასამართლომ უარი უთხრა რუს თეთრ-გვარდიელებს მათ სასარგებლოთ საბჭოთა მთავრობის ქონების კონფისკაციაზე

საფრანგეთ-საბჭ. კავშირის ურთიერთობა

პარიზი, 11 დეკემბ. 10 დეკემბერს პარიზში ჩამოვიდა ჩიჩერინი.

ჩიჩერინის პატივსაცემად.

პარიზი, 11 დეკემბ. ბრიანმა გარეშე საქმეთა სამინისტროში ჩიჩერინის საპატივცემლოდ გამართა ნადიმი, რომელსაც დაესწრენ რაკოვსკი, ერრიო, რუსეთის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ბერტელლო, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ექსპერტები და სხვ.

რაკოვსკი დუმერგთან.

პარიზი, 11 დეკემბ. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთის პრეზიდენტმა დუმერგმა მიიღო საბჭოთა კავშირის ელჩი რაკოვსკი, რომელმაც გადასცა მას მთავარი რწმუნების სიგელი.

რწმუნების სიგელის ჩაბარების დროს რაკოვსკიმ და დუმერგმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

საფრანგეთის პრესა რიკოვის განცხადების შესახებ.

პარიზი, 11 დეკემბერი. ფრანგულ გაზეთებს შორის მხოლოდ „იუმანიტე"-მ გამოაქვეყნა სრული ტექსტი რიკოვის განცხადებისა მოსკოვის კონფერენციაზე საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ. დანარჩენმა გაზეთებმა გამოსტოვეს განცხადების ის ნაწილი, სადაც ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირი სცდილობს ხელი შეუწყოს საყოველთაო გაერთიანებას.

საუბარი რაკოვსკისთან

პარიზი, 11 დეკ. პარიზის გაზეთების უმრავლესობა ბეჭდავს რაკოვსკისთან საუბარს.

„პტი-პარი[illegible] ნელს რაკოვსკიმ განუცხადა, რომ საკითხი ვალების შესახებ უკვე აღარ არის მხოლოდ წმინდა ფინანსიური ამოცანა, რადგან ომმა, რევოლიუციამ და ინტერვენციამ ის გადააქცია პოლიტიკურ, ეკონომიურ და ფსიქოლოგიურ პრობლემად. ვალების საკითხის გადაჭრა შეუძლებელია თუ მხედველობაში არ იქნება მიღებული ის ცვლილებები, რომელიც მასში უნდა შეეტანა თვით მეფის მთავრობასაც, უკანასკნელი რომ ხელისუფლების სათავეში დარჩენილიყო; ერთ-ერთი ასეთი ცვლილება გამომდინარეობს საფრანგეთის რენტის კურსის დაცემიდან. საჭიროა აგრეთვე მხედველობაში მიღებულ იქნეს ის ფსიხოლოგია, რომელიც შეიქმნა საბჭოთა კავშირის მუშებში და გლეხებში უკანასკნელ ამბების ზეგავლენით.

ამიტომ საკითხი ვალების შესახებ სავსებით დამოკიდებულია გრძელვადიან კრედიტის საკითხისაგან.

„ვოლონტეს" წარმომადგენელს რაკოვსკიმ განუცხადა, რომ საბჭოთა კავშირი მზადაა მიიღოს მონაწილეობა ყველა საერთაშორისო კონფერენციებზე განიარაღების შესახებ, რომელიც ისახავს განსაზღვრულ მიზნებს, რაიც შეესაბამება მის ინტერესებს.

რაკოვსკიმ ყველა საუბრებში აღნიშნა, რომ საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობა დამაკმაყოფილებელ ხასიათს იღებს.

„ტან" საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ.

პარიზი, 11 დეკემბ. გაზ. „ტანი-"ს აზრით დუმერგის და რაკოვსკის სიტყვები მოწმობენ იმას, რომ ორივე მხარეს გადაწყვეტილი აქვთ მიაღწიონ საფრანგეთ საბჭოთა კავშირის ურთი-ერთობის საკითხის დამაკმაყოფილებლად გადაჭრას.

ზოგიერთი ნიშნების მიხედვით, სწერს „ტანი", საბჭოთა ხელისუფლება გრძნობს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან შემარიგებელ პო[illegible] მამტკიცებელია ჩიჩერინის მოგზაურობა ვარშავაში, ბერლინში და პარიზში".

ეხება რა საუბარს რაკოვსკისთან, „ტანი" აცხადებს, რომ ვალების საკითხის გადაჭრა შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცნობილ იქნება რუსეთის წინანდელი ვალდებულებანი და მოწესრიგდება ეს საკითხი ახალი კრედიტის მიღებისგან დამოუკიდებლად. თუ საკითხი სხვანაირად დაისმება, გაზეთის აზრით, შესაძლოა მოლაპარაკება უშედეგოთ დამთავრდეს.

ეხება რა ერთა ლიგის და საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებას „ტანი" აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირმა უნდა გამოარკვიოს თავისი პოზიცია ევროპის მიმართ და სთქვას სურს თუ არა მას ჩვენთან დაახლოება.

საბჭოთა წარმომადგენლობის პროტესტი

პრაგა, 11 დეკ. პრაგის ქალაქის საბჭომ შეისყიდა ვექილ ჩერნოვისაგან, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა მეფის ყოფილი ქონება, ერთი ნაჭერი მიწა, რომელიც ეკუთვნოდა მეფის საკონსულოს პრაგაში და, მაშასადამე, წარმოადგენს საბჭოთა კავშირის საკუთრებას.

საბჭოთა სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა პრაგაში გარეშე საქმეთა მინისტრს განუცხადა სასტიკი პროტესტი საბჭოთა კავშირის ქონების გაყიდვის გამო.

დამოკიდებულება გერმანიასთან

გერმანია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულება დამტკიცებულია.

ბერლინი, 11 დეკ. რეიხსტაგმა მეორე წაკითხვის შემდეგ ხმის დიდი უმრავლესობით დაამტკიცა სავაჭრო ხელშეკრულება გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის

ურთიერთობა ამერიკასთან

ბორას რეზოლიუცია საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.

ვაშინგტონი, 11 დეკ. სენატთან არსებული გარეშე საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **სენატორმა ბორამ 10 დეკემბერს შეიტანა სენატში რეზოლიუცია შეერთებული შტატების მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.**

ამერიკელი ფინანსისტი საბჭოთა კავშირის შესახებ

ნიუ-იორკი, 12 დეკ. ნიუ-იორკში შესდგა ბანკეტი, რომელიც გამართა „ჩეზნეი-შელბენკის" ვიცე-თავმჯდომარემ შლეიმ. ბანკეტს დაესწრენ საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციების და შეერთებული შტატების უდიდესი ფინანსიური და სამრეწველო კონცერნების წარმომადგენლები.

ბანკეტის თავმჯდომარემ შლეიმ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მან ხაზი გაუსვა საბჭოთა კავშირის ეკონომიურ განვითარებას. უამბო დამსწრეთ საბჭოთა კავშირში თავისი მოგზაურობის შესახებ გასულ ზაფხულს და აღნიშნა, რომ მასზე მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ წესრიგმა, რომელიც საბჭოთა კავშირში სუფევს.

ამერიკა-საბჭოთა სავაჭრო კომიტეტის თავმჯდომარე ზივმა აღნიშნა ვაჭრობის განვითარება საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების შორის და მიუთითა იმაზე, რომ მომავალში შესაძლებელია ამ ვაჭრობის კიდევ უფრო განვითარება.

ორატორების სიტყვები გულმოდგინეთ მოისმინეს ბანკეტზე დამ[illegible] შეერთებული შტატების უმაღლეს ფინანსიურ და სამრეწველო წრეებს (მორგანის ბანკს).

თეთრგვარდიელებს იმედი გაუცრუვდათ

ნიუ-იორკი, 10 დეკემბ. 3 რუსი ემიგრანტი ცდილობს აანაზღაუროს 45 მილიონი დოლარი საბჭოთა მთავრობის მიერ 1919 წელს მათი ქონების ნაციონალიზაციისათვის. ამ ემიგრანტების ადვოკატი ამასწინად სცდილობდა ყადაღა დაედო ნიუ-იორკის ბანკებში შენახულ საბჭოთა ფონდებისათვის.

რადგან ამ ბანკებში არ აღმოჩნდა საბჭოთა მთავრობის ფონდები, ადვოკატი შეეცადა ყადაღა დაედო საფეიქრო სინდიკატის, „ამტორგის" და სხვა სავაჭრო ორგანიზაციების ფონდებისათვის.

მიუხედავათ ამისა **ნიუ-იორკის** ბანკები განაგრძობენ ნორმალურ ოპერაციებს აღნიშნულ დაწესებულებებთან. ამერიკელი იურისტები აღნიშნავენ, რომ თეთრგვარდიელების ცდას არავითარი შედეგები არ მოჰყვება.

ნიუ-იორკი, 11 დეკემბერი. შეერთებულ შტატებში საბჭოთა დაწესებულებების რწმუნებულის შუამდგომლობით სასამართლომ უარყო სარჩელი, რომელიც სამმა რუსმა ემიგრანტმა ქალმა საბჭოთა მთავრობის მიერ მათი ქონების ნაციონალიზაციის გამო მიყენე[illegible] ამ გადაწყვეტილების მიხედვით ავტომატიურად ისპობა ამერიკაში საბჭოთა და სამეურნეო დაწესებულებების კაპიტალებზე ყადაღის დადების ყოველგვარი შესაძლებლობა.

შეთანხმება ლატვიასა და ესტონეთთან

მოსკოვი, 12 დეკ. საბჭოთა კავშირის, ლატვიის და ესტონეთის წარმომადგენელთა კონფერენციაზე მიღწეულ იქნა მთელი რიგი შეთანხმებანი. ლატვიის დელეგაციის მეთაურმა დუმპისმა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ კონფერენციაზე მიღებულია სამგზავრო მატარებლების ახალი მარშრუტი მოსკოვი-რიგა, სმოლენსკში და ვიტებსკში გავლით-პირდაპირი მიმოსვლა მგზავრებისათვის. ახალი მარშრუტი, რომელიც შემოღებული იქნება 1926 წლ. 15 მაისიდან, ამცირებს მატარებლის მიმოსვლას 27 საათით. კონფერენცია ჩატარდა წარმატებით მონაწილე ქვეყნების მიერ ურთიერთ ეკონომიურ ინტერესების გაგების წყალობით. პირდაპირი სარკინისგზო მიმოსვლა საბჭოთა კავშირსა, ლატვიასა, ესტონეთსა და ლიტვას შორის, ეჭვს გარეშეა, ხელს შეუწყობს ამ ქვეყნებს შორის ეკონომიურ კავშირის განვითარებას

სავაჭრო წარმომადგენელი იაპონიაში

მოსკოვი, 12 დეკ. იაპონიაში საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლად დანიშნული იანსენი გაემგზავრა ტოკიოში.

ფინეთის ეკონომიური დელეგაცია

მოსკოვი, 12 დეკ. საბჭოთა კომისიასთან მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ, ფინეთის ეკონომიური დელეგაცია გაემგზავრა ფინეთში.

უკანასკნელი ცნობები

ერთა ლიგა და შეიარაღების შემცირება

პარიზი, 13 დეკ. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ ერთა ლიგამ ცნობათ მიიღო ბენეშის მოხსენება შეიარაღების შემცირების შესახებ. მოხსენება ითვალისწინებს ერთა ლიგასთან განსაკუთრებულ ორგანოს დაარსებას, რომელიც განიარაღების საკითხზე იმუშავებს. ერთა ლიგა ამ კომისიაში მოიწვევს მონაწილეობის მისაღებათ გერმანიას, შეერთებულ შტატებს და საბჭოთა კავშირს.

მოქმედების ცეკას მოწოდება

პარიზი, 13 დეკემბერი. მოქმედების ცენტრალურ კომიტეტმა მოწოდებით მიმართა საფრანგეთის მშრომელთ იბრძოლონ კაპიტალის წინააღმდეგ: მუშათა კონტროლისთვის ბურჟუაზიაზე, რომელიც გაურბის გადასახადებს; საკავშირთაშორისო ვალების გაუქმებისთვის; ხელფასის ოქროს ანგარიშზე გადაყვანისთვის; 8 საათის სამუშაო დღისთვის; მაროკოსთან და სირიასთან დაუყოვნებლივ ზავისთვის; ფაშისტურ ორგანიზაციების დაშლისა და პოლიტიკურ ტუსაღების განთავისუფლებისათვის.

სამშვიდობო პირობები

პარიზი, 13 დეკ. „მატენ" ადასტურებს ხმებს, რომ აბდ-ელ-ქერიმმა საფრანგეთის და ესპანეთის მთავრობები შემდეგი სამშვიდობო პირობებს აცნობა: რიფის ოლქებისთვის ადმინისტრატიული ავტონომიის მინიჭება; რიფები სცნობენ მაროკოს სულთანის რელიგიურ სუვერენიტეტს; რიფებს უფლება აქვთ საკუთარი ჯარი იყოლიონ; ვაჭრობის თავისუფლების განხორციელება; აბდ-ელ-ქერიმს მიეცეს ემირის ტიტული და ქალაქი ტეტუანი როგორც სატახტო ქალაქი; ესპანეთს დარჩეს მელილის, ჰეუტის და ლარანის ოლქები. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ეს პირობები უახლოვდება პენლევეს მიერ წამოყენებულ პირობებს.

ინგლისი და ოსმალეთი

[illegible] ლისი მოსულის საკითხში უშედეგოთ დამთავრდა, რადგან ოსმალეთის დელეგაცია არ გამოცხადდა იმ კომისიაში, სადაც ეს საკითხი იყო გადაცემული.

ეჭვს გარეშეა, რომ ხალხთა ლიგა მომავალ კვირაში გამოიტანს გადაწყვეტილებას მოსულის ვილაიეტის ირაკზე გადაცემის შესახებ.

ხალხთა ლიგაზე დაახლოვებულ წრეებში ამბობენ, რომ მოსულის ვილაიეტის საზღვრებზე ოსმალეთმა 50,000 ჯარს მოუყარა თავიო; ინგლისს კი მხოლოდ 6000 კაცი ყავს ირაკის ჯარი კი, რომლის ერთგულება ინგლისისადმი ძლიერ საეჭვოა, 25,000 კაციდან შესდგება.

საბჭოთა კავშირი და სამხრეთ-სლავია

ვენა, 13 დეკ. სამხრეთ-სლავიის გაზეთების ცნობით ბელგრადის დიპლომატიური წრეები იხილავენ საკითხს საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ. ამბობენ, რომ სამხრეთ-სლავია ამ საკითხში მცირე ანტანტასთან შეთანხმებით იმოქმედებს.

პირნათლად ასრულებენ.

ლონდონი, 13 დეკ. გაზეთი „მანჩესტერ გარდიენ" აღნიშნავს სავაჭრო დამოკიდებულობის გაცხოველებას საბჭოთა კავშირსა და ბრედფორდის (იოკშირის საფეიქრო ცენტრი) შორის:

„გაზეთი სწერს: საბჭოთა კავშირს უნდა გრძელვადიანი სესხი. უკანასკნელი წლის გამოცდილებამ დაგვანახა, რომ საბჭოთა ფაბრიკანტები დადებულ ხელშეკრულობას პირნათლათ ასრულებენ".

მედინის აღება.

ლონდონი, 13 დეკ. სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ვახაბიტების ბელადმა აიღო მედინა.

„დეილი ტელეგრაფის" დიპლომატიური კორესპონდენტის ცნობით თურქებსა და საბჭოთა აგენტებს ჰგონიათ, რომ იბნ-საუდმა გეჯასი [illegible]

მდგომარეობა გერმანიაში

კომპარტიის მოთხოვნილება

ბერლინი, 14 დეკ. გერმანიის კომპარტია მოითხოვს, რათა გერმანიის ყოფილ მესაკუთრეთათვის იმ ქონების ანაზღაურების საკითხი, რომელიც გადავიდა სახელმწიფოს ხელში, გადაჭრილი იქნას საყოველთაო კენჭის ყრით. ამ მოთხოვნილებას მხარს უჭერენ სოციალ-დემოკრატი მუშებიც. ბევრმა ორგანიზაციებმა, რომლებიც შედიან სრულიათ გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანებაში, მათ შორის ადგილობრივ ორგანიზაციების კონფერენციებმა ჰესენში, ჰესენ-ნასაუში და ვალდეკში, დელიჩის პროფკავშირთა გაერთიანებულმა სხდომებმა, ესსენის, გელზენკირხენის და სხვ. მეტალისტთა პროფკავშირებმა ერთხმათ მიიღეს სათანადო რეზოლიუციები.

დიდი კოალიცია

ბერლინი, 11 დეკ. გუშინ გაიხსნა სოციალ-დემოკრატ. პარტიის რეიხსტაგის ფრაქციის თათბირი მომავალ მთავრობის საკითხის განსახილველად. არ არსებობს პრინციპიალური უთანხმოება დიდი კოალიციის შედგენის საკითხში. კოალიციაში შევლენ ყველა პარტიები დაწყებული სოციალ-დემოკრატებიდან და გათავებული სოციალ-დემოკრატებიდან. და გათავებული სახალხო პარტიით, მაგრამ სოციალ-დემოკრატებიც და სახალხო პარტიაც იცავენ თავიანთ ძველ შეხედულებას მთავრობაში დემოკრატების მონაწილეობის შესახებ. სახალხო პარტია სცდილობს დაუშვას მთავრობაში ნაციონალისტები, რათა საშუალება ექნეს მას განაგრძოს რეაქციონული პოლიტიკა.

კრიზისი ინგლისში

ინგლისის ბანკის ოქროს მარაგი მცირდება

ლონდონი, 11 დეკემბ. მიუხედავად სანგარიშო პროცენტების გადიდებისა, ინგლისის ბანკის ოქროს მარაგი ერთი კვირის განმავლობაში შემცირდა 684,000 გირ. სტერლინგით.

ეხლახან გამოქვეყნებული ცნობებით—ნოემბრის განმავლობაში იმპორტს გადაუჭარბებია ექსპორტისთვის 6 მილ. გირ. სტერლინგით. ნოემბრის ექსპორტი კი ოქტომბრისაზე უფრო მცირეა 6 მილ. მეტი გირ. სტერლინგით.

დახმარება „გაჭირვებულ" მრეწველებს

ლონდონი, 11 დეკემბ. თემთა პალატამ მიიღო მთავრობის მიერ შემუშავებული დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა 9 მილ. გირ. სტერლინგის რაოდენობით—ნახშირის მრეწველობის დასახმარებლად.

ახალი მთავრობა ჩეხოსლოვაკიაში

პრაგა, 10 დეკ. ჩეხო-სლოვაკიაში მთავრობის კრიზისი დამთავრდა ახალი კაბინეტის შედგენით. ყოფილ მინისტრებიდან პორტფელებს ინარჩუნებენ: აგრარიების პარტიიდან—შვეგლა—პრემიერი, ნაციონალ-სოციალისტების მომხრე—ბენეში—გარეშე საქმეთა მინისტრი, აგრარიების პარტიის წევრი—**ხოდჟა**—მიწათმოქმედების მინისტრი, უპარტიო „საქმიანი" მინისტრი—კალლაი—სლოვაკიის საქმეთა მინისტრი. სოციალ-დემოკრატმა **ვინცერმა** გარდა სოციალურ უზრუნველყოფის მინისტრის პორტფელისა მიიღო კანონმდებლობის გაერთიანების მინისტრის პორტფელიც.

მთავრობის კოალიციაში შედიან შემდეგი პარტიები: აგრარიები, ნაციონალ-დემოკრატები, ხალხოსნური პარტია, კლერიკალები, ნაციონალ-სოციალისტები და სოციალ-დემოკრატები.

ფინეთის მთავრობის გადადგომა

ჰელსინგფორსი, 11 დეკ. გადადგა ფინეთის მთავრობა. გადადგომა გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ სეიმმა არ დაამტკიცა კრედიტები ფლოტის ასაგებად.

მთავრობის კრიზისი ესტონეთში

რეველი, 10 დეკ. გაზეთების ცნობით, ესტონეთის ახალმა პრემიერმა დუბანტმა მიწათმოქმედების მინისტრის პორტფელი შესთავაზა გარეშე საქმეთა მინისტრს ბირკს, რომელიც წინად იყო დანიშნული ესტონეთის ელჩად მოსკოვში. ბირკმა უარი განაცხადა.

როგორც სჩანს, ბირკი კვლავ იქნება დანიშნული მოსკოვში.

პორტუგალიის პრეზიდენტის გადადგომა.

პარიზი, 11 დეკ. გადადგა პორტუგალიის პრეზიდენტი.

ახალი პრეზიდენტი.

პარიზი, 13 დეკ. პორტუგალიის პარლამენტმა პრეზიდენტად აირჩია ბერნარდინ მაშადო.

სახალხო ჯანმრთელობის საკითხები

(სოფლის ექიმთა სრულიად საკავშირო ყრილობის გამო)

რევოლიუციას, გარდა თოფ-ზარბაზნით დარაზმულ კაპიტალისტურ ძალებისა ჰყავს, ბევრი უიარაღო და უხილავი მტერი, რომლის წინააღმდეგაც ფუჭია საომარ ტეხნიკის ყველა დღევანდელი მიღწევანი. ეს მტერია მრავალი სახის სოციალური სნეულებანი, რომლებიც მემკვიდრეობით დაგვიტოვა ჩვენ ძველმა, მონობა-ჩაგვრაზე აგებულ ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ და მისგან გამოწვეულ სილატაკემ, სიბინძურემ, უკულტურობამ.

ამიტომ ბრძოლა ხალხის ჯანმრთელობისათვის არის არა მარტო სადღეისო ამოცანა, რომელიც მიზნათ ისახავს მოსახლეობის სხვადასხვა ფიზიკურ სნეულებისაგან დაცვას და განკურნებას, არამედ ის უაღრესი მნიშვნელობის ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის ამოცანაა, რომელსაც, თავისთავად გასაგებ მიზეზების გამო, საბჭოთა ხელისუფლება გულგრილად ვერ მოეკიდება. მშრომელთა მედიცინა—ჩვენ გვესმის არა როგორც „ქრისტიანული კაცთმოყვარეობა" ან საკუთარი თავის მოარულ სნეულებებიდან უზრუნველყოფა, როგორც ეს ბურჟუაზიას სჩვევია, საბჭოთა მედიცინის საკითხები მჭიდროთაა დაკავშირებული ჩვენს სამეურნეო ზრდასთან როგორც სოფლად, ისე ქალაქად, მისი დანიშნულებაა აგრეთვე მომავალი ჯანმრთელი თაობებისათვის ზრუნვა, რომელმაც უნდა განაგრძოს ოქტომბრის თაობის მიერ დაწყებული საქმე.

ამიტომაა, რომ სოფლის ექიმს, სახალხო მასწავლებელთან და აგრონომთან ერთად, ჩვენ ვუყურებთ არა მარტო როგორც თავის პროფესიის ხალხს, არა როგორც მოხელეებს, არამედ როგორც ძირითად კულტურულ ძალებს და, როგორც საზოგადოებრივ მუშაკებს, რომელნიც ებრძვიან მშრომელი ხალხის ყველაზე უფრო საშიშარ მტერს: კულტურულ ჩამორჩენილებას, ფიზიკურ დაავადებას და ეკონომიურ სიღარიბეს. სრულიად შემთხვევითი არ ყოფილა ის მოვლენა. რომ, როგორც ეს საბჭოთა კავშირის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ციურიუპამ განაცხადა სოფლის ექიმთა სრულიად საკავშირო ყრილობაზე, სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის დროს, ყველაზე მეტი ყურადღება მიექცა სახალხო ჯანმრთელობის და განათლების საქმეს.

„არც ერთ უწყებისათვის არ გაგვიდიდებია ჩვენ ხარჯები ისე, როგორც ეს მოხდა სახალხო ჯანმრთელობის და განათლების დარგში, სთქვა მან, სახალხო მეურნეობის დარგისათვისაც კი, რომელსაც ასეთი მზრუნველობით ეკიდება ხელისუფლება, ჩვენ ასეთი მომატება არ მიგვიცია". ცხადია, ეს მომატება შესაძლებელი გახდა ჩვენი საერთო სამეურნეო ზრდა-განვითარების ნიადაგზე. მომავალში ის კიდევ უფრო იქნება გადიდებული და ეს აუცილებელიც არის. მატერიალური წყაროების გადიდება პირველი პირობაა სახალხო ჯანმრთელობის ჯეროვან სიმაღლეზე დასაყენებლად.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენში? დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სახალხო მედიცინა და კერძოთ სოფლის ექიმობის დღევანდელი ფაქტიური მდგომარეობა, გაცილებით შორსაა იმ პირობებიდან, რომლისთვისაც ჩვენ შეგვეძლო დამაკმაყოფილებელი გვეწოდებია. საექიმო პუნქტების ქსელი ზოგიერთ მაზრაში ერთი მეათედითაც ვერ ფარავს მოთხოვნილებას. და, სადაც არსებობს ასეთები, არც იქაა ყველაფერი რიგზე.

ბინის, მედიკამენტების, ტრანსპორტის საშუალების უქონლობა, რამდენიმე თვეობით უჯამაგიროთ ყოფნა, ასეთია საერთო და თითქმის საყოველთაო პირობები, რომელშიაც უხდება მუშაობა სოფლის ექიმს. უმრავლესობა სოფლის საექიმო მუშაკებისა ურიგდება ამ პირობებს და თავდადებით განაგრძობს შრომას. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ექიმები სტოვებენ სოფელს და ქალაქებს აფარებენ თავს, სადაც ზოგჯერ სულ სხვა პროფესიას კიდებენ ხელს და უფრო „სარფიან" საქმეს ეძებენ. მეორე მხრივ ქალაქში მყოფი ექიმები გაურბიან სოფელში სამუშაოთ წასვლას.

გარდა იმისა, რომ ეს ხელს უწყობს სოფლად ექიმბაშობის განვითარებას, იქმნება ისეთი მდგომარეობაც, როცა სოფელს ეპატრონებიან უვიცი და საექიმო დარგში სათანადო ცოდნა-გამოცდილებას მოკლებული პირები, რომლებიც განკურნების ნაცვლათ წუთი-სოფელს ასალმებენ ავადმყოფებს.

ამას წინათ რაჭიდან ერთი კორესპონდენტი იტყობინებოდა, რომ ს. ქვემო შარვაში ვინმე კვიკვიძემ, რომელიც თავის თავს ფერშალს უწოდებს, საკუთარი პასუხისმგებლობით გაუკეთა ოპერაცია ორ მსუბუქათ დაშავებულ პირს და ორთავე „საიქიოს" გაისტუმრა. რამდენიმე ხნის წინათ თელავიდან იწერებოდენ, რომ აღრიცხვაზე აიყვანეს ასი ექიმბაში და ხელწერილი ჩამოართვეს, რომ მკითხაობა-ექიმობისაგან ამ პირთ ხელი აეღოთ.

ცხადია, აქ ჩვენ ხელწერილებით მიზანს ვერ მივაღწევთ. უექიმობა, სასანიტარო-სამკურნალო პუნქტების მოუწყობლობა, ძალაუნებურათ უნერგავს კულტურულათ ჩამორჩენილ მოსახლეობას ნდობას მკითხავის შავ-ტარიან დანისადმი და აგურის ფხვნილით შეფერადებულ „წამლებისადმი". თქმა იმისი, რომ ჩვენი სოფელი არ საჭიროებდეს სისტემატიურ და ხანგრძლივ მკურნალობას, რასაკვირველია, შეუძლებელია.

საქართველოში მთელი რაიონები დაავადებულია ტროპიკული მალარიით, არის მაზრები, სადაც ვენერიული ავათმყოფობა მთელ სოფელშია მოდებული, ჩვენი ხშირი სტუმარია აგრეთვე ადამიანის უსაშინელესი მტერი ჭლექი, ბავშთა სიკვდილიანობა ხომ ჯერაც კიდევ დამაღონებელ სურათს იძლევა. ჩვენ აღარაფერს ვამბობთ მოარულ ავადმყოფობაზე, როგორიცაა სხვადასხვა სახის ტიფი, ყვავილი, ყელჭირვება და სხვები, რომლებიც მუსრს ავლებენ ზოგჯერ მთელ კუთხეებს.

ყველა ამ სნეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის გასაფართოებლათ იმდენათ ცოცხალი ძალა არ გვაკლია, რამდენათაც ნივთიერი შესაძლებლობანი. ამ მხრივ, როგორც ვიცით, ხელისუფლება არავითარ ღონეს არ იშურებს, რომ სახალხო ჯანმრთელობის საქმეს შესაფერი მატერიალური ნიადაგი შეუქმნას. მაგრამ ჯერ-ჯერობით მდგომარეობა ამის სრულ შესაძლებლობას არ გვაძლევს. ის თანხა კი, რომელიც დღეს სახელმწიფოს ღარიბი ჯიბიდან ხმარდება სახალხო ჯანმრთელობას, პირველყოვლისა უნდა გამოყენებულ იქნას უკვე არსებულ საექიმო ქსელის გასაძლიერებლათ და მოსაწესრიგებლათ.

საჭიროა ჯანმრთელობის დარგშიაც მტკიცედ ავიღოთ კურსი ლენინის დევიზის გასატარებლათ: „სჯობს მცირე იყვეს, მაგრამ უკეთესი". ფართე გეგმიანობა, ყველაფრის ერთბაშად ხელის მოხვევა და გატაცება საქმეს უფრო ავნებს, ვიდრე სარგებელს მოუტანს. ჩვენ უკვე კარგა ხანია ფეხი შევდგით პრაქტიკულ აღმშენებლობის ხანაში, საჭიროა ამიტომ ყოველი ნაბიჯი შეფარდებული იქნას ჩვენს რეალურ შესაძლებლობასთან.

რაც შეეხება სახალხო ჯანმრთელობის საქმის შემდეგ გაფართოებას, მთელი ქვეყნის საექიმო ქსელით მოფენას და სოფლის ყოველ-დღიურ მოთხოვნილების სავსებით დაკმაყოფილებას, ეს არც ისე შორეული საქმეა, ჩვენ ამასაც მალე მივაღწევთ, რის უტყუარი თავდებიც არის საბჭოთა რესპუბლიკების შეუჩერებელი ეკონომიური და კულტურული წინსვლა.

ს. ია--ლი

ბრძოლა პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

ბერლინში სწარმოებდა ინგლის-საბჭოთა კომიტეტის თათბირი

„ფორვერტსი“ ილაშქრებს ინგლისის დელეგატების წინააღმდეგ

ინგლის-საბჭოთა კომიტეტის თათბირზე რეზოლიუციები ერთხმად იქნა მიღებული

თათბირმა გამოაქვეყნა დეკლარაცია პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ

ნორვეგიის და ფინეთის პროფკავშირთა მისალმება თათბირისადმი

ერთსულოვანი მუშაობა.

ბერლინი, 11 დეკემბერი. პროფმოძრაობის მთლიანობის ინგლის-საბჭოთა კავშირის კომიტეტის კონფერენცია მეგობრულად ჩატარდა. კონფერენციის მეგობრული ხასიათი კიდევ უფრო გაძლიერა ცნობამ, რომ ინგლისის პროფკავშირების გენერალურ საბჭოს და ამსტერდამის ინტერნაციონალის ბიუროს ლონდონის კონფერენციაზე გამოირკვა შემდეგი: **ამსტერდამის ინტერნაციონალის ბელადები ილაშქრებდენ არა მარტო საბჭოთა პროფმოძრაობის წარმომადგენლების, არამედ აგრეთვე ინგლისის პროფკავშირების გენერალურ საბჭოს იმ წევრების წინააღმდეგაც, რომლებიც გასაკუთრებით იცავდენ პროფმოძრაობის მთლიანობის იდეას.**

„ფორვერტს“-ის წერილი.

ბერლინი, 11 დეკემბერი. დღეს, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ გამოირკვეოდა ინგლის-საბჭოთა კომიტეტის კონფერენციის გადაწყვეტილებები, „ფორვერტს“-მა განაცხადა, რომ „ინგლისელი ამხანაგები აწარმოებენ ორპირიულ ულამაზო თამაშს“.

„ფორვერტს“-ი ეხება რა ინგლის-საბჭოთა კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულ რეზოლიუციას ყოველმხრივ ცდილობს შექმნას შთაბეჭდილება, რომ საყვედური ამსტერდამის ინტერნაციონალისადმი, რომელსაც შეიცავს ეს რეზოლიუცია, უსაფუძვლოა.

„მთლიანობის დამყარებას, სწერს გაზეთი, ხელს უშლიან არა ამსტერდამის ინტერნაციონალის ბელადები, რომლებიც ყოველ შესაძლებლობისთანავე ეხმარებიან რუსეთს; ამას ხელს უშლიან თვით რუსეთის პროფკავშირები, რომელთათვის „ამსტერდამის კარები მუდამ ღიაა“. და თუ, მიუხედავათ იმისა, რომ რუსეთის პროფკავშირები არ იჩენენ პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანებასთან შეერთების სურვილს ინგლის-საბჭოთა კომიტეტი მაინც შეეცდება მის გარეშე და, მაშასადამე, უეჭველად მის წინააღმდეგ მოაწყოს საერთაშორისო თათბირი ვითომ ერთიანი ფრონტის შესაქმნელად, ჩვენ ნებას ვაძლევთ თავის თავს უწინასწარმეტყველოთ ინგლისის პროფკავშირებს, რომ მათ [illegible]

„როტე ფანე“-ს წერილი

ბერლინი, 10 დეკ. „როტე ფანეს“ ცნობით, დამთავრდა ინგლისის და საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა გაერთიანებული კომიტეტის თათბირი ბერლინში.

კომიტეტის მიერ ერთხმად მიღებული რეზოლიუციები, გაზეთის სიტყვით, ამტკიცებენ, რომ პროფმოძრაობის გაერთიანებისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული წინ.

თათბირის დეკლარაცია

ბერლინი. 10 დეკ. ინგლისისა და საბჭოთა კავშირის კომიტეტის კონფერენციამ თავის უკანასკნელ სხდომაზე მიიღო დეკლარაცია, რომელშიაც ნათქვამია:

„ინგლისისა და საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა მთლიანობის კომიტეტმა თავისი სხდომები მოაწყო ბერლინში 8—9 დეკემბერს. დაესწრენ ინგლისის პროფკავშირთა კონგრესის გენერალური საბჭოს წარმომადგენლები: პიუ, სუელსი, ხიქსი, ფინდლეი, პერსელი და სიტრინი; საკავშირო პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს წარმომადგენლები: ტომსკი, მელნიჩანსკი, ლეპსე, უგაროვი, იაგლომი და დოგადოვი.

თათბირის მთავარ საგანს წარმოადგენდა ამსტერდამის ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს მიერ ამ რამდენიმე ხნის წინად მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც უარყოფილია წინადადება მოწვეული ყოფილიყო ყოველგვარი წინასწარი პირობების გარეშე პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანების და საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს წარმომადგენლების კონფერენცია. ამ კონფერენციას უნდა გადაეწყვიტა საკითხი საბჭოთა პროფმოძრაობის მონაწილეობის შესახებ პროფკავშირთა საერთაშორისო ორგანიზაციაში,

ინგლისის და საბჭოთა კავშირის მთლიანობის კომიტეტმა დაადასტურა, რომ ინგლისის პროფკავშირთა კონგრესის გენერალური საბჭოს პოლიტიკა ამ საკითხში განისაზღვრება კონგრესის მიერ სკარბოროში მიღებული რეზოლიუციით.

იქ გადაწყვეტილი იყო, რომ იმ შემთხვევაში, თუ ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომ მას არ შეუძლიან წინასწარი პირობების გარეშე მოიწვიოს კონფერენცია საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა მონაწილეობით, როგორც ამას მოითხოვდა ინგლისის პროფკავშირთა კონგრესის გენერალური საბჭო, მაშინ უკანასკნელი თვითონ მოიწვევს ასეთ კონფერენციას და ეცდება უზრუნველჰყოს [illegible] შუამავლის როლს საკავშირო პროფკავშირების ცენტრალურ საბჭოსა და ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის შუა. მთლიანობის კომიტეტი ვანმეორებით აცხადებს, რომ ის მზად არის განაგრძოს მის მიერ დაწყებული საქმე ყველა კანონიერი საშუალებებით; კომიტეტი დარწმუნებულია, რომ მასში შემავალი ორგანიზაციების ცენტრალური ორგანოები ყოველგვარ ღონეს იხმარებენ, რათა დააჩქარონ კომიტეტის საქმის წარმატებით დამთავრება პროფკავშირთა საერთაშორისო განმტკიცებისა და განვითარების საკითხში. კომიტეტს ამხნევებს ის შეგნება, რომ მიუხედავათ იმისა, რომ მის მუშაობას ყოვლად უტიფრად ამახინჯებენ, მუშაობა საერთაშორისო პროფმოძრაობის სასარგებლოდ თანდათან ძლიერდება“.

პროფკავშირთა ორგანიზაციების მისალმებები.

ბერლინი, 10 დეკ. ინგლისის და საბჭოთა კავშირის მთლიანობის კომიტეტმა მიიღო მილოცვები ნორვეგიისა და ფინეთის პროფკავშირთა ცენტრალურ ორგანიზაციებისაგან. აღნიშნული ორგანიზაციები თანაგრძნობას უცხადებენ მთლიანობის კომიტეტს და იძლევიან დაპირებას, რომ გულწრფელად დაუჭერენ მას მხარს.

თათბირის რეზოლიუციები.

ბერლინი, 10 დეკ. ინგლისისა და საბჭოთა კავშირის მთლიანობის კომიტეტის თათბირმა ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუციები:

1) ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტი გამოსთქვამს თავის მწუხარებას ამსტერდამის ინტერნაციონალის გენერალურ საბჭოს უმრავლესობის მიერ გამოტანილ დადგენილების გამო, რომლითაც საბჭომ უარი განაცხადა საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს მონაწილეობით კონფერენციის მოწვევაზე ყოველგვარი წინასწარი პირობების გარეშე.

2) კომიტეტი ამტკიცებს, რომ ეს დადგენილება გამოხატავს უფრო ოფიციალურ შეხედულებას, ვიდრე მსოფლიო პროფმოძრაობის წევრების მასის აზრსა და სურვილს.

3) მთლიანობის კომიტეტი ფიქრობს, რომ პირველი პრაქტიკული ნაბიჯი, რომელიც უნდა გადიდგას, არის კონფერენციის მოწვევა ინგლისის პროფკავშირთა კონგრესის გენერალური საბჭოს მიერ, რაიც გათვალისწინებული იყო იმ დეკლარაციით, რომელიც გამოიმუშავა ინგლისის დელეგაციამ ინგლისისა და საბჭოთა კავშირის მთლიანობის კო[illegible]მ 8 აპრილს 1925 წელს.

4) მთლიანობის კომიტეტი პროტესტს აცხადებს მუდმივი უმიზეზო თავდასხმის გამო საბჭოთა პროფკავშირებზე და აგრეთვე იმის წინააღმდეგ, რომ ინგლისის პრესა სისტემატიურად ამახინჯებს საბჭოთა პროფკავშირების პოლიტიკას.

5) მთლიანობის კომიტეტი ფიქრობს, რომ პროფკავშირთა მოძრაობის წარმომადგენელმა ორივე ქვეყანაში უნდა დაიცვან სრული სიმშვიდისა და სულიერი წონასწორობის პოზიცია იმ უპასუხისმგებლო იერიშების მიმართ, რომლებიც მიმართულია პროფკავშირთა მოძრაობის წინააღმდეგ. ორივე ქვეყნის პროფმოძრაობის წარმომადგენლები კვლავ ენერგიულად განაგრძობენ მათ მიერ დაწყებულ საქმეს მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობის მისაღწევად.

კომიტეტმა გადასწყვიტა, რომ შემდეგი კონფერენცია შესდგეს მომავალი წლის დამდეგს.

„ვიზვოლენიეს“ „ზომები“

ვარშავა, 11 დეკ. „ვიზვოლენიე“-ს პარტიის წევრი გელმანი პარტიის ცენტრ. კომიტეტის დადგენილებით გამორიცხულია პარტიიდან საბჭოთა კავშირში პოლონეთის სეიმის დეპუტატთა გამგზავრების მოწყობაში აქტიური მონაწილეობის მიღების გამო. საბჭოთა კავშირში გამგზავრება სურთ პოლონეთის სოც. პარტიის „ვიზვოლენიეს“, გლეხთა კავშირის, უკრაინის და ბელორუსიის ფრაქციების და დამოუკიდებელი გლეხთა პარტიის წევრებს. დელეგაცია 8 იანვარს აპირებს გამგზავრებას.

ნორვეგიის დელეგაციის ანგარიში

ოსლო, 11 დეკ. უკანასკნელ დღეებში ნორვეგიის მუშათა დელეგაციის წევრებმა, რომლებმაც საბჭოთა კავშირი მოიარეს, მოაწყვეს მთელი რიგი მოხსენებები სხვადასხვა წარმოებებში.

ნორვეგიის კომპარტიის ორგანოს ცნობით დელეგაციის თავმჯდომარემ **მადსენმა (არა კომუნისტი)** მოუწოდა დამსწრეთ გაერთიანებისაკენ, რის მაგალითს იძლევა ინგლის საბჭოთა კავშირის მთლიანობის კომიტეტის მაგალითი.

ჩეხო-სლოვაკიის მუშების კამპანია

პრაგა, 11 დეკ. საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებული მუშათა დელეგაცია ენერგიულ კამპანიას აწარმოებს მრავალრიცხოვანი მიტინგებით, რომლებსაც დელეგაციის წევრები აწყო[illegible]ბებში, რითაც უდიდეს ყურადღებას იპყრობენ მუშებ შორის. მუშათა დელეგაციის თავმჯდომარემ სოციალ-დემოკრატმა კმენტმა განაცხადა მუშათა ერთ-ერთ მიტინგზე მორავიაში, **რომ საბჭოთა კავშირის მუშები უკეთ სცხოვრობენ, ვიდრე ჩეხოსლოვაკიის მუშები.**

კომპარტიის ორგანო „რუდე პრავო“ იტყობინება, რომ სოციალ-დემოკრატები პარტიიდან გარიცხვით ემუქრებიან კმენტს ასეთი გამოსვლებისათვის.

მოსულის საკითხის გარშემო

ოსმალეთი და საბჭოთა კავშირი.

სტამბოლი, 11 დეკ. „ჯუმურიეტ“ სწერს, რომ მიწადმოქმედების მინისტრის საბრი-ბეის მოგზაურობა საბჭოთა კავშირში წარმოადგენს მანიფესტაციას საბჭოთა კავშირის და ოსმალეთის მეგობრობისას, რომელიც დღითი-დღე ძლიერდება.

„საბრი-ბეის მეგობრულად შეხვედრა, სწერს გაზეთი, ამტკიცებს ჩვენს მდგომარეობას. საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ებრძვის მსოფლიო და განსაკუთრებით ინგლისის იმპერიალიზმს, მხარს უჭერს ჩვენს თვალსაზრისს მოსულის საკითხში. ჩვენი რუსი მეგობრის ხმა განსაკუთრებით ძვირფასია იმ დღეს, როცა იკრიბება ერთა ლიგა მოსულის საკითხის გადასაჭრელად“.

გაზეთ „ჯუმურიეტი“-ს 10 დეკემბრის ნომერში მოთავსებულია რიკოვის და საბრი-ბეის სურათები შემდეგი წარწერით: „მათი შეხვედრა ხელს უწყობს ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცებას“.

შიშს დიდი თვალები აქვს

ლონდონი, 11 დეკ. „ვესტმინსტერ გაზეტი“. სწერს: „თუმცა ეჭვს გარეშეა, რომ მოსკოვი აქეზებს ოსმალოებს, უწევს ძლიერ წინააღმდეგობას, როგორც ინგლისს, ისე თვით ერთა ლიგას, მან აღუთქვა ოსმალეთს კონფლიქტის შემთხვევაში დახმარება ფულით და სახელდობრ მასალებით, მაგრამ მაინც ნაკლებად დასაჯერებელია, რომ საბჭოთა რუსეთმა გაუწიოს ოსმალეთს სამხედრო დახმარება. გაზეთი დიდ მნიშვნელობას აძლევს ამასწინად მოსკოვში გამართულ ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის კონფერენციას, რომელსაც დაესწრენ ოსმალეთის მიწათმოქმედების მინისტრი საბრი-ბეი და არალოვი.

ტევფიკ-ბეის განცხადება

ლონდონი, 11 დეკ. ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ტევფიკბეიმ „დეილი ექსპრეს“-ის ჟენეველ კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა:

„კონფლიქტის საუკეთესო გადაჭრა იქნებოდა სადაო ზონის დემილიტარიზაცია“.

შეკითხვაზე—სთიოვდა თუ არა ოსმალეთის მთავრობა დახმარებას საბჭოთა მთავრობას ოსმალეთზე თავდასხმის შემთხვევაში,—ტევფიკბეიმ განაცხადა: „თქვენს სახლს რომ თავს დაესხან, განა თქვენ არ მიმართავთ თქვენს მეზობელს დახმარებისათვის?“.

„ჯუმურიეტ“-ის აზრი

სტამბოლი, 11 დეკემბერი. ოსმალეთის სახალხო პარტიის ორგანო „ჯუმურიეტ“ არჩევს მოსულის საკითხს და კვლავ სასტიკად ილაშქრებს ერთა ლიგის წინააღმდეგ.

გაზეთი ეხება რიკოვის საუბარს საბრი-ბეისთან და აღნიშნავს, რომ რიკოვის განცხადებას მოსულის საკითხის შესახებ კმაყოფილებით შეხვდა ოსმალეთის საზოგადოებრივი აზრი.

მდგომარეობა სერიოზულია

პარიზი, 11 დეკემბერი. საფრანგეთის პოლიტიკური წრეები ძალიან სერიოზულად სთვლიან მდგომარეობას, რომელიც შექმნა ინგლის-ოსმალეთის კონფლიქტმა მოსულის საკითხის გარშემო. ერთა ლიგის მოხელეები უკმაყოფილო არიან ოსმალეთის „მეტად შეურიგებელ“ პოზიციით, რომელიც საშუალებას არ აძლევს უშუალოდ ორივე დაინტერესებულ მხარეს და აიძულებს მას მიიღოს თავისი გადაწყვეტილება.

პრესა კონფლიქტის შესახებ.

ლონდონი, 11 დეკემბერი. „ვესტმინსტერ გაზეტ“-ის ჟენეველი კორესპონდენტი იმედს გამოსთქვამს რომ ერთა ლიგა წინადადებას მისცემს სხვა სახელმწიფოებს დაეხმარონ ინგლისს იმ შემთხვევაში, თუ მოსული გადაეცა ირაკს და ოსმალეთმა წინააღმდეგობა გაუწია ამ გადაწყვეტილებას.

გარეშე საქმეთა სამინისტროსთან დაახლოვებულ „დეილი ტელეგრაფ“-ის დიპლომატიური კორესპონდენტის სიტყვით, „იურიდიული თვალსაზრისით საინტერესოა“ აზრი ცნობილი ჟურნალისტის, მემარჯვენე ფრანგულ გაზეთ „ეკო-დე-პარი“-ს თანამშრომლის პერტინაკსის, რომელიც ფიქრობს, რომ **ინგლისს შეუძლია დაიკავოს სტამბოლი, თუ ოსმალეთი დაიწყებს სამხედრო მოქმედებას. თავის მხრივ „დეილი ტელეგრაფ“ ფიქრობს, რომ ინგლისს შეუძლია დაიკავოს სტამბოლი ერთა ლიგის სახელით.**

უკანასკნელი ცდა

პარიზი, 11 დეკემბერი. როგორც იტყობინებიან, ერთა ლიგის კომისიები დღეს ერთხელ კიდევ შეეცდებიან შეარიგონ ინგლისი და ოსმალეთი.

ამის გამო ტევფიკ-რუშდი-ბეიმ გადასწყვიტა კიდევ დაიცადოს ჟენევაში.

აჯანყება სირიაში

დამასკის მიდამოებში.

კონსტანტინოპოლი, 11 დეკემბ. ოსმალეთის გაზეთების ცნობით, დამასკის მიდამოებში დაბანაკებული დრუზების 5 რაზმი ემზადება დამასკის რკინისგზის ხაზის დასაკავებლად. დრუზები კარგად არიან შეიარაღებული.

სირიის მანდატის საკითხი.

პარიზი, 11 დეკემბ. ერთა ლიგის საბჭომ დაადგინა სირიის მანდატის საკითხი გადასცეს საგანგებო კომისიას, რომელიც შეიკრიბება რომში 1926 წ. თებერვალში.

კრედიტები აჯანყების ჩასაქრობად.—

პარიზი, 11 დეკ. დეპუტატთა პალატამ გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს 366 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ სოციალისტების და რადიკალების 124 ხმისა მიიღო მთავრობის მიერ გამოთხოვილი კრედიტი სირიის აჯანყების ჩასაქრობად.

„მშვიდობიანობის მაქეზებელი“.

პარიზი, 11 დეკემბ. საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა სირიაში დე-ჟუ ქნელმა მიმართა დრუზებს მოწოდებით, რომელშიაც წინადადებას აძლევს მათ ხელი შეუწყონ მშვიდობიანობის დამყარებას სირიაში.

ახალ საუკუნის კარზე

ასი წლის წინად ინგლისში, პატარა რკინისგზის ლიანდაგზე —სტოკტონ-დორლინგტონ, რომლის სიგრძე უდრიდა 21 კილომ., გაშვებული იყო პირველი სამგზავრო ორთქლმავლიანი მატარებელი. ეს იყო პირველი ნაბიჯი ორთქლის რკინისგზების საზოგადოებრივ მიზნით გამოყენებისა.

კაცობრიობის ისტორიას თითქმის არ ახსოვს მეორე ამგვარივე გარდატეხა ეკონომიურ და სამრეწველო დარგში, როგორც მოახდინა ადამიანის გონების ამ მიღწევამ.

1825 წლიდან თითქოს მცირე ხანი გავიდა (ხალხთა ისტორიულ ზრდის მასშტაბით), მაგრამ რამდენი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო გადადგმული ამ პერიოდის განმავლობაში რკინისგზის საქმეში! თავის დროის სიამაყის, სტეფენსონის „Rocket“-ით დაწყებული, რომლის ცეცხრიკების ცხრილის ფართი უდრიდა 0,5 კვ. მეტრს, წნევა ღერძზე 2 ტონას, ხოლო ორთქლის წნევა 3,5 ატმოსფერას,—ჩვენ გადავედით ამერიკის რკინისგზების მძლავრ ორთქლმავლებზე, რომლის ცეცხრიკთა ცხრილი 9 კვ. მეტრამდეა, წნევა ღერძზე —30 ტონამდე, ორთქლის წნევა-კი 15 ატმოსფერამდე.

ამასთანავე არა ნაკლებ სისწრაფით ვითარდებოდა ორთქმავალთან დაკავშირებული სხვა დარგებიც რკინისგზისა. დღე ღამეში 2—3 პატარა მატარებლის ნაცვლად, რომელნიც მოძრაობდნენ საათში 12—15 ვერსის სისწრაფით და რომელნიც შესდგებოდენ კუდალა რონოდებიდან,—ჩვენ ეხლა ვხედავთ მაგისტრალურ ლიანდაგებს, რომლებზედაც ყველა 20—25 წუთში გამგზავრებულ სისწრაფით მიექანებიან პულმანის რონოდებიდან შემდგარი ვეებერთელა მატარებლები.

მიუხედავად ამისა, ამ მატარებლებით მიმოსვლა არაფერ საშიშროებას არ წარმოადგენს. გზა, კავშირგაბმულობა, სიგნალიზაცია, ტეხნიკურ და კომერციულ ექსპლოატაციის მეთოდები უმჯობესდებოდა და ვითარდებოდა რკინისგზის ქსელის ზრდასთან ერთად და კიდევაც მოგვცა ბევრი მნიშვნელოვანი მიღწევანი და მრავალი განთქმული სახელი, რომლებიც თამამად შეგვიძლია შევუერთოთ ჯორჯ და რობერტ სტეფენსონების, ნიკოლოზ ვუდის და სხვა სახელებს.

აღსანიშნავია, რომ რკინისგზას, რომელმაც ასე შეარყია მთელი ქვეყანა და დაარღვია მანამდის არსებული ეკონომიკა, — გამოუჩნდა სასტიკი მტერი, — ძველ წესწყობილებასთან შესისხლხორცებული სხვა და სხვა დაწესებულებანი და გავლენიანი პირნი, წარმოუდგენელია ის ყოვლად უაზრო დასაბუთება, რომელიც მოყავდათ იმ დროს რკინის გზის წინააღმდეგ მთელ რიგ სახელმწიფო ორგანოებს და ზოგიერთ გამოჩენილ მეცნიერებს.

გარდა ინგლისისა, სადაც ორთქლის რკინის გზის იდეის საზოგადოებრივ შეხედულებასთან ბრძოლამ მიიღო განსაკუთრებულად მწვავე ხასიათი, ვინაიდან სწორედ იქ მოხდა ამ იდეის პირველი აღმოცენება,—მან სხვა ქვეყნებშიაც გამოიწვია დიდი წინააღმდეგობა და სასტიკი გამოლაშქრება. საკმარისია გავიხსენოთ, რომ რუსეთში, სადაც პირველი რკინის გზა, სიგრძით 26 კილომ., გახსნილ იქნა 1837 წ. (ს. პეტერბურგიდან—ცარსკ. სელომდი),—რკინის გზის მშენებლობის შესახებ მთელი პოლემიკა და გამოლაშქრება არა მარტო გამეორებული, არამედ გაძლიერებულიც იყო, რუსეთის ბუნებრივ პირობების მოსაზრებათა გამო. როდესაც რუსეთის რკინის გზის პირველმა აღმშენებელმა, ცნობილმა ავსტრიელ ინჟინერმა ფრანც გერსტნერმა ძლივს 1834 წ. შეამდგომლობა პეტერბურგიდან მოსკოვამდე და ნიჟნი-ნოვგოროდამდე და მოსკოვიდან ოდესამდე რკინის გზის ქსელის მოწყობის შესახებ, ამ წინადადების გარშემო ატყდა ნამდვილი ეკონომიური და ტეხნიკური ომი. გარდა ჩვეულებრივ ხასიათის გამოდავებისა, რომელიც ამტკიცებდა, რომ რკინის გზის გაყვანა დამღუპველი იქნებოდა ქვეყნის ეკონომიკისათვის და კერძოდ იმ დროს მეტად განვითარებულ ცხენით ტრანსპორტისათვის და აგრეთვე ტყეებში, ნათესებში და ქალაქებში მატარებლების გასვლით გამოწვეულ ცეცხლით, —შეხვდებოდით სხვაგვარ მოსაზრებასაც, რომელიც გამომდინარეობდა რუსეთის განსაკუთრებულ ბუნებრივ თვისებებიდან. მაგალითად, არსებობს რკინის გზის ისტორიისათვის მეტად საინტერესო საბუთი—ანგარიში უმაღლეს საინჟინერო კომისიისა, რომელიც დაარსებული იყო ნიკოლოზ I განკარგულებით და სადაც გამოთქმულია ამ საკითხის შესახებ იმ დროის გამოჩენილ რუს-ტეხნიკოსების აზრი. ისინი ამტკიცებდენ რუსეთში ორთქლის რკინის გზის იდეის განხორციელების შეუძლებლობას, რადგან ზამთარში, ნამქერების და ყინვების გამო, ორთქლმავლის ქვაბში წყალი გაიყინება და მთელ მოძრაობასაც შეაჩერებსო.

ყოველი ამგვარი მოსაზრება სათანადო გამონაგარიშებით იყო დასაბუთებული. მართლაც, განა შეეძლოთ ამ პირთ წარმოდგენა იმისა, რომ მიუხედავად რუსეთის სასტიკი ყინვებისა, ქარიშხლებისა და ნამქერებისა, მატარებელთა მიმოსვლა დაუბრკოლებლივ და რეგულიარულად იწარმოებდა, და განა შეეძლო ეფიქრა თვით ფ. გერსტნერს, რომელმაც გენიალურ საინჟინერო პროგნოზით უკვე 1834 წელში გაითვალისწინა საკავშირო რესპუბლიკის რკინის გზის მთავარი მაგისტრალები, რომ ციმბირის ექსპრესები ვლადივოსტოკიდან მოსკოვამდე დანიშნულ წუთს მოვიდოდენ და ელექტრონით განათებულ და თბილ რონოდებში მოკალათებული მგზავრები ციმბირის ტაიგის გადალახვის დროს ვერც კი შეამჩნევენ გარედ გაფთრებულ ყინვას, რომელიც ჩიტებსაც კი ყინავს ჰაერში.

მიუხედავად იმ მრავალ ამხედრებისა და დაბრკოლებისა, რკინის გზის იდეა, რასაკვირველია, რუსეთშიაც თრამც თუ დაიღუპა, არამედ პირველ წლებიდანვე იწყო ჩქარი და წარმატებითი ზრდა. რკინის გზა წარმოადგენდა იმ დროის რუსეთის მრეწველობის და ეკონომიკის პროგრესის ბერკეტს და მან ბოლო მოუღო თავქვე დაქანებულ და ძირიანფესვიანად დამპალ ბატონყმობის წესწყობილებას, რომელიც მიმოსვლის ამ ახალ საშუალებაში თითქოს ინსტინქტიურად გრძნობდა მის წინააღმდეგ მიმართულ მუქარას და ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა როგორმე შეეჩერებია მისი წინსვლა.

განა ბოროტი ბედის დაცინვა არ არის ის, რომ იმ დროინდელი რუსეთის ბატონყმური რეჟიმის წარმომადგენელი ნიკოლოზ I, რომელიც წარმოადგენდა 40-იან წლების რუსეთის უგნური სისტემის გამოხატულებას, ასეთის ენერგიით და თავგამოდებით უწყობდა ხელს რკინის გზის გაყვანის იდეას და ეჭვადაც არ მოსვლია, რომ ამ გზების გაყვანა ხელს შეუწყობდა ბატონყმობის გაუქმებას.

ამგვარად, ხშირად ხდება ისტორიაში, რომ ხალხის მმართველები და მთელი მმართველი კლასები ჰქმნიან ხოლმე ახალ რამეს ტეხნიკასა და ეკონომიკაში და ფიქრადაც არ მოსდით, რომ ეს ახალი ნაბიჯები გადაიქცევა ძლევამოსილ ფაქტორად, რომელიც არარაობად აქცევს მათ ძალაუფლებას.

როდესაც თვალს გადავავლებთ რკინის გზის განვითარების ისტორიას და მადლობით მოვიხსენიებთ რკინის გზის საქმის მამათმთავრებს: ჯორჯ და რობერტ სტეფენსონს. ნიკოლოზ ვუდსა, ტრევეტიკს და სხვ. როდესაც გავიხსენებთ საკავშირო რესპუბლიკის რკინის გზათა მამათმთავარს ფ. გერსტნერს, რუსეთის რკინის გზების პირველ მშენებელს. უფროს მემანქანეს და კონდუქტორს, ჩვენ არ უნდა ვივიწყებდეთ იმ სახელოვან და გამოჩენილ მეცნიერ-ტეხნიკოსთა სახელებს, რომელთაც შექმნეს ძლევამოსილი პროგრესი რკინის გზისა რუსეთში და რომელნიც რკინის გზის ქსელის პროგრესს საკავშირო რესპუბლიკაში ხელს დღესაც უწყობენ.

1837 წელს რუსეთში რკინის გზის ლიანდაგი დაგებული იყო 26 კილომ. სიგრძეზე, 1860 წ. იგი აღწევს 1600 კილ., 1870 წ.—12.000 კილ., 1880 წ.--24000 კილ., 1890 წ.—30000 კილომეტრზე გადაჭარბებულია. დღეს კი საკავშირო რესპუბლიკის რკინის გზის ლიანდაგთა სიგრძე 72.000 კილომეტრს უდრის.

მართალია, ეს მანძილიც არ კმარა ასეთი უზარმაზარ სახელმწიფოსათვის, რადგანაც საკავშირო რესპუბლიკის მთელ სივრცესთან შედარებით თვითეულ 100 კვ. კილომეტრზე მხოლოდ 0,35 რკინის გზის ლიანდაგი მოდის (საკავშირო რესპუბლიკის ევროპიულ ნაწილში კი—1,5 კილ.). ასეთივე უზარმაზარ სახელმწიფოს, ამერიკის შეერთებულ შტატებს—400.000 კილ. მანძილის რკინის გზები აქვს, ე. ი. თვითეულ 100 კვ კილომეტრზე—4,5 კილომეტრი რკინის გზის ლიანდაგი. მაგრამ უნდა ითქვას, რომ რუსეთში 72.000 კილ. მანძილზე რკინის გზის ქსელის გაყვანაც უნდა ჩაითვალოს ძველად რუსეთის და ამჟამად საკავშირო რესპუბლიკის ტეხნიკის დიდ მიღწევად.

ამ მხრივ საკავშირო რესპუბლიკის რკინის გზის ტეხნიკაში ბევრი რამ მოსაგონარი მოგვეპოვება. მრავალ ათას კილომეტრზეა გაყვანილი რკინის გზის ქსელი ასეთ მიუდგომელ და უდაბნო ადგილებში, როგორიც არის მაგალითად შუა-აზიის ველი (შუა-აზიის და ორენბურგ-ტაშკენტის რკინის გზა) და ციმბირის ტაიგა, ათასი კილომეტრის მანძილზე რკინის გზის ლიანდაგის გაყვანა ურალის მიუდგომელ მთიან ადგილებში, სურამის და ჯაჯურის უღელტეხილზე, უდიდესი ხიდების აგება დნეპრზე, ვოლგაზე, ამურზე; ორთქლმავლების და რონოდების საამშენებლო საქმის ბრწყინვალე განვითარება, რომელიც არა თუ არაფრით არ ჩამოურჩება ევროპის რკინის გზის ტეხნიკას, არამედ ხშირად მას კიდეც უსწრებს.

საკმარისია თვალი შევავლოთ ლამაზ „პასიფიკს“ და საქონლის მძლავრ ორთქლმავლებს, რომლებსაც ამჟამად ამზადებენ საკავშირო რესპუბლიკის ორთქლმავალთა საამშენებლო ქარხნები, რომ მადლობით დავხაროთ თავი რუსეთის მრავალრიცხოვან მეცნიერ-ტეხნიკოსთა და ორთქლმავალთა საქმის მწარმოებელ მოღვაწეთა სახელების წინაშე, რომელთაც თავისი ძალ-ღონე და შრომა შეუწირავთ ამ უდიდეს, რკინის გზის მეურნეობის დარგის აღორძინებისათვის.

დღეს, როდესაც კარი შევაღეთ რკინის გზის საქმის ახალ საუკუნეში და როდესაც უკვე მოგვეპოვება ასეთი უდიდესი მიღწევანი და რკინის გზის ტეხნიკის სამუშაონი, როგორიც არის, მაგალითად, პროფ. ლომონოსოვის მიღწევანი თბომატართა ტეხნიკის საქმეში, ან კაზანცევის სისტემის ჰაერმუხრუჭები, ან რკინის გზათა ქსელების ელექტროფიკაციის პროექტები, რომელიც საფუძვლად დაედო ელექტროფიკაციის 5 წლიან გეგმას, ჩვენ უნდა გავიხსენოთ პროფესორ ნ. შჩუკინის, პეტროვის, ბელელიუბსკის, პროსკურიაკოვის, ნიკოლაის, პატონის და სხვა მრავალი სახელოვანი სახელები, რომელნიც ზოგნი იყვნენ და ზოგნი ამჟამადაც არიან საკავშირო რესპუბლიკის რკინის გზის საქმის პროგრესის დარაჯნი და ხელმძღვანელნი.

გადავდივართ რა რკინის გზის საქმეს ახალ საუკუნეში, ახალ პოლიტიკურ-ეკონომიურ ფორმების არსებობის დროს, რომელნიც უზრუნველყოფენ მუშათა შრომის ნორმალურ პირობებს, ჩვენ უნდა გავიხსენოთ ი ასი ათასი და მილიონი უცნობი მუშა და ხელოსანი, რომლებსაც ისტორიის წიაღში გადასულ მძიმე და სასტიკ პირობებში უხდებოდათ მუშაობა და აგრეთვე ის ასი ათასი მუშათა საფლავები. რომლითაც მოფენილია საკავშირო რესპუბლიკის რკინის გზების ლიანდაგი, ხშირად სულ მიყრუებულ და მივარდნილ ადგილებში და რომლებიც არიან ძველი წესწყობილების მდუმარე მოწმეები.

ინჟ. ბ. ქებინაძე.

რიზა-ხანი სპარსეთის შახი

თეირანი, 13 დეკ. 12 დეკემბერს დამფუძნებელმა კრებამ სპარსეთი კონსტიტუციონურ მონარქიათ გამოაცხადა. რიზა-ხანი არჩეულია შახათ.

რიზა-ხანის ტახტზე ასვლა მოხდება 16 დეკემბერს.

მონარქიას ხმა მისცა 257 დეპუტატმა, 3 თავი შეიკავა.

სხდომის გახსნის შემდეგ დამფუძნებელმა კრებამ განსაკუთრებული დეპუტაცია გაგზავნა რიზა-ხანისთვის კრების გადაწყვეტილების ჩასაბარებლათ.

აბდ-ელ-ქერიმის საზავო პირობები

პარიზი, 11 დეკემბ. ჰავასის სააგენტოს ცნობით, ტანჟერში ჩავიდა კაპიტანი კენინგი, რომელსაც თან აქვს აბდ-ელ-ქერიმის ოფიციალური წერილი მისი საზავო პირობების შესახებ. აბდ-ელ-ქერიმი მზად არის იცნოს სულთანის სუვერენიტეტი იმ პირობით, თუ რიფფებს მიეცემათ სრული პოლიტიკური ავტონომია და საკუთარი ჯარის შექმნის უფლება.

საერთაშორისო სარკინისგზო კონფერენცია

უცხოელ დელეგაციების დაბრუნება

მოსკოვი, 12 დეკემბ. დაბრუნდენ თავ-თავის სამშობლოში იაპონიის და ნორვეგიის დელეგაციები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მელითონეთა მე-12-ე საკავშირო ყრილობაზე.

ბანკეტი საბჭოთა კავშირის დელეგაციის პატივსაცემლად

მოსკოვი, 10 დეკ. 10 დეკემბერს მოსკოვის დიდ სასტუმროში იაპონიის დელეგაციამ რკინის გზათა საერთაშორისო კონფერენციაზე გამართა ბანკეტი საბჭოთა რუსეთის დელეგაციის პატივსაცემლად. იაპონიის დელეგაციის თავმჯდომარემ, იაპონიის პარლამენტის წევრმა სიტამ სრული კმაყოფილება გამოსთქვა კონფერენციის ნაყოფიერი მუშაობით.

გზათა სახ. კომისარის მოადგილე პოსტნიკოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონფერენციას მსოფლიო მნიშვნელობა აქვს.

ფაშისტური ტერორი

ბარბიუსი თეთრი ტერორის შესახებ.

ვენა, 10 დეკემბ. ბალკანეთიდან დაბრუნდენ **ბარბიუსი, ვერნომე და ლამი**, რომლებმაც საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადეს შემდეგი:

„რუმინეთში, სამხრეთ-სლავიაში და ბულგარეთში მძვინვარებს თეთრი ტერორი. ბარბიუსთან საუბრის დროს რუმინეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ტატარესკუმ აღიარა, რომ რუმინეთის მთავრობა ძალდატანებას მიმართავს, მაგრამ თავი გამართლა იმით, თითქოს რუმინეთი „იცავდეს ევროპის ცივილიზაციას ბოლშევიზმის წინააღმდეგ“.

ტატარესკუმ აღუთქვა ბარბიუსს ციხეების ჩვენებმა, მაგრამ თავისი დაპირება არ შეასრულა ტატარესკუმ არ მისცა ბარბიუსს პატიმრებთან შეხვედრის ნება რთვა. კიშინევში ბარბიუსი თავის თანამგზავრებთან ერთად იქნა დაშვებული სასამართლოს სხდომაზე, რომელზედაც საზოგადოების ნაცვლად მიყვანილი იყვენ ადგილობრივ სკოლების მოწაფეები. ფარულ მუქარის საშუალებით **სამხედრო პროკურორმა ნება არ მისცა ბრალდებულებს ელაპარაკნათ წამებაზე, რომელსაც ისინი განიცდიდენ.**

ბუქარესტში დაბრუნებისას ბარბიუსს აღფრთოვანებით შეხვდენ ადგილობრივი მუშები. ერთი დღის შემდეგ ხელისუფლების განკარგულებით ბარბიუსი, ვერნომე და ლამი პოლიციელების თანხლებით გაგზავნილი იქნენ გემზე ვითომდა იმიტომ, რომ მათ თავდასხმის საფრთხე მოელოდათ.

სოფიაში ბარბიუსი და მისი ამხანაგები მიიღო ბულგარეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს მდივანმა კისილევმა, რომელმაც განაცხადა, რომ 1923 წლის ივნისიდან დღემდის ბულგარეთში მოკლული იქნა „მხოლოდ“ 3.000 კაცი.

ბოლოს ბარბიუსმა განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს გამოაქვეყნოს დოკუმენტალური ცნობები ბალკანეთში მოგზაურობის შესახებ.

შიმშილობის გამოცხადება კიშინევის ციხეში

ვენა, 11 დეკემბ. 6 კვირის წინად გალაცში დატუსაღებული 54 მუშა, რომელთაც ბრალდებათ ანტიმილიტარისტული პროპაგანდა და არალეგალურ კომუნისტურ ორგანიზაციებში მუშაობა, გადაიყვანეს კიშინევის ციხეში. წამების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად **მუშებმა გამოაცხადეს შიმშილობა.**

ბესარაბიელ გლეხთა პროცესი

ვენა, 11 დეკემბ. უკანასკნელი ცნობების მიხედვით ბესსარაბიელ გლეხთა პროცესზე მსჯავრ დადებულ გლეხებმა განასაჩივრეს კიშინევის სასამართლოს განაჩენი.

12 დეკემბერს ბრალდებულთა დაუსწრებლად დაიწყება იმ 37 გლეხის პროცესი, რომელნიც ჯერ არ გაუსამართლებიათ.

„იუმანიტეს“ წინააღმდეგ

პარიზი, 11 დეკემბ. კომპარტიის ორგანოს „იუმანიტეს“ რედაქცია პასუხისგებაშია მიცემული. გაზეთს ბრალად ედება აგიტაცია სამხედრო ნაწილებში.

ხემნიცელ კომუნისტების საქმე

ბერლინი, 11 დეკ. ხემნიცელ კომუნისტების საქმის გამო ლეიპციგის სასამართლომ გამოიტანა შემდეგი განაჩენი: 5 ბრალდებულს მისჯილი აქვს ციხეში დაპატიმრება 2—3 ნახ. წლამდე; რუს ტობიაშს, იგი მაიერს—5 წლის ციხე და გერმანიის საზღვრებიდან გადასახლება.

ბელორუსიის პარტიზანების პროცესი

ვილნო, 10 დეკემბერი. ლომჟაში დაიწყო ბელორუს პარტიზანების პროცესი. მათ ბრალათ ედებათ [illegible] თავდასხმა. პარტიზანების ერთი ნაწილი გასამართლებული იყო ამ საქმეზე 1923 წელს. ოთხს მისჯილი ჰქონდა დახვრეტა, ზოგიერთებს—სამუდამო კატორღა.

კამპანია შვეციის კომპარტიის წინააღმდეგ

სტოკჰოლმი, 11 დეკემბერი. შვეციის მთავრობის ორგანო „სოციალ-დემოკრატენი“ უკანასკნელი ხნის განმავლობაში გაფართოებულ კამპანიას აწარმოებს შვეციის კომპარტიის წინააღმდეგ.

გაზეთი აღნიშნავს კომუნისტური საწარმოო და სხვა უჯრედების ფართო განვითარებას და ხედავს მათში სოციალ-დემოკრატიის საშიშ მტერს.

„არავითარი სულგრძელობა მათ მიმართ, ვინც ძირს უთხრის მუშათა მოძრაობის მორალურსა და საორგანიზაციო ძალას,—ისტერიულად გაიძახის გაზეთი,—ძირიან ფესვიანად უნდა მოისპოს ეს უჯრედები“.

მთელმა ბურჟუაზიულმა პრესამ მიიღო შვეციის სოციალ-დემოკრატიის ეს ლოზუნგი და მოითხოვს მთავრობისაგან არა მარტო სიტყვებს, არამედ საქმესაც.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

მიმართვა ტრედ-უნიონების კონგრესის წევრებისადმი

მოსკოვი, 11 დეკ. რკინისგზელების, წყალზე მომუშავეების და ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტებმა სთხოვეს სკარბოროში ამასწინად დამთავრებული ტრედუნიონების კონგრესის ყველა წევრებს ეწვიონ საბჭოთა კავშირს და გაეცნონ საბჭოთა პროფკავშირების ცხოვრებას.

მოწვევა წყალზე მომუშავეების საკავშირო ყრილობაზე.

მოსკოვი, 11 დეკ. წყალზე მომუშავეთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია საკავშირო ყრილობაზე, რომელიც გაიხსნება 10 იანვარს უცხოეთის შემდეგი პროფორგანიზაციები: ტრანსპორტის მუშათა ინტერნაციონალი, ამერიკის საზღვაო ტრანსპორტის მუშათა გაერთიანება, ხის მეზღვაურთა კავშირი, მეზღვაურთა ავსტრალიის ფედერაცია მეზღვაურთა კანტონის კავშირი, იაპონიის მეზღვაურთა კავშირი, საფრანგეთის უნიტარული ფედერაცია, და ჰოლანდიის ტრანსპორტის მუშათა ფედერაცია. ცალკე გაეგზავნა მოწვევის ბარათი ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო გაერთიანების მდივანს ფიმენს.

ქალის ტანსაცმელების მკერავთა კავშირის ყრილობა

ნიუ-იორკი, 11 დეკ. ქალთა ტანსაცმელის მკერავთა საერთაშორისო კავშირის ნაციონალურ ყრილობაზე ფილადელფიაში სასტიკი ბრძოლა სწარმოებს მემარცხენე და მემარჯვენე ფრთას შორის. (ამერიკულ პროფკავშირებს საერთაშორისო იმისთვის ეწოდება, რომ ისინი აერთიანებენ შეერთებული შტატებისა და კანადის მუშებს)

„მიუხედავათ იმისა, რომ მემარცხენე ფრთა წარმოადგენს ნიუ-იორკის ყველაზე უფრო დიდ ორგანიზაციებს და აკავშირებს წევრების 80 პროც., პროფკავშირთა ბიუროკრატიას მაინც უმრავლესობა ჰყავს ყრილობაზე, ვინაიდან ყრილობაზე წარმომადგენლობის უფლება აქვთ ნიუ-იორკის შტატის გარეშე არსებულ მრავალ წვრილ ორგანიზაციებს, რომლებზედაც დიდ გავლენას ახდენს პროფკავშირთა ბიუროკრატია. ძალთა განწყობილება შეამოწმა მემარცხენე ფრთის რეზოლიუციამ, რომელიც ესალმებოდა ინგლისისა და საბჭოთა კავშირის მთლიანობის კომიტეტს. ეს რეზოლიუცია უარყოფილი იქნა კენჭის ყრის დროს; მიუხედავათ ამისა ყრილობამ ქმუხრი სალამი გაუგზავნა კავშირის წევრს კომუნისტ გიტლერს, რომელიც დაპატიმრებულია ნიუ-იორკის შტატის მთავრობის მიერ.

რა ხდება ჩინეთში

იაპონიის შიში.

ტოკიო, 10 დეკ. ეხებიან რა ჩან-ძო-ლინის ბედს, მსხვილ კაპიტალისტების და აგრარიების გაზეთი „ხოჩი“ გამოსთქვამს შიშს, რომ იაპონელები დიდათ დაზარალდებიან იმ შემთხვევაში, თუ გო-სუნ-ლინი უარს იტყვის მუკდენის სამხედრო ხელისუფლების მიერ გამოშვებულ 500 მილიონ ქაღალდის ფულის ცნობაზე.

გაზეთი აშინებს აგრეთვე დღემდის მთლიან მანჯურიის დაშლის შესაძლებლობა, რაც გამოიწვევს გართულებას იაპონიაში.

ჩჟან ძო-ლინის დაცემა მილიტარისტებისათვის მოულოდნელად მოხდა. მათ დღემდის მტკიცეთ სწამდათ რომ ჩან-ძო-ლინის მდგომარეობა მანჯურიაში შეურყეველია და ეხლაც ზოგიერთ მილიტარისტულ წრეებში ფიქრობენ, რომ ჩან-ძო-ლინის ხანგრძლივი გავლენა მანჯურიაში შეიძლება გაქარწყლებული იქნას მუკდენში, მაგრამ არა მთელ მანჯურიაში. ამ წრეების აზრით, ჩან-ძო ლინი, რომელსაც გაჰყავს თავისი არტილერია და სა[illegible] ნაწილები გირინში, ხელ ახლა გამოჩნდება პოლიტიკურ ასპარეზზე.

სამხედრო ოპერაციები ტიან-ცზინის ირგვლივ.

პეკინი, 12 დეკ. გრძელდება სამხედრო ოპერაციები ტიან-ცზინის მახლობლად. **პირველი სახალხო არმიის ჯარებმა ხელში ჩაიგდეს იანცზუნი და განაგრძობენ იერიშებს სამი მიმართულებით.**

ტელეგრაფის და ტელეფონის კავშირი პეკინსა და ტიან-ცზინს შორის შეწყვეტილია.

ჩჟილის პროვინციის გუბერნატორმა ლი-ჩჟი-ლინმა (ჩჟან-ძო ლინის მომხრეა) გაგზავნა თავისი ოჯახი იაპონიის კონცესიის ტერიტორიაზე და თვითონ ემზადება გასაქცევად.

სახალხო არმიები სამხედრო ოპერაციებს ფართე მასშტაბით აწარმოებენ. ტიან-ცზინის დაცემა მახლობელ დღეების საქმეა..

იაპონიის ჯარების გადაყვანა მუკდენში.

ხარბინი, 12 დეკ. იტყობინებიან, რომ იაპონიის ჯარების სარდალმა სამხრეთ მანჯურიაში სირაკავამ გასცა ბრძანება ჯარების გადაყვანის შესახებ მუკდენში. ჯარების ნაწილი უკვე მოვიდა მუკდენში და შეუდგა ქალაქის იაპონური ნაწილის დაცვას. იაპონიის კონცესიებზე იმდენი ხალხია, რომ ჩინელები ყოვლად უვარგის ქოხში [illegible]. საქენზე იხდიან იაპონელების სასარგებლოდ 10—15 კაპიკს დღეში.

იანიუ-ემინის მოლაპარაკება იაპონიასთან.

პეკინი, 11 დეკ. პეკინში გავრცელდა ხმები, თითქოს იანიუ ტინმა, ჩჟან-ძო-ლინის შტაბის უფროსმა, რომელიც დაუყოვნებლივ გო სუნლინის აჯანყების შემდეგ გაემგზავრა დაირენში, მოახერხა შეთანხმების დადება იაპონიის ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ამ შეთანხმების მიხედვით 40.000 იაპონელი ჯარისკაცი უნდა გაიგზავნოს ჩან-ცზოლინის დასახმარებლად. იტყობინებიან, თითქოს 10.000 იაპონელი ჯარისკაცი დაუყოვნებლივ გაიგზავნა ჩან-ძო-ლინის დასახმარებლად. ამ ჯარისკაცებს აცვიათ ჩინური ფორმა.

ამ ხმების გავრცელების გამო გოსუნ-ლინმა გაგზავნა დაირენში თავისი წარმომადგენლები, რომლებმაც უნდა გადასცენ იაპონიის ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ გოსუ-ლინს არ სურს იაპონიის ინტერესების შელახვა მანჯურიაში, მაგრამ ის შესცვლის თავის პოზიციას თუ იაპონელები დახმარებას გაუწევენ ჩან-ძო-ლინს. იტყობინებიან, რომ ამის შემდეგ დაირენში მყოფ იაპონელ ჯარისკაცებს მოუვიდათ ბრძანება თავი შეიკავონ გამოსვლებიდან.

რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ იაპონელებმა გაგზავნეს დამხმარე ძალები პორტ-არტურში და მუკდენში.

სპარსეთის დამფუძნებელი კრების გახსნა

თეირანი, 10 დეკემ. გაიხსნა სპარსეთის დამფუძნებელი კრება.

თეირანის პრესა სხდომის ანგარიშის მაგიერ ათავსებს წერილებს, რომლებშიც ხოტბას ასხამს რიზა ხანს.

ნაციონალური მოძრაობის კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც მოითხოვს, რომ კრებამ სპარსეთის ტახტი გადასცეს რიზა-ხანს.

ზივარ-ფაშას „გამემარცხნება“

ლონდონი, 11 დეკ. ქაირის პრესა კმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ახლო მომავალში შესაძლებელია გადადგეს ნაშატ-ფაშა, მეფე ფუადის საიდუმლო საბჭოს თავმჯდომარე, რომლის წინააღმდეგ სასტიკად ილაშქრებდენ ოპოზიციონური გაზეთები.

იუწყებიან, რომ ზივარ-ფაშა ცდილობს გააძლიეროს თავისი კაბინეტი მემარცხენე ელემენტებით. როგორც სჩანს, ჯერ-ჯერობით ეს ცდა უნაყოფოდ რჩება.

ზივარ-ფაშას ანგლოფილური კა[illegible]ტიტუციონურ პარტიის „იტიხად“-ის წარმომადგენლებისაგან, რომელთაც არ ჰყავთ მომხრეები მოსახლეობის ფართო წრეებში და რომლებიც ემყარებიან მხოლოდ ბიუროკრატიას და არისტოკრატების, მრეწველების და ფინანსისტების იმ ნაწილს, რომელსაც აინტერესებს დამოკიდებულება ინგლისთან.

რ. კ. პ. მე-14-ტე ყრილობის წინ

მოსკოვის საგუბერნიო პარტკონფერენცია

მოხსენებები

მოსკოვი, 10 დეკემბ. 9 დეკემბრის დილის სხდომაზე რუსეთის ახალგ. ლენინურ კომკავშირის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა კომიტეტის მდივანმა **მატვეევმა.**

უგლანოვის მოხსენების გამო კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც იგი სწორად სთვლის მოსკოვის კომიტეტის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ხაზს და სავსებით იწონებს მის მიერ შესრულებულ მუშაობას.

მოსკოვის საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა **კოროსტილევმა.**

კოროსტილევის სიტყვის შემდეგ კონფერენციამ ეთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც იწონებს მოსკოვის საკონტროლო კომისიის მუშაობას.

ამხ. რიკოვის საბოლოო სიტყვა

მოსკოვი, 13 დეკემბ. თავის საბოლოო სიტყვაში რიკოვმა უპასუხა შეკითხვებზე და შეეხო კულაკურ საფრთხეს.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკითხს იმის შესახებ, თუ რა ნიადაგზე იზრდება ახალი ბურჟუაზია სოფლად.

საშუალო შეძლების გლეხის და კულაკის საკითხი უკანასკნელ ხანებში განხილული იქნა ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობების საშუალებით. ეს ცნობები შეეხებოდა პურის განაწილებას გლეხობის სხვადასხვა ფენებს შორის.

პურის განაწილების საკითხი განხილული იყო აგრეთვე ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში და მუშათა და გლეხთა ინსპექციაში სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალური დავალებით. აღმოჩნდა, რომ კულაკები ჰყიდდენ 30 პროც.-ს, ეხლა კი—12 პროც.-ს, ღარიბი გლეხები პირველ ცხრილის მიხედვით არაფერს არ ჰყიდიან, ახალი ცხრილის თანახმად კი ისინი ჰყიდიან 20 პროც. ზე მეტს. ცენტრალური საკონტროლო კომისიის ცნობებიდან სჩანს, რომ ზედმეტი პურის 23,7 პროც.-ზე მეტს ჰყიდიან ღარიბი ჯგუფები და 47,8 პროც-ს საშუალო შეძლების გლეხები.

საშუალო შეძლების გლეხობის წინწაწევისათვის ბრძოლაში საჭიროა უფრო მეტი წარმატებანი, ვიდრე ის წარმატებანი, რომელებსაც ჩვენ დღემდის მივაღწიეთ. საშუალო შეძლების გლეხის დაპყრობა შეიძლება მხოლოდ პრაქტიკულ მუშაობის დროს. დიდია ამ მხრივ სიძნელენი და ამიტომ პარტიის ყურადღება უნდა იქნეს მიპყრობილი იქითკენ, რათა გადალახული იქნას ეს სიძნელენი (მქუხარე ტაში).

კონფერენციის დახურვა

კომიტეტის ახალი შემადგენლობა.

მოსკოვი, 14 დეკემბერი. გუშინ დაიხურა მოსკოვის საგუბერნიო პარტკონფერენცია.

კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე მისასალმებელი სიტყვა წითელი არმიის სახელით წარმოსთქვა სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახ. კომისარმა **ვოროშილოვმა**, რომელმაც განაცხადა, რომ წითელი არმია გადაიქცა სოციალისტურ მშენებლობის მძლავრ დასაყრდენათ. იგი წარმოადგენს დღეს უდიდეს ძალას, რომელიც მზადაა შეასრულოს რევოლიუციის და პარტიის მიერ დასმული ამოცანები.

კონფერენციაზე მონაწილეობა მიიღო 897 დელეგატმა გადამწყვეტი და 764 დელეგატმა სათათბირო ხმის უფლებით. დელეგატები წარმოგზავნილი არიან მოსკოვის ორგანიზაციის 127,922 წევრის და კანდიდატის მიერ. დელეგატებს შორის გადამწყვეტი ხმის უფლებით არიან: 75 პროც.—მუშა, 4 პროც.—გლეხი და 21 პროც.—მოსამსახურე.

რ. კ. პ. მოსკოვის კომიტეტის შემადგენლობაში შედის 115 კაცი, ახალ შემადგენლობაში არიან ბუხარინი, მოლოტოვი, უგლანოვი, ვოროშილოვი, კამენევი და სხვები. მოსკოვის საკონტროლო კომისიაში არჩეულია 107 კაცი.

მე-14 პარტყრილობაზე არჩეულია დელეგაცია სტალინის, რიკოვის; კალინინის, კამენევის, ტომსკის, ბუხარინის, ძერჟინსკის, კუიბიშევის, მოლოტოვის, ვოროშილოვის, უგლანოვის და სხვ. შემადგენლობით.

უკრაინის პარტიული ყრილობის დახურვა

ხარკოვი, 14 დეკ. დაიხურა უკრაინის პარტიული ყრილობა, რომელმაც მიიღო მიმართვა მე-14 საკავშირო პარტყრილობისადმი. მიმართვაში სხვათაშორის ნათქვამია:

„უკრაინის პარტიის უმაღლესი ორგანო—უკრაინის კომპარტიის (ბ) მე-10 ყრილობა აცხადებს, რომ უკრაინის დელეგაცია რ. კ. პ. მე-14 ყრილობაზე მოდის მთლიანი შეკავშირებული, მტკიცე გადაწყვეტილებით დაადასტუროს ის ლენინური გეზი, რომელიც უჭირავს პარტიის ცეკას, გაუწიოს მას ყოველმხრივი დახმარება, განამტკიცოს ლენინური მთლიანობა ჩვენს რიგებში და წინააღმდეგობა გაუწიოს ლენინური ხაზიდან გადახვევის ყოველგვარ ცდებს. უკრაინის კომპარტიის (ბ) მე-10 ყრილობა დარწმუნებულია, რომ მთელი პარტია ერთსულოვნად წავა იმ გზით, რომელსაც უჩვენებს მას ყრილობა, და შესძლებს წესრიგისაკენ მოუწოდოს იმათ, ვინც შეეცდება დაარღვიოს მისი დადგენილებები.

ლენინგრადის საგუბერნიო პარტკონფერენცია

ლენინგრადი, 11 დეკ. საგუბერნიო პარტკონფერენციამ ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტის მოხსენების შესახებ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„ლენინგრადის ორგანიზაციის კონფერენციამ მოისმინა საგუბერნიო კომიტეტის ანგარიში, იმსჯელა მის შესახებ და აღიარებს, რომ საგუბერნიო კომიტეტის პოლიტიკური და საორ[illegible] ლენინური და კომპარტიის მთელი პოლიტიკის შესაფერი. საგ. კომიტეტის მუშაობას, რომელიც მიზნად ისახავს სოციალისტური აღმშენებლობის ზრდას ყველა დარგში და პარტიული ორგანიზაციის კიდევ უფრო მჭიდროდ კავშირებას ბოლშევიკურ-ლენინური მთლიანობის ნიადაგზე, კონფერენცია სავსებით იწონებს“.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

გზათა სახ. კომისარიატის და ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა საკავშირო სახ. კომისართა საბჭოში

მოსკოვი, 11 დეკემბ. საკავშირო სახ. კომისართა საბჭოს სხდომაზე ცურიუპას თავმჯდომარეობით გზათა სახ. კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვის გასავლის და შემოსავლის ნაწილი დამტკიცებული იქნა 325 მილ. მან. რაოდენობით. ხარჯთ-აღრიცხვაში შედის 22 მილ. ცალი შპალის გამოცვლა.

ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვის გასავალ-შემოსავლის ნაწილის შესახებ სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა შეტანილ იქნეს ხაზინაში 8 მილ. მანეთი ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვიდან, რა მიზნითაც 1926 წლ. 1 იანვრიდან უნდა გატარდეს ფოსტა-ტელეგრაფის არსებული ნიხრის გადიდება ერთი კაპეიკით უბრალო წერილზე და ერთი კაპეიკით დეპეშის თითო სიტყვაზე.

ნახევარ-კაპიკიანების გამოშვება

მოსკოვი, 10 დეკ. ზარაფხანამ გადასცა სახელმწიფო ბანკს მოსკოვში და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში გასაგზავნად ნახევარ-კაპიკიანების დიდი პარტია 150.000 მანეთის რაოდენობით.

1905 წლის რევოლიუციის იუბილე

მოსკოვი, 12 დეკემბ. მოსკოვის გუბერნიაში დაიწყო გაცხოველებული კამპანია 1925 წლ. იუბილეს ჩასატარებლად. ყველა რაიონებში და მაზრებში ეწყობა 1905 წლ. გამოფენები. წარმოებებში იმართება 1905 წლ. მონაწილეების მოგონებათა საღამოები, ლექციები, მიტინგები და სხვ.

გრიგალი ყირიმში

სიმფეროპოლი, 12 დეკემბერი. 9 დეკემბრს საღამოთი ყირიმზე გადაიარა გრიგალი. მნიშვნელოვანად დაზარალდა ტელეგრაფის ხაზი. წაქცეულია 300 ტელეგრაფის ბოძი, ნაწილობრივ დაგლეჯილია ტელეგრაფის მავთულები.

საბჭოთა ტრაქტორების გამოცდა

ლენინგრადი, 11 დეკემბ. საცდელი აგრონომიის სახელმწიფო ინსტიტუტმა საბჭოთა რუსეთის და საბჭოთა უკრაინის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატების წარმომადგენელთა თანადასწრებით, მოახდინა საბჭოთა ტრაქტორების გამოცდა. კომისია ადასტურებს, რომ საბჭოთა ტრაქტორების მშენებლობა მტკიცე ნიადაგზე სდგას.

გემის დაღუპვა

სევასტოპოლი, 11 დეკემბ. ხერსონის მონასტრის მახლობლად დაიღუპა ნახშირით დატვირთული გემი.

სპარსეთის მფრინავთა პირველი გამოშვება საბჭოთა სკოლებში

მოსკოვი 11 დეკ. 9 დეკემბერს მოსკოვში სპარსეთის წარმომადგენლობაში გაიმართა ზეიმი საბჭოთა საავიაციო სკოლიდან კურს დამთავრებული **სამი სპარსელი მფრინავის** გამოშვების აღსანიშნავად.

ზეიმს დაესწრნენ რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **უნშლიხტი**, რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს წევრი და მუშურ-გლეხური წითელი არმიის ინსპექტორი **კამენევი**, გარეშე საქმეთა სახ. კომისარის მოადგილე **ლიტვინოვი**, შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრი **არალოვი**, საბჭოთა კავშირის სამხედრო საჰაერო ძალების უფროსის თანაშემწე **მუკლევიჩი**, და სპარსეთის წარმომადგენლობის თანამდებობის პირნი.

საბჭოთა ტრაქტორები

ლენინგრადი 11 დეკემბ. **ქარხანა „წითელი პუტილოველი“ აფართოებს ფორდზონის სისტემის ტრაქტორების დამზადებას. ნოემბერში ქარხანამ გამოუშვა 24 ტრაქტორი.**

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რეფორმისათვის

მოსკოვი, 12 დეკემბ. გაიხსნა ადგილობრივ მუშაკთა თათბირი 1926—27 წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რეფორმის შესახებ. თათბირს დაესწრო 71 დელეგატი.

პირველ სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარმა **სოკოლნიკოვმა**, რომელმაც აღნიშნა, რომ არსებულ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადაქცევა შემოსავლის კვალობითი გადასახადათ მოითხოვს მთელ რიგ ელემენტების ლიკვიდაციას, რომლების ნაშთს.

სოკოლნიკოვის აზრით სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რეფორმას საფუძვლად უნდა დაედოს შემდეგი პრინციპი: „პირდაპირი გადასახადი სოფელში არის ფორმა საგლეხო მეურნეობის მონაწილეობისა ადგილობრივ სახელმწიფო ბიუჯეტის გამაგრებაში. აქედან გამომდინარეობს ის, რომ არ სცნობს რა აუცილებლად გადასახადის დაწესებას ყოველ გლეხზე, მომავალი კანონი საშუალებას იძლევა საგლეხო მეურეობათა მნიშვნელოვანი ნაწილი განთავისუფლებულ იქნეს გადასახადისაგან.

არა საკმაოდ ძლიერი საგლეხო მეურნეობა უნდა განთავისუფლებულ იქნეს ადგილობრივ სახელმწიფო ბიუჯეტის გამაგრებაში მონაწილეობის მიღებისაგან. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შედგენის დროს უნდა უარი ვსთქვათ საგლეხო მეურნეობის შემოსავლის აღრიცხვის [illegible] მოუტანდნენ საგლეხო მეურნეობას და ხელს შეუშლიდენ გლეხობას მშვიდობიან მუშაობაში“.

სოკოლნიკოვის სიტყვის შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენებები საგადასახადო პოლიტიკის ამოცანების და 1926—27 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სისტემის შესახებ.

ჩვენი მრეწველობის მდგომარეობა

ამხ. ძერჟინსკის მოხსენება

მოსკოვის საგუბერნიო პარტკონფერენციაზე

მოსკოვი, 11 დეკემბერი. მოსკოვის მე-14 საგუბერნიო კონფერენციის საღამოს სხდომაზე საბჭოთა კავშირის მრეწველობის მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა **ძერჟინსკიმ.**

ჩვენი მრეწველობის ზრდა

„უკანასკნელ წელს—სთქვა მან—**ჩვენი მრეწველობა 62 პროც.-ით გაიზარდა.**

ჩვენი სამრეწველო პოლიტიკა მდგომარეობდა არა იმაში, რომ ბევრი მოგება მიგვეღო, არამედ აგვეწია სოციალისტური მრეწველობის ნაყოფიერება და დაგვეკმაყოფილებია მთელი მოსახლეობის მოთხოვნილებანი. მიუხედავათ იმისა, რომ 1924—25 წელს ადგილი ჰქონდა ნაწილობრივ მოუსავლობას, პარტიამ მოგვცა დავალება გაგვეფართოებია წარმოება. **პროდუქციის ზრდა წელს უდრის 3.800.000.000 მანეთს.**

ბამბის, სელის და ზეთის წარმოებაში ჩვენ მივაღწიეთ ომის წინა დროის დონეს. უფრო ცუდათ არის საქმე ტყავის და მატყლის წარმოებაში. **საერთოთ მთელმა მრეწველობამ წელს მოგვცა 400 მილიონი მანეთი მოგება,** მაგრამ მოგებამ არ უნდა გაგვიტაცოს, ვინაიდან ამ მოგებით ჩვენ უნდა აღვადგინოთ ჩვენი ძირითადი თანხა“.

„მრეწველობის გაფართოება

ეხება რა მშენებლობის პროგრამას ძერჟინსკი ამბობს, რომ იგი შემოფარგლულია ....(გამოტოვებულია) იმ საშუალებათა ნაკლებობით, რომელიც საჭიროა მრეწველობის რეკონსტრუქციისათვის. **ჩვენ უნდა გამოვნახოთ ეს საშუალებანი,** რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მოგველის საქონლის დიდი ნაკლებობა, რაც გართულებით ემუქრება საბჭოთა სახელმწიფოს.

ძერჟინსკი აღნიშნავს, რომ საჭიროა დავაჩქაროთ ჩვენი საქონლის ბრუნვა, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდოს მრეწველობის როლი სახელმწიფო ბიუჯეტში.

შემდეგ ძერჟინსკი ეხება საიმპორტო-საექსპორტო გეგმას და აღნიშნავს, რომ მრეწველობამ შარშან მოგვცა მთელი ექსპორტის 35 პროცენტი, ხოლო წელს განზრახულია 100 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქციის გატანა. საჭიროა გაძლიერებული იქნას ახალ მოწყობილობის შემოტანა. **განზრახულია 60 მილიონი მანეთის მოწყობილობის შემოტანა.** უფრო მეტის ყიდვა ჩვენ არ შეგვიძლია. **ასეთ შემთხვევაში ჩვენ დამოკიდებული ვიქნებით** საზღვარ-გარეთელ კაპიტალისტებისაგან „**ჩვენ საკმაოთ ძლიერები ვართ და** [illegible] **საძლიერებლად ჩვენ უნდა გამოვნახოთ საშუალება ქვეყნის შიგნით.**

შრომის ნაყოფიერება და ხელფასი

ეხება რა შრომის საკითხებს, ძერჟინსკი აღნიშნავს, რომ წარმოებაში ჩაბმულ მუშათა რიცხვი, უკანასკნელ ხანებში გაიზარდა 525.000 კაცით. ხელფასი 1925 წ. აგვისტოში მთელ მრეწველობაში უდრიდა ომის წინა დროის ხელფასის 93 პროც.-ს, უკანასკნელ 2 წლის განმავლობაში გაიზარდა 46 პროც.-ით. რა თქმა უნდა, ეს ცოტაა. **შრომის ნაყოფიერება უფრო მეტად გაიზარდა ვიდრე ხელფასი.** მაგრამ უკანასკნელ ზაფხულზე მდგომარეობა გაუარესდა და ამიტომ წამოიჭრა საკითხი წარმოების რაციონალიზაციის შესახებ, რისთვისაც საჭიროა საშუალებების გამონახვა; **ეს საშუალებები ჩვენ უნდა მოვცეთ საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლებმა—მუშებმა და გლეხებმა.**

მუშა-ხელის მომზადება

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს მუშათა კვალიფიკაციის აღდგენა. საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლა ვერ აკმაყოფილებს მრეწველობის მოთხოვნილებას კვალიფიციურ მუშა-ხელის მაწოდების მხრივ, იგი ძალიან ძვირი ჯდება.

მუშათა კვალიფიკაციის საქმე უნდა გადაეცეს სამეურნეო ორგანოებს.

სპეციალისტების საკითხი

ეხება რა მრეწველობის ტეხნიკურ პერსონალს, ძერჟინსკი აღნიშნავს, რომ მხოლოდ პარტიის მიერ სპეციალისტებისადმი აღებულ სწორი გეზის წყალობით, **ჩვენ შევსძელით სპეცების ჩაბმა საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში.**

შუამავალი უნდა მოვიცილოთ

შემდეგ ძერჟინსკი ეხება ვაჭრობის საკითხებს და აღნიშნავს, რომ უკანასკნელ 2 წლის განმავლობაში მრეწველობამ გაიაფა პროდუქციის ფასები 30,8 პროც.-ით. საშიშროება მდგომარეობს იმაში, რომ მრეწველობას არ შეუძლია პროდუქციის დაახლოვება მომხმარებელთან. იმ დროს, როდესაც საბითუმო ფასები დაკლებულია 31 პროც.-ით, საწვრილმანო ფასები დაკლებულია მხოლოდ 20 პროც.-ით. უდიდეს მტერს სახელმწიფო მრეწველობასა და გლეხობას შორის წარმოადგენს შუამავალი.

ჩვენი ამოცანები

ბოლოს ძერჟინსკი აღნიშნავს მრეწველობის წინაშე დასმულ ამოცანებს: „საჭიროა გეგმაშეწონილად გაფართოებული იქნას საშუალებათა გამონახვა ძირითადი თანხის აღსადგენათ; ხელფასი უნდა იქნას შეფარდებული შრომის ნაყოფიერებასთან; საჭიროა საშუალებათა და სათბობ მასალის დაზოგვით ხარჯვა; საწვრი[illegible]ზადება, ექსპორტის გადიდება.

„ჩვენს პარტიას, ათავებს ძერჟინსკი, ყოფნის გაბედულობა აღნიშნოს სიმართლე, მან იცის მის წინაშე წამოჭრილი საფრთხე. ამაშია საწინდარი იმისა, რომ პარტია მუშათა მასებთან მჭიდრო კავშირში გადალახავს ყოველგვარ სიძნელეს“.

რას აკეთებს ქართული ემიგრაცია ევროპაში

(წერილი საფრანგეთიდან)

აქამომდის, როდესაც მე ჩემს წერილებში ქართულ ემიგრაციას ვეხებოდი, უმთავრესად ვცდილობდი გამომერკვია თუ რას ფიქრობს ის, როგორ უყურებს საბჭოთა ხელისუფლებას შეიცვალა თუ არა მან უკანასკნელ ხანებში თავისი დამოკიდებულება „ჟორდანიას მთავრობისადმი“ და როგორ ატყუილებდა მას ეს „მთავრობა“.

ეხლა მე მინდა ქართველმა მკითხველმა იცოდეს,—რას აკეთებს ემიგრაცია, როგორ და რით სცხოვრობს ის აქ, როგორ სცხოვრობს ფიზიკურათ და სულიერად. საჭიროდ მიმაჩნია ეს ცხოვრება ორ ხანად დავყო: ხანა სტამბოლის და ხანა ევროპის.

სტამბოლში ქისა გაშლილი იყო. საქართველოდან გამოტაცებული ფულები იფლანგებოდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. დოვლათი იმდენა იყო წამოღებული, რომ მისი რაოდენობაც კი არ იცოდენ; არ იცოდენ ისე, რომ თურმე ერთი სკივრი ოქრო სადღაც „გაებნათ“, რომელიც ჯერაც არ მოუნახავთ.

დოვლათის სიმდიდრემ ჩვენს მეთაურებს ტვინი აურია და სინდისი მიუძინა.

ამას ზედ დაერთო ის გარემოება, რომ ყველას გვეგონა, რომ ჩვენი გამარჯვებით უკან დაბრუნება სულ რამოდენიმე თვის საქმე იყო. გვეგონა, სანამ თვით, კაუცკიმ არ აუხსნა მენშევიკების ბელადებს, რომ ორორი თვით ანგარიში შეუძლებელია.

და აი, დოვლათის სიდიდემ და მალე დაბრუნების მოლოდინმა ქისა თითქმის ფსკერზე დაიყვანა, ყოველ შემთხვევაში, ძლიერ დაჩუტა.

ემიგრაცია დაყვეს ჯგუფებათ და ყველას „ჯამაგირები“ დაგვინიშნეს; ემიგრაციის ერთი ნაწილი კი სულ „უჯამაგიროთ“ დასტოვეს. ეს ის ნაწილი იყო, რომელსაც, ასე ვსთქვათ, პატრონი არ ჰყავდა და რომელიც ნაცნობობა-ნათესაობით და ნათლიმირონობით არ იყო გადაკვანძული მენშევიკების ლიდერებთან.

დაიწყო, ამგვარად, ერთის მხრით, „სმა-ჭამა მეტად შესარგი“ და მეორე მხრით—შიმშილ-წყურვილი. ამ ორ ჯგუფს გარეშე იდგენ თვით ლიდერები, რომლებიც ცინიკურად, აღვირ-ახსნილად და „ქამარ-შეხსნილად“ უანგარიშოდ ფლანგავდენ მათგან განაწამებ სამშობლოს ქონებას. მათ გაამდიდრეს სტამბოლის როსკიპი ქალები და კაფე-შანტანების პატრონები. და ყოველივე ეს ხდებოდა „სამშობლოს სიყვარულით“, „სამშობლოს გასანთავისუფლებლად“.

ერთი პატარა მაგალითი: საქართველოდან მოვიდა ცნობა სილიბისტრო ჯიბლაძის სიკვდილის შესახებ, ამ ყველასათვის საყვარელი ადამიანის დაკარგვის შესახებ. სილვას სიკვდილის ამბავი სწრაფად მოედვა სტამბოლის ქართველების უბნებში და...

იმ ღამეს ორი დიდი მენშევიკი—ერთი იმათგანი დღეს პარიზში მენშევიკურ „ბრძოლას“ რედაქტორობს—გათენებამდის ქეიფობდენ. ორივე ისინი მეორე დღეს ნოე ხომერიკმა „პოლიტიკური კომისიის“ ოთახიდან გარეთ გამორეკა.

რაც შეეხება სულიერ ცხოვრებას—სულ მოკლედ და ფოტოგრაფიულად ვიტყვი. „პოლიტიკური კომისიის“ ინფორმაციით ვიკვებებოდით; ვკმაყოფილდებოდით რამიშვილის მოხსენებებით, რომელიც ექსპრესით ჩამოიქროლებდა ხოლმე პარიზიდან და რომელიც ამისათვის, ჯამაგირის გარდა, იღებულობდა: სამგზავროს, დღიურს, სადღივნოს და კიდევ რაღაც სხვა ხარჯებს. ჭორები საქართველოდან! ჭორები პარიზ-ლონდონიდან! ჭორები და ჭორები! აი ჩვენი სულიერი საზრდო.

დამიჯერეთ და ნუ დაგვზრახავთ: საწყლები და საცოდავები ვიყავით!

ზღვა თუ კოვზმა ამოშრო, ჟორდანიას ქისას რაღა კარგი დღე დაადგებოდა ამდენი უჭკუო და უნამუსო ფართი-ფურთით.

როდესაც ჟორდანიამ დაინახა, რომ ბოლშევიკების გარეკვა არც ისე ადვილი საქმე ყოფილა და როდესაც მან „ჭკვაში ჩაიხედა“, მან „მოუჭი“-ს პოლიტიკას მიმართა და გამოაცხადა: ვინაიდან ფულები შემოგვაკლდა, ემიგრანტებს ველარ მივცემთ დახმარებას და ყველამ თავის თავს მოუაროსო.

„ჟორდანიას მთავრობის“ არსებობაზე უფრო ადვილად ავიღებდით ხელს, ვიდრე „ჯამაგირების“ მიუღებლობაზე! ამ საშინელ ცნობას ზედ დაერთო ქემალის გამარჯვება. ქემალმა დაამარცხა ბერძნები; ამით დამარცხდა ინგლისის პოლიტიკა და ამით გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ. უკანასკნელმა გაამარჯვებინა ქემალს. მაშ, ბოლშევიკები მოვლენ სტამბოლში, მოითხოვენ ჩვენ „გაცემას“ და... თავზე დაგვადგა თვით სიკვდილი.

დავემზადეთ გასაქცევად ზოგი სად და ზოგი სად. მივმართეთ ქ. გვარჯალაძეს და ვასო წულაძეს: ფულები ამათ ებარათ. კოწია ვასოსთან გვაგზავნის, ვასო—კოწიასთან. როგორც იქნა, მოლბნენ და გზის ფული და ერთი-ორი თვის საცხოვრებელი გვიწყალობეს. როდესაც ჩვენთან ისინი წუწუნებდენ და ოც ლირაზე გვევაჭრებოდენ, სწორედ იმ დროს ერთი ლიდერთაგანი ექსპრესით პარიზში გაამგზავრეს და 250 ლირა მისცეს. აქ ჰქონდა ადგილი ერთ სამარცხვინო მოვლენას. გასასტუმრებელი ფული ყველას ერთნაირად გაგვინაწილეს ვითომ. ყველამ ვიცოდით, რომ მეტ-ნაკლებს არიგებდენ. გვარჯალაძე ცალკე გვაძლევდა, წულაძე—ცალკე. მიმიხმო კოწიამ და მითხრა: შენ, ვანო, მოხუცებული კაცი ხარ, არც კი იცი, საით მიდიხარ და რა მოგელის; მე შენ გაძლევ სხვაზე მეტს ოც ლირას, მხოლოდ: არ დამღალო, არავის უთხრაო. ამის შემდეგ მხვდება ვასო. აი, ვანო, მართალია, შენ პარტიიდან გასული ხარ, მაგრამ არა უშავს რა, შენ კიდევ შემობრუნდები; მე გაძლევ შენ ათ ლირას (არ მახსოვს, 10 იყო თუ 15), მხოლოდ დამლუპავ ვინმეს რომ უთხრა. ფული ავიღე და ვკითხე: არ გაგეცინოს და ისე მითხარი: მე მერამდენე ვარ, რომ ასე მელაპარაკები მეთქი?

არც კი შეწითლებულა და მიპასუხა ღიმილით: ოხერო იყავი ყოველთვის და ოხერად მოკვდებიო.

ჩვენც ერთი მეორეს ვუმალავდით: ვინ რამდენი მივიღეთ, ბოლოს კი გამოაშკარავდა, რომ კოწია და ვასო საიდუმლოდ ყველას ასე, მე ვიტყვი, [illegible].

ავიღეთ გროშები, როგორც ამბობდა სილიბისტრო მაღნარაძე, რომელიც სამარეში ჰისდევს რამიშვილს, და გამოვიქეცით. ჩაგვყარეს სწორედ ისეთ ვაგონში, როგორშიდაც ძველ რუსეთში გადაჰყავდათ „რვა ცხენი ან 48 „ნიჟნი ჩინი“ და გამოგვისტუმრეს პრაღისაკენ.

სასოწარკვეთილნი, ყოველივე უფლება-აყრილნი, ყველგან და ყველასათვის ზედმეტნი!

რამდენი წვალება, რამდენი შეურაცხყოფა!

ყოველ საზღვარზე ჯოგივით გამოგვდენიდენ ვაგონიდან პასპორტების და ვიზების გასასინჯათ და ისევ უკან შეგვდენიდენ.

ვინ ამოგაღებინებდა ხმას! მეჯლუგუნიც კი მოგვხვედრია!

ჩვენ მუნჯნი ვიყავით! ჩვენ ყოფილი ადამიანები ვიყავით!

მაგრამ არა. ჩვენ ერთი კვირა ვიყავით გზაში და ამ ხნის განმავლობაში ჩვენც გვქონდა სიამოვნების წუთები. ეს იყო ჩვენი მოგონებები.

ყოფილი ადამიანი მუდამ მოგონებით, მუდამ წარსულით სცხოვრობს ან სიამოვნობს.

ჩვენც, ყოფილი კომისარი, ყოფილი დირექტორი, ყოფილი მილიციის უფროსი, ყოფილი პირადი მდივანი, ყოფილი... არა, სამარადისო მინისტრის, ჩვენ ყველანი ვყვებით ძველ ამბებს.

ოხ, როგორ ცეკვოდა იმ დაწყევლილ ვაგონში!

გვაგონდება კაბინეთი, რბილი სავარძელი, ელექტრონის ზარა, კარისკაცი, მთხოვნელები, მთხოვნელები, მთხოვნელები, მოხსენებები. ჭერა და განთავისუფლება, განთავისუფლება და ჭერა! მოგონება მოგონებას სცვლიდა, ამბავი ამბავს მისდევდა. ჩვენც ხალხნი ვიყავით. აქ კი? აქ ჩვენ, აი ამ ვაგონში, ჩვენ ჩვენის მოგონებებით.. გორკის ტიპები ვართ, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ ისინი პროტესტანტები იყვნენ, ჩვენ კი ჟორდანია-რამიშვილის ყურ-მოჭრილი მონები ვართ; მეტიც: ლაქიები ვართ! არავის ეგონოს, რომ მე [illegible] შევსტოპე, ბელეტრისტის პრეტენზია მქონდეს, არა! მე ფოტოგრაფიული კალამი მიჭირავს ხელში.

მერწმუნეთ.

მერვე დღეზე ჩვენ პრაღაში მოვედით. ზოგიერთები ვარშავაში წავიდენ, ზოგიც გერმანიაში.

ჟორდანია იმ ხანებში ემიგრაციას პარიზში არ უშვებდა;—ეს რაღა თქმა უნდა, იმიტომ, რომ შორიდან უფრო ადვილია ხალხის მოტყუილება. გარდა ამისა, ახლოს მყოფი გაჭირვებული ემიგრაცია უფრო მეტს „გამოლღეტდა“ გამოტაცებული დოვლათიდან და საერთოდ უფრო მეტ უსიამოვნებას მიაყენებდა ბატონებს. ასე რომ, თითო-ოროლა ემიგრანტი თუ მოახერხებდა პარიზში გაძრომას, თორემ მთელი მასა მისგან მოშორებით იდგა.

შემდეგ, როდესაც გერმანიასაც და პოლონეთსაც მობეზრდათ უცხოელი მათხოვრების შენახვა, მით უმეტეს, რომ თვითონაც ბევრი ჰყავდათ უმუშევარნი და მათხოვარნი, და როდესაც თვით ჩეხიამ უსიამოვნო და გამაფრთხილებელი სიმები მოსმართა, ქართული ემიგრაცია საფრანგეთსაც მიაწვა. ბევრი ეცადა ჟორდანია ემიგრაციის ტალღა არ დატაკებოდა გამოტაცებული ფულით პარიზთან ახლო ნაყიდ „სასახლეს“, მაგრამ ვერას გახდა. ეხლა ემიგრაციის უმთავრესი ნაწილი საფრანგეთში იმყოფება.

რას აკეთებს ემიგრაცია?

ერთი ნაწილი, ლიდერები და მათი უახლოესი დამქაშები, არაფერს. ესენი ჭამენ. „ჯამაგირები“ აქვთ დანიშნული და ჭამენ. თავსაც იქცევენ, ე. ი. პოლიტიკას აწარმოებენ. თუ სამინისტროს მეხუთე ხარისხოვანი მოხელე სადმე კაფეში ხელში ჩაიგდეს და „დაპყრობილ“ საქართველოზე ემასლაათეს, და მანაც საქართველოს სადღეგრძელო დალია, მეორე დღეს მთელი ემიგრაცია დაჯერებულია, რომ თვით პუანკარე ეწირება საქართველოს „გამანთავისუფლებელ“ ლაშქარს.

რენოდელი, მაკდონალდი და ვანდერველდე ხომ დიდი ხანია ხმალს ლესენ ბოლშევიკების თავის მოსაჭრელად.

ემიგრაციის მეორე ნაწილი ფაბრიკა-ქარხნებში და მემამულეებთან მუშაობს.

აქ საერთოდ მუშების ინტერესები ძლიერ ნაკლებად არის დაცული და მით უმეტეს,—უცხოელების. უბრალო მეთვალყურე განუკითხავათ ითხოვს მუშას, და მოსარჩლე კი არსად არ სჩანს. კრების, სიტყვის და წერის თავისუფლება მხოლოდ ქაღალდზეა აღნიშნული, სინამდვილეში კი არ სრულდება, ვინაიდან მუშაობა და შესვენებები ისეა მოწყობილ-განაწილებული, რომ ადრე დილიდან გვიან საღამომდის მუშა სამუშაოსთან არის მიკრული და ისე დაქანცულია მთელი დღის მუშაობით, რომ „თავისუფლებისთვის“ აღარ სცალია. ხელფასი ისე მცირეა, რომ აქაური მუშა თითქმის ნახევრად მშიერია.

ასეთ პირობებში მუშაობს ქართული ემიგრაცია; და იგი ბედნიერად გრძნობს თავს, თუ სამუშაო იშოვნა ფაბრიკა-ქარხნებში. სოფლად, მემამულეებთან მუშაობა, ხომ ნამდვილი „კატორღაა“. მიხედავად ასეთი პირობებისა, ემიგრაცია მაინც ამჯობინებს მუშაობას.

ემიგრაციის მეორე ნაწილი სხვაგვარ მუშაობას აწარმოებს. გამოწყობილი ჩოხა-მესტებ-ლეკურ-ხანჯალში ის ცეკვავს ლეკურს. ამათ არაფერი ჯამაგირი არ ეძლევათ. დიდ დიდ კაფე-რესტორანებში, სადაც თავს იყრის მსოფლიო ბურჟუაზია და მისი ლაქიები,—მსხვილი ბიუროკრატები,—დროს ატარება იწყება შუაღამეს და თავდება გათენებისას, ლეკური ერთ-ერთი დროს გატარებაა. და აი, ყოფილი თავადი, ყოფილი ოფიცერი, და ყოფილი სტუდენტი ხელებგაშლილი და ჩოხაშემოკეცილი დასრიალობს და ხტუნავს, რომელიმე გალეშილ ამერიკელის მაგიდის წინ და ესეც, ნიშნად მადლობისა და კმაყოფილებისა, გადაუგდებს ხოლმე „ქეთო-ჯიენს“ და „კავკაზიელს“ დოლარებს, რომლებსაც უკანასკნელნი ჰაერში მარდათ იჭერენ.

ყველანი ეროვნულ სამოსელში არ არიან გამოწყობილნი. ზოგიერთები სმოკინგებში არიან გამოწყობილნი და მიჩნეულ ადგილებზე ზიან. ასეთ ადგილებში დაიარებიან „დიდი-კაცების“ ქალები, უფრო მეტად უცხოელნი, და აქ ცეკვით ერთობიან ე. ი. თვითონ ცეკვავენ, ამათთვის არიან გამზადებულნი სმოკინგებში გამოწყობილნი და ვალდებულნი არიან იცეკვონ: ეს არის მათი ხელობა. ამათში მეტად ფასობენ, ახოვანნი, ლამაზნი და ევროპიულ ენაზე მოლაპარაკენი.

ბევრი სრულებით უადგილოთ არიან დარჩენილნი, დროგამოშვებით მაინც და ამათი მდგომარეობა ხომ აუტანელია: ესენი მომუშავე ამხანაგებმა უნდა შეინახონ.

მიუხედავათ ასეთი გაჭირვებისა, უუფლებობისა და პირდაპირ სამარცხვინო „შრომისა“, ემიგრაციას შინ დაბრუნების რცხვენია და ეშინია. ვისი?

მართალია, მათ უნდა შეიგნონ, რომ აქ სასადილოებში საინების რეცხვას, ლეკურის ცეკვას და ამერიკულ ქალთან სმოკინგში სავალდებულო ცეკვას და, ვინ იცის, დროებითი სიყვარულის მორევში, იძულებულ შეცურვას,—მათ უნდა ამჯობინონ შინ დაბრუნება და იქ პატიოსანი და ხალხის სასარგებლო შრომა; მაგრამ მათ აქვთ „შემამსუბუქებელი“ გარემოება. ეს გარემოება საქართველოსათვის უცნობია, გაუგებარია. აქ კი ჩვენ მას ვიცნობთ და გვესმის მისი გავლენა. ეს არის „ჟორდანიას მთავრობა“ და მის ირგვლივ თავმოყრილი, აწ უკვე ეგრედწოდებული პარტიების წარმომადგენლები.

საქართველო ვერც კი წარმოიდგენს, თუ როგორ ფსიქოლოგიურ მუხრუჭში ჰყავს ამ ბოროტ „მთავრობას“ ეს ემიგრაცია. სიმართლე უნდა ითქვას, რომ მეტად მოხერხებულად იყენებს ეს „მთავრობა“ სულ უბრალო ფაქტებსაც კი. აი, ჟენევაში ჟორდანია ბანკეტზე ესწრება, სადაც თავი მოუყრიათ ამა ქვეყნის „წარჩინებულთ“. იქ საქართველოს სადღეგრძელოს სვამენ და უსურვებენ მას „განთავისუფლებას“. საქართველოსთვის ეს უმნიშვნელო ფაქტია და სადღეგრძელოზე იმედების დამყარება მხოლოდ ღიმილს გამოიწვევს,—უეჭველია. მაგრამ დამონებულ, დაბეჩავებულ ემიგრანტისათვის ეს პატარა ფაქტი, მერე ლიდერების მიერ გაზვიადებულ-გაბერილი, დიდი ღირებულების მქონეა. საინების რაწკარუწკში, ლეკურში სრიალში დროებით სიყვარულში, ფაბრიკა-ქარხნებში ბორბლების გრიალში და საერთოდ ყოველ-დღიურ ლუკმა-პურის ოხვრა-კვნესით ძებნაში,—ემიგრანტი პოლიტიკურად უვიცია, ბრმაა და მისი გაბრუება და მოტყუილება, თუ გინდ სადღეგრძელოთი, ძლიერ ადვილია.

უნდა გამოვტყდე, მე ძლიერ მოწადინებული ვარ ეს სურათი მარტივად, მკაფიოთ და ყველასათვის გასაგებად დავხატო, მაგრამ ჩემთვის ეს ძლიერ ძნელია; მე ვფიქრობ, ამისათვის არაჩვეულებრივი კალამია საჭირო.

ამგვარად სარგებლობს ჟორდანია ემიგრაციის მდგომარეობით მას ძლიერ კარგად იცის, რომ მას ხსნა არსაიდან აღარ მოელის, რომ ვერც აჯანყებით, ვერც მატარებლების და ხიდების აფეთქებით, ვერც რაღაც „მსოფლიო კატასტროფით“ და ვერც რაღა თქმა უნდა, რუსეთის დემოკრატიასთან შეერთებით, ის საქართველოს ვერ „გაანთავისუფლებს“, ვინაიდან: აჯანყება სისხლში ჩაიხრჩობა, აფეთქებები უამრავ მსხვერპლს მოითხოვს და რუსეთის დემოკრატიის შემაერთებელი ძაფები უკვე დაწყვეტილია და ეს „დემოკრატია“ მხოლოდ ევროპაში იქცევს თავს და ლაყბობს. მან ეს ყოველივე იცის, მაგრამ მას იმდენი პოლიტიკური გამბედაობა არ აქვს, რომ საჯაროდ აღიაროს სიმართლე და ბრძოლაზე ხელი აიღოს.

ვინც მიუდგომელი იქნება და ვინც ჯიუტობას არ დაიწყებს, მან ხომ უნდა სთქვას, რომ:

1) არასდროს არც ერთ ხელისუფლებას არც ნამდვილ ფორმალურად და არც პრაქტიკულად მშრომელი ერისთვის იმდენი თავისუფლება არ მიუცია, რამდენიც საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა ქართველ მშრომელ ერს;

2) არასდროს ქართველი მშრომელი ერის საკეთილდღეოთ იმდენი არ გაკეთებულა, რამდენიც საბჭოთა ხელისუფლებამ გააკეთა.

და ჩემთვის პირდაპირ გაუგებარია, რას მოელის ქართველი ერის ის ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ ჟორდანიასაკენ და ევროპისკენ იცქირება!

მე არა ნაკლებ ისიც მიკვირს, როგორ ვერ გაიგო ემიგრაციამ, რომ არც მისთვის და არც საქართველოსთვის ევროპას არ სცალია და სადღეგრძელოებით ჯერ არც ერთი ერი არ განთავისუფლებულა!

ნუ თუ არ სჯობს უუფლებო მდგომარეობაში წელში გამწყვეტ მუშაობას და სამარცხვინო ცეკვა-ხტუნვას, სხვის გასართობად,—თავის ქვეყანაში, მის ერთან ერთად ნაყოფიერი და პატიოსანი შრომა?

ევროპაში ღობის ძირში სიკვდილის მოლოდინი. საქართველოში მშრომელ ერთან მშრომელი ერის საკეთილდღეო მუშაობა,

აქ არჩევან-არადანის საკითხი არც კი უნდა დაისვას.

ივ. კაჩუხაშვილი.

პარიზი I დეკემბერი.

პარტიული ცხოვრება

სახელწოდების გამოცვლა რუსეთის კომპარტიისათვის

მოსკოვი, 10 დეკემბ. რუსეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა შეიტანოს პარტიის ყრილობაზე წინადადება რუსეთის კომპარტიისათვის (ბ) სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა)—დარქმევის შესახებ.

ახ. კომკავშირის კონფერენციისათვის

პარტიული კონფერენციები და ყრილობები უკვე დამთავრდა, როგორც საქართველოში, ისე ამიერკავკასიაში. სხვა საკითხებთან ერთად იქ ირჩეოდა ახალგაზრდობაში მუშაობის საკითხებიც. გამოირკვა, რომ ჩვენ მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს. კომკავშირის რიგები შეუჩერებლად იზრდება, მისი გავლენა უპარტიო ახალგაზრდებში თანდათან მტკიცე ნიადაგზე დგება, კომკავშირის უჯრედებში აყარება განცხადებები შედის კავშირში მიღების შესახებ. ხაზგასმულია ის მდგომარეობა, რომ კავშირის ზრდა უმთავრესად მუშა და ღარიბ გლეხთა ახალგაზრდობის ხარჯზე ხდება.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ დადებით მხარეებთან ერთად კავშირს უარყოფითი მხარეებიც აქვს. კომკავშირში ვერ არის კარგათ დაყენებული სწავლა-აღზრდის საქმე. ბევრი ახალგაზრდა კომკავშირელი სწავლას გაურბის, არ აინტერესებს ცოდნის შეძენა. თუ სამსახური იშოვნა, შემდეგ სწავლაზე აღარ ფიქრობს. ამას მეტ ნაწილათ ადგილი აქვს სოფლათ. ეს მდგომარეობა აუცილებლათ უნდა აღმოიფხვრას. დიდი ბელადის ლენინის სიტყვებს „სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლა" აუცილებლათ ხორცი უნდა შეესხას. ახ. კომკავშირი ჩვენი პარტიის მომავალი იმედია, მან უნდა შეავსოს პარტიის რიგები. ამიტომ საჭიროა, რომ კომკავშირის წევრთა სწავლა-განვითარებას, მეცნიერულ ცოდნის შეძენას, ყურადღება ეპყრობოდეს. ჩვენი სახელმწიფოს მომავალი ხელმძღვანელები სათანადო ცოდნით უნდა იყვნენ აღჭურვილნი. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ბოლშევიზმის ისტორიის შესწავლა, ლენინიზმის შესწავლა უსათუოდ თავის სიმაღლეზე უნდა იყვეს დაყენებული.

კომკავშირის მომავალმა კონფერენციებმა ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ, რომ კომკავშირის წევრთა საერთო სწავლა-განვითარების, ბოლშევიზმისა და ლენინიზმის შესწავლის საქმე მოწესრიგებული იქნეს.

მეორე საკითხი, რომელსაც აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს, ეს არის ყოფა-ცხოვრების საკითხი. კომკავშირელებში ადგილი აქვს ლოთობას, რაც ხრწნის კავშირის რიგებს. ამასაც ბოლო უნდა მოეღოს. კავშირმა პარტიასთან ერთად ბრძოლა უნდა გამოუცხადოს ამ მოვლენას. თუ ეს სენი აქედანვე არ აღმოიფხვრა, უსათუოდ შთაბეჭდილებას მოახდენს ეს უპარტიო მშრომელ ახალგაზრდობაზე. აქვს ჩვენ ორგანიზაციას კიდევ ზოგიერთი ავადმყოფი ადგილები, რომლებიც გახურებული შანთით უნდა ამოიწვას.

მომავალმა კონფერენციებმა ეს საკითხები სერიოზულათ უნდა გაარჩიონ და შესაფერი ზომები გამომუშაონ.

როგორც ვთქვით კომკავშირის მდგომარეობა განმტკიცებულია, ხოლოდ საჭიროა შენიშნულ უარყოფით მხარეებს შევებრძოლოთ, რითაც უზრუნველვყოფთ მისი ავტორიტეტის ზრდას უპარტიო მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობაში.

ო.

პოლიტგანათლება პარტიაში

დღემდი ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა პოლიტგანათლების საქმის მოწესრიგებას. საკმაო მომზადების გარეშე კი შეუძლებელია კომუნისტმა მასზე დაკისრებული მოვალეობა შეასრულოს, და რაც უმთავრესია შესძლოს პარტიის გარშემო უპარტიო მშრომელთა შემოკრება და მათი ხელმძღვანელობა. ამიტომ ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა მოვსპოთ პოლიტიკური უცოდინარობა.

პარტიამ წელს სერიოზულად მო- [illegible] ლაქად, ისე სოფლად, მაგრამ მას ხვდება ზოგიერთი დაბრკოლებანი, რასაც გვინდა შევეხოთ თბილისის გამოცდილების მიხედვით.

პარტიის ზოგიერთ წევრებს არ ესმით პოლიტსკოლებში მეცადინეობის მნიშვნელობა, ამიტომ ისინი ხშირად აცდებიან მეცადინეობას. ამ არანორმალურ მოვლენის მოსასპობად მიღებულ უნდა იქნას როგორც აღმზრდელობითი, ისე დისციპლინალური ზომები. ამხანაგებს უნდა შევაგნებინოთ, რომ მათთვის სკოლის მეცადინეობაზე დასწრება ისევე სავალდებულოა, როგორც უჯრედის სხდომაზე.

არის შემთხვევები, როდესაც პარტიის წევრი ვერ ესწრება მეცადინეობას სხვა პარტიულ დავალებე- [illegible] ლეთა უნდა მიიღონ ეს მხედველობაში და ის წევრები, რომლებიც სკოლაში მეცადინეობენ განტვირთონ პარტმოვალეობებიდან.

დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლის მსმენელთა მეცადინეობით დაინტერესებას და მის მეთოდათ საუბრის სისწორით გამოყენებას.

სკოლაში შეთვისებული ცოდნა უნდა განმტკიცებულ იქნას სახლში წიგნების კითხვით; ამიტომ ეხლავე უნდა უზრუნველვყოთ ისინი სათანადო ლიტერატურით.

დრო არ ითმენს. ეხლავე უნდა გაჩაღდეს მეცადინეობა ლენინიზმის შემსწავლელ და თვითგანვითარების წრეებში.

აუცილებელია ფართოდ გაშუქდეს პრესაში მიღებულ გამოცდილების შესახებ და აგრეთვე პოლიტგანათლების სფეროში მუშაობის საკითხები.

ვან ფ.—ლი.

წერილები ადგილებიდან

ბორჯომის რაიონის პარტიულ ორგანიზაციაში

ბორჯომის რაიონში შედის 17 კომუჯრედი, რომელთაგან 6 საწარმოო უჯრედია, 1 საბჭოთა მუშა-მოსამსახურეების, ხოლო დანარჩენი გლეხური უჯრედები. საერთო რიცხვი წევრებისა და კანდიდატებისა უდრის 286-ს, აქედან 194 წევრია, დანარჩენი კი კანდიდატები, ორგანიზაციის 70 პროც. წარმოების მუშებია, რისთვისაც ეს რაიონი საწარმოო რაიონი ეწოდება.

ამ რამდენიმე ხნის წინათ მოხდა კომუჯრედების მდივნების და ბიუროს წევრების გადარჩევა. არჩეულ იქნენ ისეთი აქტიური ამხანაგები, რომლებიც შესძლებენ მომავალი მუშაობის სწორი ხაზით წარმოებას. ბიუროების მდივნების და წევრების გადარჩევის შემდეგ მოხდა მე-7-დე სარაიონო პარტ-კონფერენცია, სადაც სხვა საკითხებთან ერთათ მოსმენილ იქნა პარტკომის მუშაობის ანგარიში.

ანგარიშიდან ირკვევა, რომ ჩვენს ორგანიზაციაში სრული ერთსულოვანობაა.

ახკომკავშირის შორის მუშაობა სწორადა დაყენებული, რასაც ამტკიცებს მისი რიცხვობრივათ ზრდა და აქტივობის აწევა.

საკმაო ყურადღება იყო მიპყრობილი ქალთა ორგანიზაციის სათანადოთ ჩამოსაყალიბებლათ, ამის დამამტკიცებელია ქალთა სადელეგატო კრებების აქტიური მუშაობა.

სათანადოთ იყო დაყენებული კულტური მუშაობა. პარტიის წევრთა 90 პროც. იწერს სხვადასხვა გაზეთებს, და ჟურნალებს. არ არის არც ერთი წევრი, რომ ჩაწერილ არ იყვეს თავისუფალ საზოგადოებების წევრებათ.

დაცული იყო სრული დემოკრატიულობა, რამაც ხელი შეუწყო პარტიის წევრთა აქტივობას.

პარტკომის მიერ მიღებულია ზომები წევრთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელათ, რის შემდეგათ შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზაციის 95 პროც. წერა-კითხვის მცოდნეა.

ბორჯომი აერთიანებს მრავალ ეკონომიურ კულტურულ დაწესებულებებს, როგორიცაა: კომბინატი, საკურორტო სამმართველო, სატყეო, დისტანცია, და სხვა, რომელთა საერთო ხელმძღვანელობა პარტიული ხაზით დიდათ ართულებდა პარტკომის მუშაობას, მაგრამ უკანასკნელის მიუხედავათ პარტკომმა მაინც შესძლო სათანადო ხელმძღვანელობის გაწევა იმ სახით, როგორითაც იგი მოვალე იყო.

შ. მაისურაძე.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

კომკავშირის მუშაობა ბანძის რაიონში

ბანძის ა. ლ. კ. კ. რაიკომს ექვემდებარება სამი თემკომი, თვითეულ თემში არის 3 უჯრედი.

ამ ზაფხულში კომკავშირის რიგებში მუშაობა ძლიერ გაცხოველდა, ამ მუშაობაში გამოყენებული იქნენ საზაფხულოდ სოფლად ჩამოსული მოწაფეები და სტუდენტები. დიდი ყურადღება ექცეოდა ცალ-ცალკე უჯრედების მუშაობის გამოცოცხლებას, ტარდებოდა კამპანიები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ანაკლიის უჯრედის მუშაობა, რომელიც აწარმოებდა ქვრივ-ობლების ყანების გათოხნა-დამუშავებას, სისტემატიურად [illegible] უჯრედში; მეცადინეობას ბლომათ ესწრებოდა აგრეთვე უპარტიო ახალგაზრდობა.

საერთოდ ყველა უჯრედი დგას თავის სიმაღლეზე გარდა თვით ბანძის უჯრედისა, რომელიც დღესაც მოისუსტებს.

„იოკე".

მამათის უჯრედი (გურია)

ზემოხსენებული უჯრედი აერთიანებს 56 წევრს. წინათ აქ მუშაობა მოისუსტებდა. ამ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა მუშაობის გაუმჯობესების მხრით. უჯრედი უშვებს ორკვირეულ კედლის გაზეთს, რომელმაც გლეხებში დიდი გავლენა დაიმსახურა. არის დაარსებული სხვადასხვა წრეები, როგორიცაა პოლიტწრე, ახკორთა წრე, დრამწრე და სხვა. ყველა საქმიან მუშაობას აწარმოებს. კომკავშირელები ჩაწერილი არიან რემდასში.

საზოგადოებრივ-კულტურულ მუშაობაში [illegible] წილეობას იღებს და გლეხობაშიაც კარგი ავტორიტეტით სარგებლობს.

უპარტიო ახალგაზრდობა ყოველივე საზოგადოებრივ საქმეში ჩვენთან არის. ყოველ დღე შემოდის უპარტიო ახალგაზრდობისაგან განცხადებები კომკავშირში შემოსვლის შესახებ.

შ. კვინტრაძე.

საბჭოთა აღმშენებლობა

ძეხვის ქარხანა

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა ქალაქის სასაკლაოსთან მოაწყოს ძეხვის ქარხანა. ხარჯთაღრიცხვა უკვე შედგენილია. ქარხნის აგება და მოწყობა ჯდება 50 ათასი მანეთი.

სასკოლო შენობები

ლანირ ქვიტირის (ქუთაისის მაზრა) და აშაგა-სერალის თემები (ბორჩალოს მაზრა) აგებენ სასკოლო შენობებს შვიდწლედების მოსათავსებლად. მათი შუამდგომლობის თანახმად საქ. ცაკმა გადასდო თანხა სკოლების დასახმარებლად.

ტრამვაი ბათომში.

აჭარისტანის ეკონომიურმა საბჭომ საქართველოს სახ. კომ. საბჭოს წინაშე შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ აჭარისტანის მთავრობას მისცეს 5 მილიონი მანეთი ბათომში ელექტრონის ტრამვაის გასაყვანად. ტრამვაის გასაყვანი გეგმა და ხარჯთაღრიცხვა უკვე შედგენილია. პირველ რიგში განზრახულია ტრამვაის ხაზის გაყვანა ნავთის სინდიკატის ქარხნების, მთავარი საავადმყოფოების მიმართულებით და დაშორებულ მუშათა რაიონებში.

კბილის საექიმო კაბინეტები.

აჭარისტანის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა 3 მაზრაში დამთავრა კბილის საექიმო კაბინეტის მოწყობა

კარტონის ფაბრიკა ქუთაისში

გლეხთა დამხმარე კომიტეტმა ქუთაისში ნოაყველი კოლონიების და პაპიროსის ქაღალდის დასამზადებელი ქარხანა, რომლისთვისაც გერმანიიდან გამოწერილ იქნა ქაღალდის საჭრელი მანქანები, ერთი მათგანი უკვე მიღებულია, მოკლე ხანში მიღებული იქნება კიდევ ორი მანქანა. ქარხანა შეკვეთებს იღებს სხვადასხვა ადგილებიდან.

ქარხანა ერთი წლიწადია მუშაობს.

სამეურნეო წლის დასასრულს ქარხანას დარჩა 5 ათასი მ. წმინდა მოგება. ამჟამად ქარხანაში მუშაობს 38 კაცი;

აბრეშუმის ქარხანა ოზურგეთში

სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ ოზურგეთში დაიწყო აბრეშუმის ამოსახვევი ფაბრიკის მოწყობა ფაბრიკის აგება და მოწყობა ჯდება სულ 150 ათასი მანეთი. ქარხნის მოწყობილობა უკვე გამოწერილია იტალიიდან. შენობის აგება დამთავრდება მარტის ბოლო რიცხვებში. თუ გამოწერილი იარაღები თავის დროზე იქნა მიღებული, ფაბრიკა მუშაობას დაიწყებს ივლისის დასასრულს—აბრეშუმის პარკის შეგროვების დროს.

სახალხო სახლი

სოფელ ახალგავაზში (კახეთი) დამთავრდა სახალხო სახლის აგება. ერთი კვირის წინად მოხდა სახლის საზეიმო გახსნა. სახლი გაიხსნა ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობაზე.

სასოფლო მეურნეობა

მესაქონლეობა სენაკის მაზრაში

სენაკის მაზრაში გლეხის მეურნეობა დღითი-დღე მტკიცდება და მყარ ნიადაგზე დგება. მაზრაში იშვიათია გლეხის ისეთი მეურნეობა, რომელსაც არ ჰყავდეს 1-დან 12 თავამდე საქონელი, 1923 წელს მაზრაში ირიცხებოდა 165.000 სული საქონელი. წლანახევრის განმავლობაში საქონლის ჭირმა და საქონლის სხვა ავადმყოფობამ ეს რიცხვი შეამცირა. ამ ჟამად ყოველი გლეხი ცდილობს შეიძინოს საქონელი და გაამრავლოს, როგორც მუშა, ისე მეწველი პირუტყვი.

სენაკის მაზრაში მეურნეობათა რიცხვი—25,858 უდრის, ხოლო საქონლის რაოდენობა კი ასეთია: ცხენი—8.818 ე. ი. ყოველ 7 მეურნეობაზე მოდის ერთი ცხენი. მსხვილ რქოსანი საქონლის რიცხვი აღწევს 53.181, ყოველ მეურნეობაზე მოდის თითქმის 3 სული რქოსანი საქონელი, ცხვარის რაოდენობა მაზრაში უდრის—4.614; ე. ი. ყოველ 6 მეურნეზე მოდის ერთი ცხვარი, თხების რიცხვი შეადგენს 10.165 ყოველ 2,5 მეურნეობაზე მოდის ერთი თხა. ღორების რაოდენობა 42200-მდე აწევს.

თვითეულ მეურნეობაზე მოდის ორი ღორი.

სულ მაზრაში 134.063 სული საქონელია, ე. ი. თვითეულ მეურნეობაზე მოდის 5-დან—6-მდე საქონელი.

მესაქონლეობის განვითარებას სენაკის მაზრაში აბრკოლებს მეტად საძოვრების უქონლობა. მაზრაში მოიპოვება საძოვრები, მაგრამ უკანასკნელ დრომდე გაწესრიგებული არ არის საძოვრებით სარგებლობის საკითხი, რაც მეტად აფერხებს მესაქონლეობის ნორმალურ განვითარებას მთელს მაზრაში. მესაქონლეობის შეუჩერებლივი ზრდა მოითხოვს საძოვრების საკითხის სწორ გადაწყვეტას.

არდადეგები

განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით უმაღლეს სასწავლებლების (სახელმწიფო უნივერსიტეტი, პოლიტეხნიკური ინსტიტუტი, სახელმწიფო კონსერვატორია და სამხატვრო აკადემია) სტუდენტებისათვის და მუშფაკებისათვის საზამთრო არდადეგები იწყება 1926 წლის პირველ იანვარს და გრძელდება იმავე თვის დამლევამდე.

შრომის სკოლების, ტეხნიკუმებსა და პედაგოგიურ ინსტიტუტის მოწაფეების საზამთრო არდადეგები იწყება დეკემბრის 25 და გრძელდება პირველ თებერვლამდე. მოწაფეების ადრე დათხოვნა თბილისში გამოწვეულია იმ გარემოებით რომ ამ ჟამად თბილისში გავრცელებულია ბავშთა გადამდები ავადმყოფობანი; ქუნთრუშა, წითელა და ხუნაგი.

განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებითვე საქართველოს ყველა სასწავლებლებში: უმაღლეს! საშუალო სასწავლებლებსა და შრომის სკოლების მოსწავლეებისათვის საგაზაფხულო არდადეგები იწყება 4 აპრილს და გრძელდება 11 აპრილამდე.

დადგენილია აგრეთვე ყველა სასწავლებლებში სამოსწავლო წელი დამთავრებული იქნეს ივნისის დამლევისათვის.

განათლების სამაზრო განყოფილებებს უფლება ეძლევათ ადგილობრივი პირობების მიხედვით შეიტანონ სათანადო ცვლილებები სახ. განათლების სახ. კომის. მიერ არდადეგების შესახებ გამოცემულ დადგენილებებში.

ელექტრო მშენებლობა

მუშაობის მიმდინარეობა აბაშის ჰიდრო ელსადგურზე

აბაშის ჰიდრო ელექტრო-სადგურის საამშენებლო მუშაობა დაიწყო 1923 წლის ზაფხულში. სადგურის სრული ძალოვნება საბოლოოდ დამთავრების შემდეგ იქნება 2600 ცხენის ძალა. პირველ ხანებში კი დადგმული იქნება ორი ტურბინა, რომელიც გამოუშვებს 1700 ცხენის ძალას. სადგური ელექტრო ენერგიას მიაწოდებს მთელს სენაკის მაზრის სამტრედიის და ხონის რაიონებს და ქალაქ ფოთს.

სადგურის მიერ მიწოდებული ენერგიით იმუშავებენ აგრეთვე ბამბის საწმენდი და აბრეშუმის ამოსახვევი ქარხნები, რომელთა აგებაც განზრახულია მიმდინარე სამეურნეო წელში ხონსა, ბანძასა და სამტრედიაში.

ფოთის ელევატორიც ამუშავებული იქნება აბაშის ჰიდროელსადგურის ენერგიით ამჟამათ აბაშის ჰიდრო ელ-სადგურის მუშაობის უდიდესი ნაწილი დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. სავსებით დასრულებულია მიწის და კლდის სამუშაოები.—არხი გაყვანილია ბოლომდე. ამ ჟამად სწარმოებს არხის კედლების ქვით მოგება და დატინოვება. არხზე აგებულია პატარა ხიდი, დამთავრებულია აგრეთვე პატარა აკვედუკი. ამ ჟამად სწარმოებს სკურდის ების 40 ღელეზე მეორე აკვედუკის აგება. ამ უკანასკნელის სიგრძე 18 საჟენს უდრის. დღემდე აკვედუკის სამუშაო-პროცენტზე მეტი დამთავრებული მთავარ საგუბარში ტინობით აშენებულია 50 კუბიკური საჟენი. არხის სათავის კედლები აშენებულია ტინობით 30 კუბიკურ საჟენზე. საერთოდ მთავარ საგუბარზე შესრულებულია 90 პროცენტი როგორც მიწის, ისე კლდის სამუშაოებისა.

მთავარ საგუბრამდე სავსებით გაკეთებულია რკინის ნაწილები. ეხლა მიმდინარეობს მიწის სამუშაოები საგენერატორო სადგურის ასაშენებლად. შენდება აგრეთვე სახლები სადგურის მოსამსახურე პერსონალის მუდმივ საცხოვრებლად.

ამ ჟამად სადგურის ყველა სამუშაოებზე მუშაობს ყოველდღიურად 400 კაცი. მათ შორის უმრავლესობას არახელოსნები—სოფლელი გლეხები წარმოადგენენ.

ამ ერთ კვირაში სადგური მიიღებს რუსეთიდან გამოწერილ ელექტრო მოწყობილობას. უკვე შეუდგენ ელექტრო ენერგიის გადამცემი ხაზების დაყენებას.

ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება

(საქ. ცაკთან არსებულ კომისიის მუშაობის ანგარიში 1925 წ. 1 იანვრიდან 1 დეკემბრამდე)

ა. კ. საოლქო კომიტეტის ქალთა შორის მომუშავე განყოფილების ინიციატივით 1922 წელს 20 სექტემბერს საქ. ცაკთან დაარსდა მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისია.

კომისიის შემადგენლობაში შედიან: 1. საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის წევრი, სოც. უზრუნველყოფის კომისარი, (იგივე თავმჯდომარე); 2. ცაკის ქალთა განყოფილების წარმომადგენელი; 3. თბილისის ქალთა განყოფილების წარმომადგენელი; 4. პროფესიონალურ კავშირების და 5. ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის წარმომადგენელი.

კომისიის დაარსების მთავარი მიზანი იყო: 1. ქალთა შორის მომუშავე განყოფილების განტვირთვა, როგორც პარტიული ორგანოს, რომელსაც უხდებოდა სხვადასხვა არა პირდაპირი დანიშნულების საჭირო საკითხების მოგვარება და 2. იმ ქალების მდგომარეობის გაუმჯობესება, რომელთაც არავითარი საცხოვრებელი წყარო არ მოეპოვებათ.

კომისია მუშაობას აწარმოებს წინასწარი შემუშავებული გეგმის მიხედვით.

კომისია ყოველ დღე იღებს მთხოვნელ ქალებს, რომლებიც მოითხოვენ სამუშაოზე მოწყობას, იურიდიულ დახმარებას და სხვა. მთხოვნელთა რიცხვში აგრეთვე არიან ქალები სხვადასხვა, საბჭოთა კუთხეებიდან ჩამოსულნი მთხოვნელი უკან დაბრუნებისთვის საშუალების აღმოჩენას და ერთდროულ დახმარებებს.

ზემო ჩამოთვლილ საჭიროების და თხოვნების დასაკმაყოფილებლად კომისიას აქვს მიღებული შემდეგი რეალური ზომები:

დაარსებულია დროებით თავშესაფარი სახლი, რომელშიც ვათავსებთ უპატრონო ქალებს. სახლი ინახება ნაწილობრივ კომისიის და ნაწილობრივ თბილისის აღმასკომის ხარჯზე. ეს სახლი კომისიისათვის უმთავრეს საზრუნავ საგანს წარმოადგენს: აქ თავსდებიან ისეთი ქალები, რომელნაც თავშესაფარს ეძებენ, აგრეთვე ქმრისაგან მიტოვებული წვრილშვილებიანი ქალები, რომელთაც არც ბინა აქვთ და არც სამუშაო. ამ სახლში ვათავსებთ აგრეთვე ქალებს სამშობიარო თავშესაფარიდან, საავადმყოფოებიდან და ციხეებიდან განთავისუფლებულთ. უმეტეს შემთხვევაში დახმარება გასაწევ ქალებს ყავთ ბავშვები, ან ფეხმძიმენი არიან, რაც მათ უსპობთ მუშაობის საშუალებას.

სახლი დახმარებას უწევს არა მარტო თბილისის მცხოვრებთ, არამედ სხვადასხვა ქვეყნებიდან და საერთოდ ყველა საბჭოთა კუთხიდან გადმოტყორცნილ ქალებს. ხსენებულ სახლში დღეს ხდება მცხოვრებთა განტვირთვა, მიზეზი მათი განტვირთვისა არის ხანგრძლივი ცხოვრება ამ სახლში. გამოსახლებულ ქალებს კომისიის დახმარებით მიეცა ბინა და სამუშაო სხვადასხვა დაწესებულებებში და ქარხნებში.

სახლში მოთავსებულ ქალების კვებას კომისია კისრულობს თავის თავზე, აგრეთვე ეხმარება მათ ტანსაცმელით. დღეს სახლში ცხოვრობს 16 ქალი.

ამავე სახლში კომისიას აქვს დაარსებული სხვადასხვა სახელოსნოები, როგორიცაა: 1) ქუდის სახელოსნო, 2) ჭრა-კერვის სკოლა, 3) საფეიქრო, 4) ხალიჩის და ჰამაკების საქსოვი და სხვა.

აქვე მოწყობილია ტომრების დამკერავთა არტელი, სადაც მუშაობს ყოველდღიურად 40—60 ქალი. მოწყობილია და შეძენილია მასალა საკმის საქსოვად. ამავე სახლში სწარმოებს ამერიკული ტიუკების გადამუშავება, მზადდება ახალი ტანსაცმლები ბაზარზე გასასყიდათ.

სახლის მუშაობის გასაძღოლად მას სათავეში უდგას გამგე და ერთი თანამშრომელი ინსტრუქტორი—მოანგარიშე.

კომისიის მიერ სხვადასხვა დაწესებულებებში დაარსებულია 22 ბუფეტი, რომელშიც მუშაობს კოლექტიურათ 54 ქალი.

ზაფხულის თვეებში ბუფეტების ცენტრალურ ბაზასთან გახსნილი იყო საზაფხულო ბაღი, სადაც მუშაობდა 10 ქალი. სხვადასხვა სამუშაოებზე გაიგზავნა 278 ქალი. ტომრების დამკერავთა არტელში მუშაობს 50 ქალი, დამლაგებელთა არტელში 154 ქალი.

კომისიამ სხვადასხვა კუთხეებში გააგზავნა საანგარიშო წლის განმავლობაში 150 ქალი, ერთდროული დახმარება გაუწია 120 ქალს.

იურიდიული დახმარების აღმოსაჩენათ კომისიას აქვს იურიდიული ბიურო, რომელშიაც მუშაობა სწარმოებს მორიგეობით იურისტთა კოლეგიის წევრების მიერ.

ასეთი დახმარება გაეწია 900 ქალს. სოციალური შემადგენლობა მათი შემდეგია: 50 პროცენტი მუშა-მოსამსახურეების ცოლები, 40 პროცენტი უმუშევარნი, 10 პროცენტი მუშა-ქალები და მოსამსახურეები, ამათში ორი მესამედი ოჯახურ უთანხმოებას და ქმართან გათიშვის საკითხებს შეეხება.

კომისიის კანცელარიაში მუშაობს ორი მომუშავე, პასუხისმგებელი მდივანი და ტეხნიკური მდივანი. ამ ხნის განმავლობაში კომისიას ჰქონდა 13 სხდომა, შემოსულ-გასულ ქაღალდების რიცხვი ყოველდღიურათ არის 30—50-დე.

საჭიროებასთან შედარებით კომისიის სახსარი მეტის მეტად მცირეა. საანგარიშო წლის განმავლობაში 1 ოქტომბრამდე კომისიის უმთავრეს სახსარს შეადგენდა ცაკის ყოველთვიური დახმარება 450 მანეთის რაოდენობით. გარდა ამისა სესხის სახით აღებული კომუნალურ ბანკიდან 3000 მანეთი, და სამრეწვ ბანკიდან აღებული სესხათ 3000 მანეთი. აგრეთვე დროებითი თავშესაფარში ნაწარმოების ბაზარზე გაყიდვა. 1 ოქტომბრიდან კი კომისიას განსაზღვრული თანხა არ ეძლევა.

საანგარიშო თვეში გაწეულია შემდეგი ფულით დახმარება სხვა- [illegible] საქმეებზე: [illegible] 5 მან. 93 კაპ. ერთდროული დახმარება 541 მან. 76 კაპ. დროებითი საცხოვრებელი სახლისათვის 1745 მან. 95 კაპ. თანამშრომელთა შენახვა და წვრილი ხარჯები 739 მან. 89 კაპ. საზოგადოებრივ სამზარეულოს მოწყობისათვის და ბაზასთან მომუშავე თანამშრომლებს 1788 მან. სულ 6970 მან. 63 კაპ.

კომისიას კავშირი აქვს როგორც ავტონომიურ რესპუბლიკებთან, აგრეთვე სამაზრო ქალაქებთან.

კომისიის მუშაობის გასაძლიერებლათ და მასზე დაკისრებულ მოვალეობის განსახორციელებლათ, საჭიროა შემდეგი ღონისძიებანი:

1. ყოველთვიურათ განსაზღვრული თანხის მიცემა.
2. სამუშაო მასალის მიწოდება დროებითი თავშესაფარის სახლში მოწყობილ სახელოსნოებისათვის;
3. უფლების მიცემა შეღავათიან პირობებში სავაჭრო დაწესებულებების დაარსებისა.
4. აუცილებლათ საჭიროა მოწესრიგდეს სამუშაოზე გაგზავნა და კოლექტივების საკითხი, რომ კომისიას საშუალება მიეცეს მოაწყოს ქალები სხვადასხვა სამუშაოებზე.
5. აუცილებლათ საჭიროა კომისიაში მუდმივი იურისკონსულტის ყოლა.
6. აუცილებელია დამლაგებელთა არტელის მოწყობა, რისთვისაც საჭიროა ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმის ნებართვა.

ყველა ამ ღონისძიებათა განხორციელების შემდეგ კომისიას საშუალება ექნება დააკმაყოფილოს ის აურიცხველი მოთხოვნილებები, რომელიც ყოველ-დღე შემოდის კომისიაში და ამნაირათ იხსნას ისინი უმწეო მდგომარეობიდან.

კომისიის თავმჯდომარე კ. ხომერიკი.

კომისიის მდივანი ლ. ცნუქიძე.

წერკუმსის ყრილობა

მეორე და მესამე სხდომები.

მოხსენებები ადგილებიდან.

თელავის მაზრა. წერკუმსის კვირეულის ჩატარებამდე მაზრაში არსებობდა 4 უჯრედი. კვირეულის შემდეგ მოეწყო სოფლებში 21 უჯრედი, ხოლო ქალაქ თელავში—10 [illegible] ორგანიზაციას აქვს 6 სკოლა და ჰყავს 1349 წევრი.

შორაპნის მაზრა. კვირეულის ჩატარების შემდეგ ყოველ თემში მოეწყო თითო-თითო უჯრედი. არის 83 სკოლა, აქედან 37 სკოლა ადგილობრივი ორგანიზაციის ხარჯზეა. მაზრაში აღრიცხულია სულ 16.891 წ. უცოდინარი.

სიღნაღის მაზრა. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობა სუსტად მიმდინარეობს. უჯრედ რიცხვით 18 უდრის, რომელთაც 42 წევრი ჰყავს. მესაქონლეთა მომთაბარეობის გამო, წ.-კ. უცოდინარობის მოსპობა მათში მოუხერხებელი ხდება.

ზუგდიდის მაზრა. კვირეულის შემდეგ მაზრაში მოეწყო 40 უჯრედი, რომელთაც 1363 წევრი ჰყავთ. არსებობს 35 ლიკპუნქტი. წ.-კ. უცოდინართა რიცხვი მაზრაში უდრის—25.000 კაცს.

ახალქალაქის მაზრა. კვირეულის ჩატარების შემდეგ მაზრაში მოეწყო 4 ქართული უჯრედი, 1 რუსული, 41 სომხური და 3 თურქული, ყველა ამ უჯრედებს ჰყავს 1251 წევრი.

ხაშურის უჯრედი ხელმძღვანელობს რაიონის ყველა უჯრედების მუშაობას. მოსახლეობა თანაგრძნობით ეკიდება ყველა საზოგადოებებს.

წერკუმსის ცენტრალური გამგეობის მუშაობა.

(მომხსენებელი ამხ. ლ. რუხაძე)

წერკუმსის საორგანიზაციო ბიურო დაარსდა 1924 წელს 28 მაისს.

სწორი სტატისტიკური ცნობები წ.-კ. უცოდინართა რაოდენობის შესახებ არ არის. საზოგადოების დაარსების პირველ ხანებში იყო დაახლოებით 369 ათასი წ. კ. უცოდინარი. ამ რიცხვიდან დღემდე წ.-კ. შეუსწავლია 54 ათას კაცს. ოქტომბრის 10 წლის თავისათვის საქართველოში წ. კ. უც. სრული ლიკვიდაცია ვერ ხერხდება. საზოგადოების პირველი ამოცანაა ახლო მომავალში აღკვეთოს წ.-კ. უცოდინარობა პარტიის, კომკავშირის და პროფკავშირების წევრებს შორის. ამჟამად პარტიას ჰყავს 1068 ანუ 6 პროც. წერა-კითხვის უცოდინარი, პროფკავშირებს—4747 ანუ 4 პროც. კომკავშირ.—4.024.

წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობას უმთავრესად ხელმძღვანელობს უწევდა პარტია. ორგანიზაციების თავის დროზე ჩამოყალიბებას აბრკოლებს პოლიტგანების ხშირი გამოცვლა.

ცენტრ. გამგეობას სხვადასხვა საშუალებით დაგროვილი აქვს 73 ათასი მანეთი. ამ თანხით გამგეობამ მაზრებში გახსნა 500-მდე სკოლა. ფინანსიური მდგომარეობის განსამტკიცებლად გამგეობამ გახსნა წიგნის მაღაზია, განზრახვა აქვს მოაწყოს ფოტოგრაფ. აპარატების მაღაზია, კინო-სექცია, საკუთარი კინო და სხვა.

კვირეულის ჩატარებამ საზოგადოებას დიდი ნაყოფი მოუტანა. ფართო მასსები გაეცნენ წერკუმსის მიზნებსა და ამოცანებს. საზოგადოების მიღწევად უნდა ჩაითვალოს გამომცემლობის მოწყობა. წერკუმსი სცემს გლეხობისათვის საჭირო წიგნებს და ისეთ ლიტერატურას, რომელსაც ბაზარზე დიდი გასავალი აქვს. ცუდათ არის დაყენებული ლიტერატურის გავრცელების საქმე.

შემდეგ მომხსენებელი მოკლეთ ეხება რა მომავალი მუშაობის საკითხებს, საჭიროდ სცნობს წერკუმსის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს კომკავშირმა, ქალთა განყოფილებამ და კოოპერაციამ.

შემდეგ ყრილობას ანგარიშს ურგდენს სარევიზიო კომისიის წარმომადგენელი ამხ. **ნერსესოვი**, რომელიც აღნიშნავს რა ცენტრ. გამგეობის წესიერ და სინდისიერ მუშაობას, საჭიროდ აღიარებს, რომ წერკუმსმა ხელი აიღოს გამომცემლობაზე (არ არის ხელსაყრელიო) და შეამციროს აპარატი.

ცენტრალური გამგეობის და ადგილებიდან გაკეთებულ მოხსენებათა გარშემო იმართება კამათი.

მეოთხე სხდომა.

წერკუმსის საორგანიზაციო და საგიტაციო ამოცანები

ამ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. [illegible] რომელიც აღნიშნავს რომ დღემდე სათანადო სიმაღლეზე ვერ არის დაყენებული საორგანიზაციო და საგიტაციო მუშაობას. შემჩნეულია პოლიტგანის და წერკუმსის ფუნქციების არევა. მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია, რომ ორგანიზაციებში ჩაბმულ იქნენ გლეხთა ფართო მასები, რომელნიც ადვილად გაიგებენ წერკუმსის მნიშვნელობას. პირველ რიგში საჭიროა წერკუმსის მუშაობაში ჩაბმას სხვადასხვა ორგანიზაციებში დარაზმული მასსა. რომ ყველა წევრები იცნობდენ საზოგადოების საქმიანობას, უნდა იმართებოდეს უჯრედების წევრთა კრებები, სადაც გაკეთდება მოხსენებები უჯრედების მუშაობაზე, წერკუმსმა კავშირი უნდა დაიჭიროს აგრეთვე სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

მოჯამაგირეებს და მწყემსებს შორის წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციოთ უნდა შეიქმნეს მოსიარულე მასწავლებელთა შტატი.

ვინაიდან ქალთა შორის უფრო მეტია წ.-კ. უცოდინარი, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მუშაობას ქალთა შორის. სკოლებში მსმენელთა მიზიდვა უნდა ხდებოდეს არა ძალდატანებით, არამედ აგიტაციით და რჩევა-დარიგებით. წერკუმსის საკითხების გასაშუქებლად დაარსებულ უნდა იქნეს საკუთარი ორგანო რომელიც მისაწვდომი უნდა იქნეს წ.-კ. მცირე მცოდნეთათვის.

მოხსენების გარშემო გაიმართა გაცვლა-გამოცვლ

საშემოსავლო გადასახადი

ვინ თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადიდან

საშემოსავლო გადასახადის მომქმედ წესდებით, რომელიც დამტკიცებულია საკავშირო ცაკის მე-2 სესიის მიერ 1924 წლის 29 ოქტომბერს აღნიშნული გადასახადისაგან სრულიად თავისუფლდებიან: 1) მუშები, რომლებიც ღებულობენ შრომის ხელფასს თვიურათ 75 მანეთზე ნაკლებს და თუ მათ არა აქვთ სხვა რაიმე შემოსავლის წყაროები; 2) სარემონტო-საამშენებლო, დღიური და სხვა მუშები, რომელთა თვიური შემოსავლის განსაზღვრა შეუძლებელია, და აგრეთვე ის მუშებიც, რომლებს სამუშევარსაც აქვს სეზონური ხასიათი 3) მუშები, რომელთაც ხელფასის გარდა არა აქვთ არავითარი სხვა წყარო შემოსავლისა, თუნდაც მათ ჰქონდეთ ისეთი სახლები, სადაც თვითონ ცხოვრობდენ .4) მუშები კმაყოფაზე მყოფი ოჯახის წევრნი, რომელთაც სახლების გარდა, არა აქვთ არავითარი შემოსავლის წყარო, თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ სახლებში ცხოვრობენ მარტო თვითონ ისინი.

ვინ იბეგრება საშემოსავლო გადასახადით.

მუშები, რომლებიც ღებულობენ თვიურ ხელფასს დაქირავებული შრომით 85 მანეთზე მეტს, იბეგრებიან ძირითადი საშემოსავლო გადასახადით (საკლასო) შემდეგნაირად: ა) 75—100 მანეთამდე ხელფასის მიმღები მუშები იხდიან 3 მანეთს და 60 კაპ. ბ) 100 მანეთიდან 150 მანეთამდე—7 მანეთს და 20 კაპ. და გ) 150 მანეთზე ზედმეტიდან 15 მანეთს.

ამ გადასახადს ემატება კიდევ 25 პროც. აღმასკომის სასარგებლოდ.

სარემონტო-საამშენებლო, დღიური და სხვა ამგვარი მუშები, რომლებთაც აქვთ მუდმივი სამუშაო და განსაზღვრული თვიური შემოსავალი, იბეგრებიან ძირითადი საშემოსავლო გადასახადით მათი თვიური შემოსავლის მიხედვით ისევე, როგორც თვიურად დაქირავებული მუშები.

ძირითადი გადასახადის გამოანგარიშება იმ მუშებზე, რომლებიც დაწესებულებების მიერ თვიურად არიან დაქირავებულნი, შეადგენს ამ დაწესებულებების მოვალეობასდა თუ ამით გამოანგარიშებაში ადგილი ჰქონდა რაიმე შეცდომას, ეს არის თვით ამ დაწესებულებათა ბრალი.

დღიურ მუშების ძირითადი საშემოსავლო გადასახადი და აგრეთვე იმ მუშებისაც, რომლებსაც აქვთ საკუთარი შენობები, სადაც ისინი აქირავებენ ბინებს ან სადგომად [illegible] შენობებს, უნდა გამოიანგარიშოს ადგილობრივმა ფინანსთა ინსპექტორმა.

ყრილობა შემნახველ კასების შესახებ

პირველი სხდომა

გუშინ, საღამოს 6 საათზე, ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატში გაიხსნა ამიერ-კავკასიის ყრილობა შემნახველი კასების შესახებ; ყრილობას ესწრებიან საქართველოს, აზერბეიჯანის, სომხეთის, აჭარისტანის და აფხაზეთის წარმომადგენლები.

პირველ სხდომაზე ყრილობამ მოისმინა საბჭოთა კავშირის ფინსახკომის შემნახველი კასების სამმართველოს გამგის—ამხ. გოლდბერგის მოხსენება შემნახველი კასების მორიგი ამოცანების შესახებ.

ამხ. გოლდბერგის მოხსენება

ამჟამათ საკავშირო ფინსახკომი და მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ შემნახველ კასებს, რადგან ეხლა ჩვენი ვალიუტის განმტკიცების შემდეგ შესაძლებელია მოსახლეობის თავისუფალი თანხების რაციონალურათ გამოყენება.

როგორ უნდა მოხდეს თავისუფალი თანხების მობილიზაცია? ამჟამათ მოსახლეობას არ აქვს ისეთი თანხები, რომ შესძლოს მათი მოცემა ჩვენთვის გრძელვადიანი კრედიტის სახით. ამის მიზეზია იმპერიალისტური და სამოქალაქო ომები. ასეთი მდგომარეობაა არა მარტო ჩვენში, არამედ უცხოეთშიაც. ამიტომ თავისუფალი თანხების მობილიზაციის საუკეთესო საშუალებაა შემნახველი კასების გახსნა.

ამჟამათ საბჭოთა კავშირის შემნახველ კასებში დაგროვილია 43.000.000 მანეთი; ეს თანხა, რასაკვირველია, ცოტაა, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ ანაბარების ზრდის ტემპს, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ჩქარა მივაღწევთ ომის წინა ხანების ნორმას. სექტემბერში სალაროებში შემოვიდა 3.100.000 მანეთი, ოქტომბერში—4 200.000 და ნოემბერში—5 700.000; წლის ბოლოს ჩვენ გვექნება 130.000.000 მანეთი.

ანაბარების 30 პროც. მოდის იურიდიულ პირებზე, 50 პროც. მოსამსახურეებზე და დანარჩენი 20 პროც. მუშებზე და გლეხებზე.

კასების მუშაობის გასაცხოველებლათ საჭიროა საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარება და მათი ქსელის გაფართოვება; ამას გარდა საჭიროა კასების მუშაობის გამარტივება.

დღეს მოსმენილი იქნება მოხსენებები ადგილებიდან.

მუშკოოპის პასაჟი

გუშინ, დილის 11 საათზე, გაიხსნა მუშკოოპის პასაჟი—უნივერსალური მაღაზია.

პასაჟი შესდგება ცხრა განყოფილებისაგან: ფართლის, საგალანტერეო, ფეხსაცმლის, საშაქარლამო—კაფე, საპარფიუმერიო, ქურქლის, და სხვა.

თბილისის ყოველი მოქალაქე დიდის ინტერესით ადევნებდა თვალს ამ პასაჟის შენებას და, როგორც მოსალოდნელი იყო, გახსნის დღეს მას აურებელი ხალხი მოაწყდა.

პასაჟმა დილის 11 საათიდან იმუშავა ღამის 12 საათამდი. საღამოს 7 საათამდე პასაჟის სალაროში შემოვიდა შვიდი ათასი მანეთი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მანუფაქტურით ვაჭრობა შესწყდა ნაშუადღევის 2 საათზე.

პასაჟთან არსებობს სპეციალური სამზარეულო, რომელიც ემსახურება კაფეს.

კაფეშივეა მოწყობილი რადიო და მოქალაქეთ შეუძლიათ მოისმინონ მოსკოვიდან და უცხოეთიდან გადმოცემული კონცერტები.

პასაჟში 5 სალაროა. ისე რომ მყიდველთ არ უხდებათ რიგებში დგომა ფულის გადახდის დროს.

ქ.

ეკონომიური ცხოვრება

საკრედიტო ამხანაგობანი ზუგდიდის მაზრა

საკრედიტო ამხანაგობანი ზუგდიდის მაზრაში მოწყობილ იქნა 1924—25 სამეურნეო წლის განმავლობაში. ამჟამად საკრედიტო ამხანაგობანი აქვთ დარჩელის, ახალი ხიბულის, წალენჯიხის და ლიას თემებს.

ნოემბრის დამლევს და დეკემბრის პირველ კვირაში მოხდა ზემოხსენებულ თემების საკრედიტო ამხანაგობათა გამგეობების წევრთა ხელახალი არჩევნები, რომელთაც წინ უძღოდა საანგარიშო მოხსენებები საკრედიტო ამხანაგობათა მუშაობის შესახებ 1924—25 წლის საანგარიშო წლის განმავლობაში. ზუგდიდის მაზრის თემების საკრედიტო ამხანაგობანი საანგარიშო პერიოდში აძლევდენ უმთავრესად სესხს გლეხობის იმ ნაწილს, რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებას ეწეოდა.

მაგ. საკრედიტო ამხანაგობებში დიდათ დაეხმარენ გლეხებს თხილის დამზადების დროს მით, რომ თავის დროზე მისცეს ავანსები თხილის დასამზადებლათ.

ავანსის დროზე მიღების გამო, გლეხების დიდ ნაწილს ნაუცბათევად არ გაუყიდია თხილის მოსავალი და დაიცადა მანამდე, ვიდრე ფასებმა არ აიწია. თხილის დასამზადებელი კამპანიის დასაწყისში კერძო პირები და აგრეთვე საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლები ფუთს თხილში გლეხებს აძლევდენ მხოლოდ 2 მან, 2 მან. 50 კაპეიკს. ამჟამად კი ფუთი თხილის ფასი 6 მანეთამდე აღწევს.

გარდა ამისა ზუგდიდის მაზრის თემების საკრედიტო ამხანაგობებმა ცენტრიდან მიიღეს 'მიზნობრივი სესხი მუშა საქონლის შესაძენად. ამ მიზნით მთელი მაზრისათვის მიღებულ იქნა 20 ათასი მანეთი. მუშა-საქონლის ფასები მეტად მცირეა. უღელ კამეჩის ფასი 120 მანეთს არ აღემატება. ხოლო მოზვერი კი ფასობს 40—50 მანეთად.

საკრედიტო ამხანაგობათა მიერ გაკეთებულ საანგარიშო მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ 1924—25 წლის საოპერაციო წელიწადი უდეფიციტოდ არის დამთავრებული.

ჩვენი მრეწველობა სამეურნეო წლის დასაწყისში

თამბაქოს მრეწველობა

სამეურნეო წლის დასაწყისში —ოქტომბერში თამბაქოს მრეწველობის მდგომარეობა ასეთი იყო:

თამბაქოს მრეწველობის პროდუქცია მოსაწევ ერთეულების მიხედვით საქართველოსა და აზერბეიჯანში გადიდდა სექტემბერთან შედარებით 4,2 პროცენტით, ხოლო 1924—25 წლის საშუალო თვიური პროდუქციასთან შედარებით 34,5 პროცენტით.

რაც შეეხება თამბაქოს დამუშავებას, იგი შემცირდა. 1924—25 წლის საშუალო დამუშავებასთან შედარებით 21,9 პროცენტით. დამუშავების ასეთი შემცირება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ბაზარზე იკლო დამუშავებული თამბაქოს მოთხოვნილებამ. შრომის ნაყოფიერებამ თამბაქოს მრეწველობაში ერთს მუშა დღეზე, ფაქტიურად შესრულებული მუშა-დღეების გადიდების გამო, 6,9 პროცენტით დაიკლო. საერთოდ თამბაქოს მრეწველობამ მიმდინარე სამეურნეო წლის დასაწყისში ისეთ მდგომარეობაში შესდგა ფეხი, რომ მას ესაჭიროება არა წარმოების გაფართოება, არამედ ახალ ბაზრების მოპოვება.

ტყავის მრეწველობა

ტყავის მრეწველობაც წინ მიდის. მიმდინარე სამეურნეო დასაწყისში ოქტომბრის განმავლობაში იმატა ტყავის წარმოების პროდუქციამ სულ თბილისის ქარხნებში დამზადებულ იქნა 12,417 ცალი ტყავეული, რაც ოქტომბერში დამუშავებული ტყავეულის საერთო რაოდენობის 105,2 პროცენტს შეადგენს. 1924—25 სამეურნეო წლის თვიურ საშუალო დამუშავებასთან შედარებით კი ა. წ. ოქტომბერში ტყავის მრეწველობის პროდუქციას 55,9 პროცენტით მოუმატია, შრომის ნაყოფიერებამ ტყავის მრეწველობაში სექტემბერთან შედარებით დაუკლია 6,75 პროცენტით, თვითეულ მუშა დღეზე 1924—25 წლის საშუალო ნაყოფიერებამ კი ა. წ. ოქტომბრის ნაყოფიერება 27,3 პროცენტით სჯარბობს. საერთოდ ტყავის მრეწველობის მდგომარეობა ამჟამად დამაკმაყოფილებელია.

თბილისის ბირჟა სპეკულიაციასთან ბრძოლაში

თბილისის საქონლის და საფონდო ბირჟა გარდა იმისა, რომ არკვევს საქონლის მოთხოვნილებას - მიწოდებას, ითვლება აგრეთვე საქონლის ბრუნვის მომწესრიგებელ და ხელმძღვანელ ორგანოდ. ამიტომ მისი როლი სპეკულიაციასთან ბრძოლაში თვალსაჩინოა, ვინაიდან იგი აწარმოებს ყოველგვარი, როგორც საბირჟო, ისე მის გარეშე ნაქმნარების რეგისტრაციას. მას ადვილად შეუძლია ამ შემთხვევაში შეამჩნიოს რომელიმე ორგანიზაციის ბოროტი განზრახვა.

მისი ყოველი მაკლერი, რომელიც აწარმოებს საბირჟო ნაქმნარს, პირველ ყოვლისა, პირადად პასუხისმგებელია იმისათვის, რომ ნაქმნარობაში რაიმე სპეკულიანტური ხასიათის ბოროტმოქმედებას არ ექნეს ადგილი. ბირჟის გარეშე ნაქმნარებიც გატარებული უნდა იქნეს რეგისტრაციაში, რისთვისაც ბირჟასთან არსებობს სარეგისტრაციო ბიურო.

ასეთი რეგისტრაციების და კონტროლების დროს ბირჟა არ გაუშვებს ისეთ ნაქმნარებს, რომელშიაც შემჩნეული იქნება რაიმე ბოროტება.

გარდა აღნიშნული ღონისძიებისა, ბირჟას გააჩნია სხვა გვარი საშუალებები სპეკულაციასთან საბრძოლველად: ის ორგანიზაციები, რომლებიც შემჩნეულ იქნებიან რაიმე სპეკულიანტურ ბოროტმოქმედებაში, ბირჟის მიერ გამოქვეყნებული იქნებიან „ამიერ-კავკასიის ბიულეტენში“. ამასთანავე ასეთი ორგანიზაციები გამორიცხული იქნებიან ბირჟის წევრობიდან. ბირჟის პრეზიდიუმმა მიმართა ყველა თავის წევრებს, რათა მათ მიაწოდონ ბირჟას ყოველგვარი ცნობები ამა თუ იმ ორგანიზაციის მხრივ ჩადენილ სპეკულიანტურ ბოროტმოქმედების შესახებ.

კოოპერაცია

ა|კ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წარმომადგენელთა თათბირი

თათბირის გახსნა.

11 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, წარმოკავშირში გაიხსნა ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წარმომადგენელთა თათბირი.

თათბირი მოწვეულია ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ბიუროს შექმნის მიზნით.

თათბირის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

1. აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ეხლანდელი მდგომარეობა (მოხსენებებს გააკეთებენ სათანადო ცენტრები).
2. საკითხი ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ბიუროს შექმნის შესახებ (წარმოკავშირის მოხსენება).
3. ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ბიუროს დებულების განხილვა და დამტკიცება (წარმოკავშირის მოხსენება).
4. ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ბიუროს ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება (წარმოკავშირის მოხსენება).
5. ურთიერთობა სასოფლო-სამეურნეო ბანკთან (კეიბირლიგის მოხსენება).
6. მმართველობის ორგანოების არჩევნები.
7. მიმდინარე საქმეები.

თათბირს ესწრებიან აგრეთვე აჭარისტანის და აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წარმომადგენლები.

თათბირს ესწრებიან: აზერბეიჯანიდან—დუდაროვი, მიაჩინი, გუსეინზადე, მამედოვი და ტალიშინსკი.

სომხეთიდან—კაზარიანი, საქართველოდან (წარმოკავშირი)—ცაგარელი, აჭარწარმოკავშირი—ქიქავა, აფხაზეთი—ხიოტი, ვეჩხაძე და კანდელაკი.

პირველ სხდომაზე თათბირმა მოისმინა ამხ. ცაგარელის მოხსენება ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრის შექმნის აუცილებლობის შესახებ.

მომხსენებელი ეხება რა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საჭიროებებს და მისი ინტერესების დაცვის აუცილებლობას ამიერ-კავკასიის მასშტაბით, აუცილებლად სცნობს ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრის შექმნას.

თათბირმა მოხსენების მოსმენის შემდეგ დაადგინა საჭიროთ იქნეს ცნობილი ა|კ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ბიუროს დაარსება, რომელიც უნდა იქნეს იდეურ-საორგანიზაციო წარმომადგენლობის ორგანო.

ამასთანავე თათბირმა დაამტკიცა ბიუროს დროებითი დებულება, რომელიც წარმოდგენილი იყო „კეიბირლიგის“ მიერ.

ბიურო.

ამ დებულების მიხედვით, ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე ეწყობა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციის რესპუბლიკანური ცენტრების წარმომადგენლობითი ორგანო — „ზაკსელბიურო“, რომლის მიზანია:

ა|კ. სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციის ცხოვრებაში წამოჭრილ საკითხების დამუშავება და გადაწყვეტა, ა|კ. სასოფლო-სამეურნეო-საკრედიტო კოოპერაციის ინტერესების დაცვა მთავრობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე, ა|კ. სას.-სამ. კოოპერაციის უფლებრივი ინტერესების დაცვა, ხელის შეწყობა კოოპერატიული განათლებისა და აღზრდისათვის, დახმარების გაწევა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რესპუბლიკანური ცენტრებისათვის საბრუნავი თანხების გამონახვაში და უშუალო კავშირის დამყარებაში, როგორც საბჭოთა კავშირის შინაურ ბაზართან, ისე უცხოეთთან და სხვ.

შემდეგ თათბირმა მოისმინა მოხსენება ბიუროს ხარჯთაღრიცხვის და შტატების შესახებ და დაადგინა, რომ მიმდინარე მუშაობისთვის ბიუროში მოწვეული იქნეს ერთი მდივანი. სხვა ტეხნიკური მუშაკების მოწვევა საჭიროების მიხედვით ევალება კოლეგიას.

ბიუროს შესანახავი ხარჯები უნდა გაიღონ წარმოკავშირმა, „კეიპირლიგმა“ და „აიგიუხკოპმა“.

ბიუროს ყველა ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს თვეში 1.000 მანეთს.

ბრძოლა საქონლის ჭირთან

ვინაიდან ამ უკანასკნელ წელიწადში საქართველოში გავრცელდა საქონლის ჭირი, საშრატე სადგურებს დაევალათ ზედმეტი მუშაობით დაემზადებიათ შრატის საკმაო რაოდენობა.

ტაბახმელის საშრატე სადგურმა ნოემბერში დაამზადა 914 ლიტრა შრატი. ოსიაურის სადგურმა კი ამავე თვეში დაამზადა 112 ლიტრა ღორის ჭირის საწინააღმდეგო შრატი და 63,500-ჯერ ასაცრელი წამალი ცხვრის ყვავილის წინააღმდეგ.

ამავე თვეში სადგურმა გამოიმუშავა ათასამდე აცრა ახალი შრატი, რომელიც იხმარება საქონლის ერთგვარ სნეულების ჭიჭინას წინააღმდეგ.

ნოემბერში სხვადასხვა მაზრებში გადაიგზავნა ათას ლიტრაზე მეტი შრატი.

ს.

პროფკავშირებში

სრ. საქართველოს მბეჭდავთა მე-5-ე ყრილობა

მეოთხე სხდომა

12 დეკემბრის სხდომაზე სარევიზიო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. **ხარაზიანმა.**

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ პირად შემადგენლობაზე საერთო შემოსავლიდან დახარჯულა 52 პროც. ამდინისტრატიულ—სამეურნეო მოთხოვნილებებზე 11 პროც. და საორგანიზაციოზე კი 5 ნახ. პროც.

ორგანიზაციულ საქმეებზე მხოლოთ 5 ნახ. პროც. დახარჯვა სარევიზიო კომისიამ ძლიერ მცირედ მიაჩნია. საორგანიზაციო მუშაობა ცენტ. გამგეობის საქმიანობაში ერთ-ერთ მთავარ მუშაობათაგანი იყო და მასზე მეტი თანხები უნდა დახარჯულიყო. უმუშევართა ფონდიდან ცენტ. გამგეობას 3,908 მ. და 75 კ. კავშირის სახაზინო კლუბისთვის გაუღია. ესეც სარევიზიო კომისიას მიუღებლად მიაჩნია.

საზოგადოთ, ანგარიშ-წარმოებას სარევიზიო კომისია სრულიად წესიერად სთვლის საბოლოო დასკვნაში სარევიზიო კომისია ცენტ. გამგეობის ფინანსიურ მუშაობას დამაკმაყოფილებლად აღიარებს.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა მოხსენებები ადგილებიდან: ბათომიდამ, სოხუმიდან და ქუთაისიდან.

კამათი ცენტ. გამგეობის მუშაობის შესახებ.

ამხ. **მოშინმა** აღნიშნა ახალგაზრდათა შორის მუშაობის სუსტი მხარე.

ამხ. **ფერაძე** გასაკუთრებით შეეხო საკლუბო მუშაობას. საკლუბო მუშაობისათვის დახარჯვა 6.000 მ., და ისიც უმუშევართა ფონდიდან, მისი აზრით, სრულიად მიუღებელია.

რაც შეეხება კოლექტიურ ხელშეკრულების დადებას, აქაც ცენტ. გამგეობამ სისუსტე გამოიჩინა.

ნარდი სამუშაო.

ორატორის აზრით მიუღებელია ნარდ სამუშაობის შემოღებაც.

ამ ნარდი სამუშაოთი ერთის მხრივ ზედმეტად იღვიტებიან მუშები და მეორეს მხრივ, თუ გაიზარდა რაოდენობა ნაწარმოებისა, სამაგიეროდ ძლიერ დაეცა მისი ხარისხი.

მისი აზრით საჭიროა ნარდი მუშაობის გაუქმება და საჭიროა გატარდეს ხელფასის მომატება.

მეხუთე სხდომა.

საღამოს სხდომაზე გაგრძელდა კამათი ცენტრ. გამგეობის მუშაობის შესახებ კამათში მონაწილეობა მიიღო ყრილობის 35-დე ორატორმა.

კამათში მონაწილეობა მიიღო პროფსაბჭოს წარმომადგენელმა ამხ. მარკმანმაც.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ყრილობამ ცენტ. გამგეობის 1 წლის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

პროფმუშაობის ქრონიკა

პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

— **საბინაო ამხანაგობებთან ხელშეკრულების დაუდებლობის შესახებ.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა მოხსენება ქალაქის აღმასკომის კომუნ. განყოფილებისა საბინაო ამხანაგობებთან ხელშეკრულების დაუდებლობის შესახებ. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა კომუნალურ განყოფილებას უნდოდა ხელშეკრულება დაედო 9 წელზე ნაკლები ვადით. ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ მიღებული იყო პროფსაბჭოს წარმომადგენლების წინადადება. საბინაო ამხანაგობებთან ხელშეკრულება უნდა დადებულიყო 9 წელზე ზევით. პრეზიდიუმმა ყოვლად დაუშვებლად სცნო კომუნალური განყოფილების ასეთი მოქცევა.

— **სარდაფები და სხვა შენობები დარჩება საბინაო ამხანაგობებს.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით ყველა სარდაფები და შენობები, რომლებიც ამ ჟამად ქალაქის აღმასკომის განკარგულებაში არ იმყოფებიან, უნდა დარჩეს საბინაო ამხანაგობებს და ისარგებლონ მით, თავიანთი შეხედულებით (შეუძლიათ გააქირაონ ამხანაგების თანხის გასაძლიერებლად).

— **მუშათა კოოპერაციის გამგეობის მოხსენების შესახებ.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად სცნო რათა მუშკოოპის გამგეობამ მოხსენება გააკეთოს მუშკოოპის რწმუნებულთა საერთო კრებაზე.

დაევალა პროფსაბჭოს სატარიფო-განყოფილებას, კავშირების სატარიფო-განყოფილებებთან ერთად შეიმუშაოს კონკრეტიული გამაჯანსაღებელი წინადადებები მუშკოოპის უფრო მუშაობის და წარადგინოს რწმუნებულთა კრებაზე.

— **მუშკოოპის მაღაზიებში განყოფილებების გამგეებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე მოხსენება გააკეთა მუშკოოპის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. **ვ. ბოლქვაძემ** მუშკოოპის მაღაზიების გამგეებზე საქონლის შენახვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ. მომხსენებლის აზრით ეს ღონისძიება აუცილებლად უნდა იქნეს გატარებული ცხოვრებაში, რომ ბოროტმოქმედება მაღაზიებში შემცირდეს.

ამის წინააღმდეგ გამოვიდა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირის პას. მგ. მდივანი ამხ. ნ. ათოევი. მისი აზრით საჭიროა კონტროლის—შემოღება და საგარანტიო სის გამოყენება. ხმის მიცემის დროს ამხ. **ბოლქვაძის** წინადადება გავიდა.

— **ინჟ. [illegible] ბიუროში მომუშავედ პასუხისმგებელ ინჟინერის გამოყოფის შესახებ.** ამ საკითხებზე პრეზიდიუმში მოხსენება გააკეთეს ინჟ. **ჩხეიძემ** და ინჟ. **კაკაბაძემ.** ბიუროში მუშაობის გაფართოების მიზნით ისინი აუცილებლად სცნობდენ ბიუროში განთავისუფლებულ პას. მგ. მომუშავე ინჟ. გამოყოფას.

პრეზიდიუმმა დაადგინა მიიღოს მხედველობაში ეს საკითხი, 1926 წ. პირველი კვარტალის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის დროს.

— **ინჟ. ტეხნიკოსთა კლუბის გასაფართოებლად.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა გააფართოვოს ინჟინერ-ტეხნიკოსთა კლუბი.

კლუბს დაეთმო დამატებით კიდევ ერთი ოთახი.

— **ინჟინერ ტეხნიკოსთა ბიბლიოთეკისათვის.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა ინჟ. ჩხეიძისა და ინჟ. კაკაბაძის მოხსენება ინჟ.-ტეხ. ცენტრალურ ბიუროს ბიბლიოთეკის ტეხნიკური წიგნებით შესავსებად ნივთიერი დახმარების აღმოჩენის შესახებ.

პრეზიდიუმმა დაავალა ბიუროს შეადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა.

— **ადგ. ტრანსპ. მომუშ. კავშირის ფოთის განყ. შრომის ბირჟის ფუნქციების განსატვირთავად.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ადგ. ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის ც. გ. აუკრძალოს ფოთის განყოფილებას შრომის ბირჟის მოვალეობის ასრულება და მოვალეობა გადასცეს ფოთის შრომის ბირჟას.

— **საშუალო ხელფასის გამოსაანგარიშებლად.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ურჩია კავშირებს: თუ სამაგალითო კოლექტიურ ხელშეკრულებებში შრომის საშუალო ხელფასის შესახებ, იქნება მუხლი შეტანილი, ამ მუხლში უნდა აღინიშნოს რომ მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი უნდა იქნეს გამოანგარიშებული წინა სამი თვის ხელფასის მიხედვით და არ უნდა იქნეს ნაკლები უკანასკნელი თვის ხელფასზე. თუ მუშა-მოსამსახურეებს მიეცათ შვებულება ხელფასი უნდა მიეცეს ავანსად.

თუ მათ შვებულებაში ყოფნის დროს ჯამაგირი გაუდიდდათ, დაბრუნებისას მათ უნდა მიეცეთ განსხვავება.

წითელი ჯარში

ჯამაგირების გადიდება სამხედრო პირებისათვის

მოსკოვი, 10 დეკ. საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს ბრძანების თანახმად 1 იანვრიდან სამხედრო უწყების მოსამსახურეთათვის შემოღებულია ახალი ჯამაგირები.

ახალი განაკვეთის მიხედვით ჯგუფის უფროსს მეორეს სარტყლის ადგილებში ეძლევა 60 მან., ასეულის უფროსს—70 მან., ლეგიონის უფროსს—110 მან., დივიზიის უფროსს—140 მან., კორპუსის უფროსს—160 მ. ჯამაგირის ახალი მომატება უმთავრესად ეხება საშუალო და უმაღლეს საკომანდო შემადგენლობას და აღწევს 15 პროც.

მუშათა ცხოვრება

ადგილკომების განტვირთვისათვის

(საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის ცირკულიარის გამო)

როგორც ვიცით, ფაბქარხკომები და ადგილკომები ძალზე დატვირთული იყვნენ იმ გვარ სამუშაოებით, რომლებსაც თანახმად საქ. სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებისა 1924 წ. 7 ოქტომბრიდან, არავითარი კავშირი არა ჰქონდათ მათ პირდაპირ მოვალეობასთან. მაგ. ადგილკომები და ფაბქარხომები მუშა-მოსამსახურეთ აძლევდენ სხვადასხვა გვარ მოწმობებს იმის შესახებ, თუ რამდენს იღებენ ისინი შრომის ხელფასს, არიან თუ არა ისინი პროფკავშირის წევრნი, დაზღვეულები და სხვა.

დამზღვევ სალაროდან დახმარების მისაღებათ ადგილკომები იძლეოდენ ცნობებს და მოწმობებს იმის შესახებ, თუ ვის და რისთვის უნდა მიეცეს დახმარება დამზღვევ სალაროდან.

ასეთი მოწმობების და ცნობათა გაცემა სრულებით არ შედის ადგილკომის ფუნქციებში. ისინი მხოლოდ აფერხებდენ და ართულებდენ ადგილკომის მუშაობას.

მათი ასეთი სამუშაოებიდან განტვირთვის მიზნით საქ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა დაგზავნა ადგილებში ცირკულიარული წერილები, რომლის ძალით ადგილკომებს ეკრძალებათ ქვემოჩამოთვლილ მოწმობათაც და ცნობების გაცემა.

ადგილკომებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მისცენ მუშა-მოსამსახურეთ შემდეგი ცნობები: ა) არის თუ არა ესა თუ ის მუშა-მოსამსახურე კავშირის წევრი; ბ) მოწმობა დამზღვევ სალაროდან ფულადი დახმარების მისაღებათ; გ) მოწმობა იმის შესახებ, თუ რა რაოდენობით იღებენ მუშა-მოსამსახურენი შრომის ხელფასს — სახლმფლობელობისათვის წარსადგენად ბინის, წყალის და განათების გადასახადების გამოანგარიშების დროს.

ყველა ზემოაღნიშნული შემთხვევებისათვის, როგორც ვიცით, სრულებით საკმარისია საწევრო, დაზღვევის და საანგარიშო წიგნაკები.

პირველში აღნიშნულია ესა თუ ის მუშა-მოსამსახურე, არის თუ არა პროფკავშირის წევრი, მეორეში—დაზღვეულია თუ არა იგი; საანგარიშო წიგნაკში კი დეტალურად ნაჩვენებია, თუ რა რაოდენობით და სახით მუშა-მოსამსახურეთ ეძლევათ შრომის ხელფასი და სხვა.

ადგილკომები უნდა ცდილობდენ, რომ მუშა-მოსამსახურეთ, თავის დროზე დაურიგდეს აღნიშნული წიგნაკები, რისთვის ისინი სათანადო წინადადებით მიმართავენ ადმინისტრაციას და სათანადო პროფკავშირის ც. გ—ბას.

ადგილკომებს ეკრძალებათ აგრეთვე სხვადასხვა საზოგადოებათა საჭიროებისათვის დახმარებათა შეგროვება, მუშა-მოსამსახურეთათვის კრედიტის გახსნის საქმეში პასუხისმგებლობა და სხ.

ყველა ასეთი საქმეების მოგვარება ეკისრება ადმინისტრაციას.

ადგილკომები კი მხოლოდ ხელს უწყობენ მას შეძლებისდაგვარად ამ საქმეში.

სხივი.

სანიტკომო დავიტანჯეთ

სახლის პატრონმა (ერისთავის შესახვევი № 8, მე-10 კომ. ზემო სართულის მდგმურებს დაგვიხურა ფეხსადგილი, რადგან იგი კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს.

ეზოში არის ფეხსადგილი, მაგრამ იგი ისეთ ანტისანიტარულ მდგომარეობაშია, რომ მით სარგებლობა ყოვლად შეუძლებელია; ქვედა სართულის მდგმურები საძაგელ მდგომარეობაში არიან ამ მხრივ, უკვე კარგი ხანია; მათ მდგომარეობაში ჩავარდით ახლა ჩვენც ეს ორი კვირა, სახლის პატრონი კი დღეს-ხვალიობით გვიშორებს თავიდან.

ქართ. დივიზ. სამხედრო ტრიბუნალის თანამშრომელი — მარიამ გვიჩაძე

ამნაირად ჩვენ ვერ მოვსპობთ წერა-კითხვის უცოდინარობას

პროფესიონალური კავშირები არაფერს იშურებენ და ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა თავიანთ კავშირის წევრებს შორის მოსპონ წერა-კითხვის უცოდინარობა.

უცოდინარი წევრები კავშირებმა გაგზავნეს სკოლებში, რომლებიც გახსნა თბილისის პოლიტგანათლების განყოფილებამ, მაგრამ ვაი ამისთანა სკოლებს. ყოველმხრიდან მოდის ცნობები, რომ სკოლების ოთახები ბნელია, სინათლე და გათბობა მასში არ არის, მსმენელებს თავის დროზე არ ურიგდებათ სასწავლო ნივთები და სხვა.

მუშებში ბევრგან უკმაყოფილებაა ამის გამო.

თუ მუშაობისგან დაღლილ მუშას, მეცადინეობისთვის ხელი არ შეუწყვეთ, ის სულ თავს დაანებებს სკოლას და სწავლას.

ამნაირად კი შორს ვერ წავალთ და წ.-კ. უცოდინარები ისევ ათასობით დაგვრჩება.

ეს კი არ უანდერძებია ჩვენთვის ჩვენ დიდებულ ბელადს.

თბილისის პოლიტგანო, დროზე გვმართებს ზომების მიღება ამ არანორმალობის თავიდან ასაცილებლად, თორემ ასე არ ივარგებს.

მუშკორი დაინტერესებული.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **ერთს ორის საქმეს ნუ აკისრებთ.** იშვიათია, რომ სადგურ თბილისის მოსამსახურეებში (როგორიცაა მატარებლების შემადგენლები, გადაბმელები, მეისრეები და სხ.)— ავადმყოფობის ან სხვა რაიმე საპატიო მიზეზის გამო ყოველდღე არ დააკლდეს სამი-ოთხი კაცი. ამ ნაკლის შევსება ადმინისტრაციას ვერ ძალუძს, ვინაიდან არ ჰყავს სათანადო თანამდებობის სათადარიგო კადრი და ამ დროს მათი მოვალეობის ასრულება ემატება მეორეს. ამრიგათ ერთ კაცს უხდება ორი კაცის მოვალეობის ასრულება. ეს კი დაუშვებელია, ვინაიდან ადვილად შეიძლება ამას მოჰყვეს მარცხი.

საჭიროა, მიაქციევდეს ამას ყურადღებას მოძრაობის დარგის მე-2-რე განყოფილების უფროსი და იყოლიებდეს სათადარიგო შტატს.

არ. ხოლი.

— **ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ.** მე-7 დე უბანში, კახეთის ქუჩაზე „გოგილის აბანოს“ გვერდით არის ცარიელი ადგილი. თუ ამ ადგილს ღობე არ შემოავლეს, შეიძლება, აქ მოსიარულე ხალხი მტკვარში გადავარდეს. ღამით აქ ძალიან ბნელა.

ამ გზით სულ მუშა-მოსამსახურენი დაიარებიან. იქ კაცი, რომ მოკლან, ანდა გაძარცვონ, ვერავინ ვერ გაიგებს.

აღმასკომო, მიიღე სათანადო ზომები!

მუშკორი ალ. ბლი.

— **ასე ითვისებენ მეცნიერებას?** სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კურსის სტუდენტების დიდი ნაწილი ძალიან გულგრილად ეკიდება მეცნიერების საქმეს და ენერგიას და ძალღონეს ანდომებენ მუშტიკრივებს; ლანძღვა-გინება, ერთმანეთისადმი უღიერი მოპყრობა, „არშიყობა“ და სხვ. ასეთი საზიზღარი მოვლენები მათ ზნე-ჩვეულებად გადაექცათ.

ყველა ამ უზგავსოებას ბოლო უნდა მოუღოთ.

სტუდენტი კომუნარი.

— **საჭიროა წითელი ცოცხი.** ცენტ. პარტსკოლაში სწავლობს ვინმე ანდრია შადური, რომელიც ამავე დროს მუშფაკის მსმენელადაც ითვლება. ეს ვაჟბატონი ამ ორ სასწავლებლიდან იღებს სტიპენდიას და არცერთში არაფერს არ აკეთებს. ბევრ მუშის და გლეხის ღირსეული და ნიჭიერ შვილს ერთი სტიპენდიაც არა აქვს. ეს აფერისტი კი ერთ და იმავე დროს სტიპენდიას ორი ადგილიდან იღებს.

როგორ მოგწონთ?!

პარტკურსანტი.

მუშათა ქრონიკა

სამეანო გინეკოლოგიურ ინსტიტუტში

— **ადგილკომის გადარჩევა.** ამ დღეებში მოხდა სამეანო გინეკოლოგიურ ინსტიტუტის ადგილკომის გადარჩევა, მოხსენება გააკეთა ამხ. აბრამოვმა წარსული 6 თვის მუშაობის შესახებ. ადგილკომის მუშაობა ჩაითვალა დამაკმაყოფილებლად.

— **მუშკოოპში ახალი წევრები ჩაეწერენ.** სამეანო გინეკოლოგიურ ინსტიტუტში მუშა-მოსამსახურეებიდან ჩაეწერენ მთლიან მუშათა კოოპერატივში წევრებად 50 კაცი.

— **გამოდის კედლის გაზეთი.** სამეანო გინეკოლოგიური ინსტიტუტის ადგილკომთან არსებული კულტკომისია უშვებს კედლის გაზეთს „ნემსი“-ს სახელწოდებით.

გაზეთი ფრიად შინაარსიანია.

— **შეშა არ მიუღიათ.** ვინაიდან სამეანო გინეკოლოგიურ ინსტიტუტში მუშა-მოსამსახურეებს არ მიუღიათ შეშა, ადგილკომმა შუამდგომლობა აღძრა ჯანმრთელობის სახკომისარიატის წინაშე, რომ დაჩქარებით მოახდინოს მუშებზე შეშის დარიგება.

— **შეძენილია 1.400 მანეთის ფართლეულობა.** სამეანო გინეკოლოგიური ინსტიტუტის ადგილკომმა მუშა-მოსამსახურეებისათვის შეიძინა 1.400 მანეთის ფართლეულობა.

— **დამხმარე სალარო.** სამეანო გინეკოლოგიური ინსტიტუტის მუშა-მოსამსახურეებს აქვთ დამხმარე სალარო, რომლის ძირითადი თანხა შესდგება 522 მანეთი და 43 კაპეიკისაგან. სალარო მუშებს უწევს მნიშვნელოვან დახმარებას.

რკინისგზის საუბნო კავშირში

— **ადგილკომის პასუხისგებაში მიცემა.** საუბნო კავშირის ორგთათბირმა დაადგინა: გადარჩეული იქნეს სად. ყარაიაზის ადგილკომი და ყოფილი ადგილკომის თავმჯდომარე იქნას პასუხისგებაში მიცემული.

— **კულტმუშაობის გამოსაკვლევად.** რკინისგზის უბნის კავშირის ორგთათბირმა დაადგინა; ყველა ადგილკომებში კულტმუშაობა განაწილდეს ჩვეულებრივ წესით, მხოლოდ შემდეგისთვის გამორკვეული იქნეს თუ რაგვარი კულტმუშაობა სწარმოებს ადგილკომებში.

— **ყველა ადგილკომებს.** უბნის კავშირის ორგთათბირმა დაადგინა ეცნობოს ყველა ადგილკომებს, რომ 1-ლ იანვრიდან მათ ევალებათ უშუალოდ აწარმოონ ხელისმოწერა გაზეთებზე, რისთვისაც მათ უნდა მიიღონ წინასწარი სათანადო ზომები.

ქრონიკა

— **გუშინ, 14 დეკემბერს,** თბილისის აღმასკომის პლენუმი არ შედგარა. სხდომა გადაიდო ხუთშაბათს 17 დეკემბრის საღამოს 6 საათისათვის.

თბ. აღმასკომში

— **ქუჩების შეკეთება.** წელს ქუჩების შეკეთებაზე აღმასკომმა დახარჯა 147,000 მან.

— **ახალი ბაღი.** თბილისის აღმასკომმა დაადგინა ლენინის რაიონში გააშენოს ახალი ბაღი.

— **ადგილობრივ გადასახადებიდან** თბილისის აღმასკომს წელს შემოუვა 943,158 მან.

შრომის სახალხო კომისარიატში

— **შრომის სტატისტიკა.** საქ. შრომის სახ. კომისარიატთან არსდება სტატისტიკური ქვე-განყოფილება.

— **5 წლის თავზე.** საქ. გასაბჭოების 5 წლის თავისათვის შრ. სახ. კომისარიატი საქ. პროფსაბჭოსთან ერთად სცემს კრებულს, სადაც, მოთავსდება კომისარიატის მუშაობის ანგარიში 5 წლის განმავლობაში.

— **შრომის კომისარიატმა** სასოფლო-სამეურნეო უფროს შრომის ინსპექტორად დანიშნა ამხ. გ. მიროტაძე.

დამზღვევ სალაროში

— **დამზღვევ სალარომ გადასწყვიტა** „განთავისუფლოს ადგილკომები დაზღვეულებისათვის ავადმყოფობის გამო მიცემულ ბიულეტენების შევსება-მიცემისაგან.

— **პროფსნეულების შესწავლა.** თბ. დამზღვევი სალარო ახლო ხანში იწვევს ყრილობას პროფსნეულების საკითხების შესასწავლად.

— **საზამთრო აგარაკებზე.** 1 იანვარს კობულეთში სამკურნალოთ გაიგზავნება დაზღვეულ ავადმყოფების მეორე წყება.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატში

— **მიწათმოქმედების კომისარიატის წინაშე** აჭარის სამეთლო სამმართველომ, თავის მუშაობის გასაცხოველებლათ აღძრა შუამდგომლობა 10 ათასი მან. გადადების შესახებ.

— **მოსავლიანი მიწები.** მიწათმოქ. სახ. კომისარიატის ცნობით ამ ჟამად საქართველოში ითვლება 720 ათასი დესეტინა სახნავ-სათესი მიწა.

— **სასოფლო-სამეურნეო იარაღები.** მიწათმოქმედების კომისარიატმა რაჭის აღმასკომს გაუგზავნა 4 ათასი მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

გლეხებისათვის

— **აგრო-დახმარების საქმის გასაფართოებლად** დუშეთის აღმასკომი იწვევს ორ აგრონომს დამატებით.

სახალხო მამულების ტრესტში

— **შუშხუნები.** სახ. მამულების ტრესტმა საზღვარგარეთ შეიძინა 10000 ცალი სეტყვის საწინააღმდეგო შუშხუნები.

— **საკავშირო ჩაის** სამმართველოს სახალხო მამულების ტრესტმა მიყიდა 1200 ფუთი ჩაი.

სხვადასხვა

— **ლენინის სახელობის ტეხნიკუმში.** აჭარაში მწვანე კონცხზე გაიხსნა ლენინის სახელობის აგრონომიული ტეხნიკუმი, რომელსაც გადაეცა 9 აგარაკი და 23 დესეტინა მიწა ბაღებით.

კრებები და მოხსენებები

— **ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებაში** დღეს სამშაბათს, 15 დეკემბერს, საღ. 8 საათზე საქართ. მუზეუმის საუდიტორიო დარბაზში მორიგ საჯარო სხდომაზე წაკითხულ იქნება მოხსენებები: 1. სიმ. ყაუხჩიშვილის მიერ „ბერძნულ სიტყვების ქართულად გადმოცემისათვის“ და 2. იუსტ. აბულაძის მიერ: „ვეფხის ტყაოსნის ერთ გაუგებარ ადგილის განმარტება“. შესვლა თავისუფალია.

— **განათლების მუშაკთა სახლში.** დღეს, საღამოს 5 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში შესდგება— პროფ. წრის მუშაობა—ამხ. ცინცაძის ხელმძღვანელობით. საღამოს 6 საათზე—ჭადრაკის წრე.

შემთხვევები

— **თავდასხმა.** 12 დეკ. ორთაჭალაში გიორგი გაროევს თავს დაესხნენ 3 შეიარაღებული ბოროტმოქმედნი, გაძარცვეს და დასჭრეს თავში.

— **ცეცხლი.** 12 დეკ. კახეთის ქუჩ. № 13 სახლს გაჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილი იქნა ცეცხლისმქრობელ რაზმის მიერ.

— **დაჭრა.** 12 დეკ. ნაშუადღევის 3 საათზე, ვერის დაღმართი დავითაიას სახელოსნოში გრიგოლ წოწორიამ რევოლვერით დასჭრა ლევან გულმამიძე.

— **შეპყრობა.** 8 დეკ. შეიპყრეს ქურდები დევიანცი და გაბრიელ მინიაშვილი.

— **ქურდობა.** 12 დეკ. მეტეხის შეს. № 4 გაქურდეს ტატულოვის სავაჭრო.

— 18 დეკ. ნიკოლოზის ქ. № 36 გაქურდეს კონ. ავახვერდოვის ბინა. ქურდები შეიპყრეს.

— ალექსანდროვის ქ. № 49 გაქურდეს თომა მჭედლიშვილის ბინა.

— 12 დეკ. ვაკეში გაქურდეს მჟღენარაშვილის სახლი.

— ამავე დღეს ვანქის ეკლესიის ეზოში გაქურდეს ოვანეს არუთინოვის ბინა. ქურდი ვართანოვი შეიპყრეს

საბჭოთა სასამართლო

მელქუმიანცის და რატიშვილის საქმე.

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში დაიწყო მელქუმიანცის და ქ. რატიშვილის საქმის გარჩევა.

აღნიშნულ პირებს დადებული ჰქონდათ ქალაქის მილიციის სამმართველოსთან ხელშეკრულება, რომლის თანახმად უნდა ჩაებარებიათ 5 ათასი ფუთი თივა. ერთ-ერთმა მათგანმა, სახელდობრ რატიშვილმა, მიიღო ამ საქმისათვის მილიციის სამმართველოდან ავანსი 600 მანეთის რაოდენობით. პირობა მათ არ შეასრულეს, რისთვისაც მიცემულ იყვნენ პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

სასამართლომ განიხილა მასალები და დაადგინა: რადგან აქ ადგილი არ ჰქონია სისხლის სამართლის ხასიათის დანაშაულს, საქმე შეწყვეტილ იქნეს.

ლორთქიფანიძის საქმე

14 დეკემბერს სასამართლომ მოისმინა გამოწვეულ ექსპერტების ზეპირი განმარტებები სხვადასხვა კითხვებზე.

ექსპერტებს სასამართლომ გადასცა სატყეო ტრესტის და შეშის ცენტრალურ საწყობის წიგნები და საბუთები, რომელთა მიხედვით მათ ევალებათ გამოარკვიონ სისწორით შეშის და თანხის დანაკლისი და წარუდგინონ სასამართლოს ამის შესახებ წერილობითი დასკვნა.

ექსპერტების დასკვნის მოსმენამდე სასამართლო გამოძიება შეწყდა. საქმის გარჩევა განახლდება ოთხშაბათს დილის 10 საათზე.

მელდიაშვილის საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. ბერკაძის თავმჯდომარეობით გაარჩია დიმიტრი მელდიაშვილის საქმე.

მელდიაშვილი იყო საქართველოს პოლიგრაფიული ტრესტის მე-3-ე სტამბის ადგილკომის პასუხისმგებელი მდივანი. თავისი პასუხისმგებლობა მან მხოლოდ მაშინ შეიგნო, როცა პასუხისგებაში იქნა მიცემული 761 მანეთის გაფლანგვისათვის.

სასამართლოში მელდიაშვილმა განაცხადა რომ მართალია ფული „შემომეხარჯა“, მაგრამ ვფიქრობდი ჯამაგირით დავფარავდიო.

სასამართლომ მელდიაშვილს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლით გამასწორებელ სახლში მოთავსებით.

ბიბლიოგრაფია

„ახალი წყარო“ საკითხავი წიგნი—156 გვ. „ნორჩ აჭარლებს“ კრებული 1.

შედგენილი გრ. გორგაძის მიერ. გამოცემა აჭარისტანის სახელგამის. 1925 წ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდის აჭარის ხალხის საკეთილდღეოდ თითქმის არაფერი კეთდებოდა. კულტურულად ის მეტად ჩამორჩენილი იყო. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაიხსნა მის კულტურულ შემოქმედებას ფართე ასპარეზი. ამ მხრით დღეს იქ დიდი მუშაობა სწარმოებს—განსაკუთრებით განათლების დარგში. დღეს აჭარას ყველაზე მეტად ესაჭიროება ფართე მასისათვის ადვილად გასაგები და ხელმისაწვდომი წიგნი. აი, სწორეთ ამ მიზნით აჭარისტანის განათლების კომისარიატთან არსებულ სახელმწიფო გამომცემლობას განუზრახავს გამოსცეს მთელი რიგი წიგნების, როგორც მოზრდილთათვის, ისე მოსწავლე ნორჩი თაობისათვის.

ერთ ასეთ წიგნაკს წარმოადგენს ამას წინათ გამოსული „ახალი წყარო“, მცირე კრებული „ნორჩ აჭარლებს“, შედგ. გრ. გორგაძის მიერ. წიგნაკში მოთავსებული მასალა დიდის ცოდნით და პედაგოგიური დაკვირვებით არის შერჩეული. მოთხრობების და ლექსების შინაარსი უმთავრესად აჭარის ცხოვრებიდან არის აღებული, დაწერილია მდაბიო, ლამაზი ენით.

თითქმის ყოველ მოთხრობას თან ახლავს საილიუსტრაციო სურათი, რაც წიგნაკს განსაკუთრებულ ინტერესს აძლევს. წიგნის ტირაჟი 5.000 ც. ფასი დღევანდელ პირობებში შედარებით იაფად უნდა ჩაითვალოს.

ვ. ბარელი.

წერილები სოფლიდან

ბრძოლა სახელწოდებისათვის

ცაიში (ზუგდიდის მაზ.)

ნათქვამია, ზოგიერთი ჭირი მარგებელია, მაგრამ ალბათ არავის გაუგონია, რომ ზოგიერთი სარგებელი საჭირალი ყოფილიყოს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ ასედაც ხდება ხოლმე.

სწორედ ასეთი ამბავი სჭირს ზუგდიდის მაზრის ერთ-ერთ თემს, ცაიშს. ამ სოფელს ბედმა გაუღიმა, შავი ზღვის რკინის გზა მის ფარგლებში გაივლის, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, მას ეს არ აკმაყოფილებს. როგორ იქნება, რომ რკინის გზის ლიანდაგმა მაინცა და მაინც თემის შუა გულში არ გაიაროს და მისი საყვირის ხმა თემაღმასკომის კანცელიარიის ფანჯარას არ აზანზარებდეს.

ჯერ იყო და ამ რკინის გზის გაყვანის ირგვლივ ერთი ორომტრიალი და უთანხმოება დატრიალდა ახლო მდებარე თემებში. ყველას უნდოდა და დღესაც სურს, რომ თუ თავის კუთხეში არა, საკუთარ სოფელში დაწესებულიყო, ან სადგური, ან ბაქანი მაინც. ამნაირათ, რომ გზის სამმართველოს ყველანი დაეკმაყოფილებინა, შავი ზღვის რკინის გზა ბაქნების და სადგურების განუწყვეტელ მძივს დაემსგავსებოდა. კუთხურ პატრიოტიზმა ფართეთ გაშალა ფრთები შავი ზღვის ლიანდაგის გასწვრივ.

ყველაზე უფრო ისახელა აქ თავი ცაიშელებმა. მათთვის არც რკინის გზის გეგმა არსებობდა, არც საერთო მიზანშეწონილობის მოსაზრებები. გინდა, არ გინდა, მატარებელმა ჩვენსკენაც უნდა გადმოუხაროსო. ამ ნიადაგზე თვით ცაიშლებსა და ამ თემშივე შემავალ ს. ცაცხვის მცხოვრებთა შორის დაუსრულებელი ბრძოლა და კინკლაობა იყო.

ზოგჯერ საქმე კეტებამდიც კინაღამ მისულა. დავის მთელ საგანს წარმოადგენდა, სად უნდა გაშენდეს რკინისგზის სადგური, ცაისში, თუ ცაცხვში. ეს ბრძოლა დღესაც არ დასრულებულა.

რკინისგზის სიმპატია უფრო ცაცხველებისკენ იხრება. არა იმიტომ, რა თქმა უნდა, რომ ცაცხველები ცაიშლებზე უკეთესი ბიჭები იყვეს, ამას მოითხოვს გზის ტეხნიკური პირობები. მაგრამ ცაიშლები არ სცხრებიან. ბრძოლა ეხლა სხვა ნიადაგზე გადავიდა.

საკითხი სდგას იმის შესახებ, თუ რა სახელი უნდა დაერქვას მომავალ სადგურს: „ცაიში", თუ „ცაცხვი". ხუმრობა საქმე ხომ არ არის, რომ რკინის გზა თემის ფარგლებში გადიოდეს და მას, რომელიღაც კუთხის სახელი ერქვას. ეს ხომ თემის სუვერენობის შელახვა იქნება, ეს ხომ ამცირებს მის ადმინისტრატიულ თავმოყვარეობას.

და აი, ეტყობა, ცაიშის ზოგიერთ ინტელიგენტებს იმაზე უფრო საჭირო საქმე ვეღარ მოუძებნიათ, რომ თავი დასდონ „მამულისათვის" და რათაც არ უნდა დაუჯდეთ? თემის ინტერესები არავის შეალახვინონ.

არის დაუსრულებელი მიწერ-მოწერა მაზრასთან, ან სადგური გადმოიტანეთ, არა და წარწერა მაინც შეგვინარჩუნეთ, ნუ მოგვსპობთ, ნუ გაგვანადგურებთ მთლიანათო.

ჯერ კიდევ არავინ იცის ვინ გაიმარჯვებს ამ ბრძოლაში. მაგრამ, როგორც არ უნდა იყვეს, კარგი კი იქნებოდა ამ საკითხის რაც შეიძლება მეტი დაჩქარებით გადაწყვეტა თორემ სარგებელმა ცაიშის თემს საჭირალი გაუჩინა, რომელიც თავის დაღს აჩენს სოფლის სხვა გადაუდებელ საჭიროებათა ზრუნვაზე.

ბიტუ.

ვნახოთ რა ზომებს მიიღებს მაზრაღმასკომი

(წერილი სენაკიდან)

29 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე სენაკის მუშათა კლუბში უნდა დადგმულიყო წარმოდგენა. ხალხი იკრიბებოდა; კლუბის სცენაზე წარმოდგენა იწყებოდა, რომ ამ დროს კლუბის დარბაზში შემოვარდა თავისი რაზმელებით სენაკის ცეცხლმქრობი რაზმის უფროსი ჩაჩიბაია და ლანძღვა გინება დაიწყო. მთვრალი ჩაჩიბაია ეცა კლუბის გამგე ი. კორტს და დაუწყო ცემა. ჩაჩიბაიას დაეხმარენ ნაჯახებით ხელში მისი რაზმელები და მუშათა კლუბში გაიმართა ცემა-ტყება. აღელვდა ხალხი. გამოიძახეს მილიცია, მაგრამ ვაი უბედურებას: მილიციიდან მოვიდა ბაზრის ზედამხედველი მიხა ნიკოლავა—ისიც ღვინით გალეშილი და ესეც აჰყვა ჩაჩიბაიას. მოინდომა კლუბის დალუქვა და დაბეჭდვა... არავის ყურადღებას არ აქცევდა... მათი საქციელი ზიზღს იწვევდა საზოგადოებაში...

თანამდებობის პირთა ასეთი უპასუხისმგებლობა ყოვლად დაუშვებელია. ვნახოთ რა ზომებს მიიღებს ამ ვაჟბატონების წინააღმდეგ მაზრის ხელისუფლება!

სენაკელი ურო.

„არამზადები" თუ არამზადობა?!

(წერილი სამტრ.)

კვირას, 29 ნოემბერს, აქაურმა დასმა წარმოადგინა შალიკაშვილის პიესა „არამზადები" (აფიშაში ასე იყო გამოცხადებული). პიესის შესრულებას, გარდა ჩვეულებრივი სისუსტისა, ახასიათებდა როლების უცოდინარობა, რის გამო ისედაც „წყალ გარეული ძმარი" საშინელ შთაბეჭდილებას ტოვებდა დამსწრეებზე. მე მაკვირვებს ლიტერატურული გამბედაობა იმ პიროვნებისა, რომელსაც ეს პიესა „გადაუკეთებია"!

ჯერ ერთი, რომ ამის უფლება მას არ ჰქონდა. მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, კი არ გადაუკეთებია, დაუმახინჯებია, რის გამოც აბდა-უბდა გამოსულია.

ერთი სიტყვით, ამ ე. წ. „პიესა"-ში ტიპების მთლიანობა დარღვეულია. სიუჟეტი დაკარგულია და მთლიანი უაზრობაა.

ასე, რომ ვალერიან შალიკაშვილის მშვენიერი პიესის „არამზადები"-ს ასე გადამახინჯება—მართლა არამზადობათ!.. უნდა ჩაითვალოს.

შემთხვევითი დამსწრე.

რა გააკეთა ჩვენმა აღმასკომმა

ქვემო-ჭალა, (გორის მაზ.)

თემის აღმასკომის უმთავრესი მუშაობა სწარმოებდა მიწის მოწესრიგების დარგში, რისთვისაც მან გამოიწვია მიწის მზომელი. მუშაობის დროს სოფელ კოდის-წყაროში აღმოჩნდა 90 დესეტინა ზედ-მეტი მიწა, რომელიც გადაეცა აღმასკომს. შეკეთებულია შრომის სკოლები, გზები, ბოგირები. თვით ქვემო-ჭალაში დაწყებულია წყაროს გამოყვანა, რომელზედაც გლეხობას გამოუჩენია გულგრილობა, და ამისგამო საქმე ჯერ-ჯერობით მოუთავებელია.

წარსული წლის განმავლობაში შეკეთებულია აღმასკომის სამსართულიანი შენობა. შეღებილია შენობის სახურავი. სკოლებისათვის შემდგარია შეშის დამზადების კომისია. რადგან ბაღები ცუდმდგომარეობაში იმყოფებოდენ, ისინი გაცემულია გლეხებზედ იჯარით. სწარმოებს წისქვილის შეკეთება.

სასოფლო სამეურნეო გადასახადი ჯერ-ჯერობით მძიმეთ შემოდის. შეტანილია სულ 970 მანეთი. ტყის მდგომარეობა თემში ძლიერ ცუდათაა. გლეხები უმოწყალოდ სჩეხავენ ტყეს. აღმასკომის მიერ მიღებული არის ზომები ტყის დასაცავად.

თემში ჯერ სდგას თავის სიმაღლეზე გლეხკომი, გარდა ერთი გლეხკომისა სოფ. იგრეთში, რომელსაც გამოწერილი აქვს ტრაქტორი. თემში მოეწყო ახალგაზრდობის სასწავლებელი.

საბჭოს კრებამ, რომელიც ამ დღეებში შესდგა, თემაღმასკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა. შემდეგ გამოყოფილ იქნა 7 კაცისაგან შემდგარი საარჩევნო კომისია და დაყოფილ იქნა თემი საარჩევნო პუნქტებათ.

ალ—შვილი

წერილებიდან

საგარეჯო (გარე კახ.)

ყური უნდა აეწიოს. აქ ცხოვრობს შეძლებული მეურნე ყარამან დარბაისელი, რომელსაც 300—400 ცხვარი ჰყავს და ოცდა-ათამდე მსხვილ-ფეხა საქონელი. სასოფლო-სამ. გადასახადს ის პირველ კატეგორიით იხდის. გლეხკომმა ასეთ სოფლის მეურნეს სიღარიბის მოწმობა მისცა, რომ მისი შვილები გაანთავისუფლონ სწავლის ფულის შეტანისგან. მაზრის გლეხკომმა ყური უნდა აუწიოს ჩვენს გლეხკომს ასეთი ცრუ საბუთის გაცემისათვის.

რადიო.

მანგლისი (თბილ. მ.)

საჭიროა ჭრა-კერვის სკოლა. აქაურ ქალებს ბევრი მოხსენებები და ლექციები მოუსმენიათ სხვადასხვა საკითხებზე. პრაქტიკულათ კი ბევრი არაფერი გაკეთებულა. მანგლისის გლეხ-ქალებს ჭრა-კერვის შესწავლის დიდი სურვილი აქვთ. თემაღმასკომმა საჭირო დახმარება უნდა აღმოუჩინოს მათ სკოლის გასახსნელათ.

მ. ფოცხვიშვილი.

ხ. მარანი (სენ. მ.)

ძველი გზით. ჩვენი თემის ს. მეორე ილორმა წელს დიდი ამბით იდღესასწაულა ეგრეთ წოდებული გიორგობა. აღსანიშნავია, რომ სხვებს ზოგიერთი კომუნისტებიც კი არ ჩამორჩა. მთელი დღე სოფელში ერთი ოროველა და მთვრალების ხმა-ჩახლეწილი სიმღერები გაისმოდა.

შპინდერი.

დიდი ჯიხაიში (ქუთ. მ.)

კოოპერატივებიც-კი ვერ შეეჩვიეს [illegible] შემოღებულია მეტრიული საზომები, მაგრამ აქაური კერძო ვაჭრები მას არ დაგიდევენ. თუმცა კერძო პირებს რა საყვედური ეთქმის, როცა აქაურ კოოპერატივშიაც ძველი გირებია ხმარებაში.

იასონ კაჭახიძე.

ცაიში (ზუგ. მ.)

თხები ფოსტაში. ფოსტა-ტელეგრაფის ადგილობრივი განყოფილება თხების სათარეშო დაწესებულებათ გადაიქცა. შენობის ნივანი სავსეა ამ ოთხფეხის განავლით და ირგვლივ შმორის სუნი სდგას.

ბიტუ.

ნატანები (გურია)

მოქეიფე მოხელეები. აქაურ ფოსტა-ტელ. განყ. გამგე ერმალო ჩიგოგიძე და თანამშრომელი რაჟდენ ბაბილოძე 30 ნოემბერს მთელი დღე დუქანში ქეიფობდენ. დაწესებულება კი კარებ გამოკეტილი იყო. მგზავრები ამით მეტად უკმაყოფილონი დარჩნენ.

ნატანებელი.

სართიჭალა (გარე-კახ.)

ვეხმარებით რემედასს. ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა დადგეს რევოლუციონური პიესა, რომლის შემოსავალიც გადაეცა რემედასს. წარმოდგენის დასრულების შემდეგ რემედასის მნიშვნელობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. დათუნაშვილმა. ხალხი მეტად კმაყოფილი დარჩა წარმოდგენით და მოხსენებით.

აკეთელი.

საპასუხო წერილები

„კომუნისტის" № 269 კორესპონდენტ „გაჯ-ს" მიერ მოთავსებულია შენიშვნა ს. წავკისის და ოქროყანის (კოჯრის თემი) შესახებ, სადაც წერილის ავტორი აღნიშნავს ხსენებულ სოფლებში წყლის უქონლობას და დასძენს, რომ გლეხები კვარტებზე უფრო ზრუნავენ, ვიდრე ყანებზეო. ამასთანავე კორესპონდენტი სწერს; მეთაური არავინაა, რომ სოფელს უხელმძღვანელოს და ეს საჭირბოროტო საკითხი მოაგვარონო.

მოგახსენებთ, რომ ს. წავკისში და ოქროყანაში წყლები საკმაოთ მოიპოვება. კორესპონდენტ „გაჯს" ალბათ კოჯრის რაიონის რომელიმე სხვა სოფელი ჰქონდა მხედველობაში, სადაც წყლის ნაკლებობას განიცდის გლეხობა. იმედია მომავალში აღნიშნული კორესპონდენტი უფრო ფრთხილათ მოეკიდება ფაქტების გაშუქებას, რომ ამით შეცდომაში არ შეიყვანოს, როგორც რედაქცია, ისე მკითხველი მასა.

შ. ი.

გაზეთ „კომუნისტის" რვა ოქტომბრის ნომერში მოთავსებული იყო ვრცელი წერილი: „ბებია დარია რუისიდან", სადაც დარია ბეჟანას ქალს ბრალი ედებოდა ქალებისათვის მუცლის მოწყვეტაში. კვლევა-ძიებამ გამოარკვია, რომ ამ ფაქტს ადგილი არ ჰქონია, რომ ბეჟანას ქალი კეთილსინდისიერი სოფლის საექიმო მუშაკია და წერილი აგებულია პირად უსიამოვნებების ნიადაგზე.

გორის მაზრის ჯანმრთ. განყ. გამგე:
გვერდწითელი.

სოფლის ქრონიკა

— **ბრძოლა საქონლის ჭირთან.** აჭარაში ამ დღეებში შესდგება ცენტრალური და სამაზრო კომისიები რქოსან საქონლის ჭირთან საბრძოლველათ.

— **გზის შეკეთება.** ქობულეთის სამაზრო აღმასკომმა დაამთავრა სოფ. დიდი-ჯამეს გზის შეკეთება 2 ვერსის სიგრძეზე.

— **სოფ. ბოდბეს** ზურაბიანთ უბნის გლეხებმა (ქიზიყი) გადასწყვიტეს თავისი ხარჯით გაიყვანონ წყალსადენი.

— **სოფ. ყულევის** გლეხკომის საქმიანობის გამოცოცხლების მიზნით ფოთის აღმასკომმა დაადგინა ადგილობრივ წარგზავნოს თავის წარმომადგენელი გლეხკომის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებათ.

— **სოფ. ყვიბის** გლეხებმა (ბორჯომის ხეობა) საკუთარი ძალღონით შეაკეთეს ყველა სასოფლო გზები.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ქალაქის რაიკომის ქალთა განყ. იუწყება: დღეს, 15 დეკემბერს, საღამოს 5 ნახ. საათზე, პროფკავშირების დიდ დარბაზში შესდგება **სადელეგატო კრება.**

დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე ყველა დელეგატებისა და ქალთა ორგანიზატორებისთვის.

— დღეს, 15 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, თბილ. კომ. ბინაზე შესდგება **თბ. კომ. სარევიზიო კომისიის სხდომა** სარაიონო სარევიზიო კომისიების წევრების თანადასწრებით.

— არსრაიკომი იუწყება: დღეს, 15 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, წითელ თეატრში შესდგება **კომპარტიის წევრებისა და კანდიდატების რაიონული კრება.**

დღის წესრიგი: ამხ. სვანიძის მოხსენება საქართ. კომპარტ. მეოთხე ყრილობის შედეგების შესახებ.

მდივნის მოვ. წითლიძე.

ღრმათ დამწუხრებულნი მეუღლე ეკატერინე, შვილები გიორგი, ტარასი, ნინო და მართა, რძლები მინანო და სოფიო შვილებითურთ, ოლღა კანდელაკისა შვილებითურთ, დისწული დიმიტრი ხვედაგურიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

ვასილი გიორგის ძე მანველიძის

უდროოთ გარდაცვალებას 839—1—1

რუსთაველის თეატრი დღეს, 15 დეკემბერს

დეზერტირკა

პიესა აზიანის.

ხუთშაბათს, 17 დეკემბერს

პირველად ამ სეზონში

ინტერესთა თამაში

ნ. 429 3-1

სახელმწიფო ოპერა დღეს, 15 დეკემბერს.

კარმენ

სანდრო ინაშვილის მონაწ.

ოთხშაბათს, 16 დეკემბერს

ქუმსიაშვილის დებიუტი

აიდა

ხუთშაბათს, 17 დეკემბერს

დემონი

სანდრო ინაშვილის მონაწ.

ნ. 406 3-2

საქართვ. პროფესიონალურ კავშირების გამომცემლობა

„შრომა"

შეუდგა პოპულიარულ ბროშურების გამოცემას მუშათა მოძრაობის სხვადასხვა საკითხების შესახებ.

პირველ რიგში გადაწყვეტილი აქვს გამოსცეს შემდეგი ბროშურები:

1. საკლუბო მუშაობა, 2. რა არის საურთიერთო დამხმარე სალარო, 3. მუშათა კოოპერაცია, 4. რა არის სატარიფო შეთანხმება და კოლექტიური ხელშეკრულება, 5. როგორ ხდება სამუშაოზე მიღება და მუშა-მოსამსახურის დათხოვნა, 6. მოზარდებისა და ქალთა შრომა, 7. ტეხნიკური სიფრთხილე და ბრძოლა უბედურ შემთხვევებთან, 8. რა არის შრომის ხელფასი და როგორ წესრიგდება იგი, 9. მუშის პროფესიონალური ჰიგიენა.

ზემოხსენებულ საკითხებზე ავტორებს შეუძლიათ წარმოადგინონ შრომები ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა გამომცემლობა „შრომა"-ში. მუშათა სასახლე № 17. ბროშურა არ უნდა აღემატებოდეს ორ-სამ ფორმას. მოწონებულ ბროშურის ავტორს მიეცემა სათანადო ჰონორარი.

ნ. 432 3—1

კინო აპოლლო კინო

მეორე კვირაა

გრძელდება

ჩვენება სურათის

ნიშანი Z ზერო

მთავარ როლში დუგლას ფერბენკსი

ჩქარა

ივეტტა

პოლლა ნეგრის მონაწილეობით

ნ. 433

მოითხოვეთ

[illegible]

[illegible]

„ანგო"

ყველგან მოწონებული

მოწონებულია მოსკოვის სანიტარულ ინსტიტუტის მიერ № 2727/ა.

სასინჯი კოლოფის ფასი 45 კაპ.

იყიდება ყველა საპარფიუმერიო საკოსმეტიკო მაღაზიებში.

6—6 ნ. 344

ხელისმომწერლებმა

ყოველგვარი ცნობებისათვის

უნდა მიმართონ

„კომუნისტი"-ს

მთავარ კანტორას

რუსთაველის პროსპექტი № 24

ტელეფონი № 10—49

აპოლლო
არტისტო
სოლეი

საუცხოვო სურათი

ნიშანი Z ზერო

დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით

პირველ სეანსის დაწყებამდე პარტერი—35 კ., ამფითეატრი—25 კ. 4 ადგილი—20 კაპ.

რიჩარდ ბართელმესი სურათში

ტრფობის ყვავილი

დავით გრიფფიტცის დადგმა სოლო—იაკობ ბროდსკი

ინდოეთის აკლდამა

3 და 4 სერია ერთად

მთავარ როლებში მია მაი, კონრად ვეიდტი, ლია დე პუტი

0—12 ნ. 324

ექიმი **ი. ი. ჭეიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი. ავადმყოფ. იღებს დილ. 8—9 საათ. და საღ. 6—7 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდი მთავრის ქუჩა).

ექიმი **ი. ა. შაფერ**

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება 2—3 საათ. და 6—8 საათ. კურსანტების ქ. (ყოფ. კადეტის ქ.) № 6, მესამე სართული.

უწყება

სამშაბათს, 15 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე

ს. კ. პ. ცეკას შენობაში შესდგება ცეკასთან

არსებულ

კოოპერატიულ კომისიის სხდომა

რომელზედაც დასწრება სავალდებულოა ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებისათვის:

1. მ. ტოროშელიძე. (ცეკავშირიდან)
2. კ. კაკაბაძე (წარმოკავშირიდან)
3. ახმეტელი (საქ. სასოფლო-სამ. ბანკიდან)
4. ფანცხავა (ს. პ. კ ს.)
5. გამყრელიძე ლევანი
6. ბოლქვაძე ვანო
7. თვარელიძე („ზაკტპოდან")

მოწვეულნი არიან აგრეთვე ამხ. ქუთათელაძე, მანჯგალაძე და და მგალობლიშვილი.

ს.კ.პ. (ბ) ცეკასთან არსებულ კოოპერატიულ კომისიის მდივანი ცაგარელი

ნ. 427 2-2

მოზარდთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"

(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.

0—38

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ლატარიის მომწყობი კომისია

აცხადებს, რომ თანახმად სრულიად საქართველოს ცაკის დადგენილებისა

ლატარია გათამაშებულ იქნება

ა. წ. დეკემბრის 31-ს. აგენტები ვალდებულნი არიან გაასწორონ ანგარიში (წარმოადგინონ გაყიდულ ბილეთების ფული და დააბრუნონ დარჩენილი ბილეთები) არა უგვიანეს ა. წ. დეკემბრის 24-სა. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ გაადახდებათ წაღებულ ბილეთების ღირებულება.

მისამართი: სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატი, ლატარიის კომისია. საპიორის ქ. № 30, მე-2 სართული.

3—1 652 კომისია.

1926 წ. პირველ იანვრიდან

საქ. პროფ. საბჭოს და სოციალურ დაზღვევის რესპუბლიკანურ სამმართველოს

ჟურნალი

„შრომა"

გამოვა ყოველკვირეულად

ჟურნალ „შრომა"-ში მოთავსებული იქნება პროფესიონალურ, მუშათა მოძრაობის, შრომის დაცვის, სოც. დაზღვევის, საზოგ.-პოლიტიკურ და ეკონომიურ ხასიათის წერილები და სხ.

ნ. 430 3-1

საქართველოს პროფესიონალურ კავშირების კოოპერატიული გამომცემლობა

„შრომა"

შეუდგა მუშათა ფართო მასებისათვის იაფ-ფასიანი ბიბლიოთეკის გამოცემას

პირველ რიგში იბეჭდება და გამოვა

მხატვრული ლიტერატურიდან

1. სურამის ციხე—დ. ჭონქაძე
2. სოლომონ მეჯღანუაშვილი—არდაზიანის
3. რჩეული ლექსები—დავითაშვილისა
4. ოვოდ—ვოინიჩის
5. სამეულ მაქიებელი—უ. სინკლერის
6. იმპერიალიზმის ულის ქვეშ—ჯეკ ლონდონის
7. კონოვ ლოვი—მ. გორკის
8. მეგოორები—მ. გორკისა

პოპულიარულ მეცნიერებიდან

9. როგორ და როდის გაჩდენ ადამიანები დედამიწაზე—რუბაკინისა
10. ქვეყნისა და სიცოცხლის წარმოშვება დედამიწაზე—პანოვისა
11. მეცნიერების მნიშვნელობა—ტიმირიაზევისა

შეკვეთების მიღება შეიძლება გამომცემლობა „შრომა"-ს წიგნისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში.

მისამართი: რუსთაველის პროსპექტი, მუშათა სასახლე № 17.

საზოგადო და პროფესიონალურ ორგანიზაციებს გამოცემები მიეცემათ შეღავათით. ნ. 431 3—1

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საქართველოს სახელმწიფო სპირტის სამმართველო

ყიდულობს პარტიობით ბოთლებს

კონიაკის, ლიკიორის (ბენედიქტინის) და არაყისათვის

სამმართველო მოთავსებულია ლენინის ქუჩაზე № 30

3—1 ნ. 434 ტელეფ. 3—53 11—06

Судебный исполн. Нарсуда 4-го района гор. Тифлиса

К. Потемковский

сим об'являет, что 19-го декабря, в 12 час. дня, в винном складе Георгия Хелашвили по Николаевской ул. № 9, им будет продаваться с 1-го публичного торга Карданахское белое вино 70 ведер в 2-х бочках, урожая 1924—1925 года, описанное за долг его, Хелашвили и оцепене для продажи с бочками в 180 рублей.

774 1—1

დაიკარგა დახლევეს სალაროს წიგნაკი გაცემული არაპირდაპირ გადასახადთა სექციის ადგილკომიდან კონსტანტინე ლევანის ძე გოშელაურის სახელზე. ჩ. გ.
840 1—1

დაიკარგა პროფკავშირის წიგნაკი № 1377 მოცემული აღმოსავლეთ ბუხარიის რესპუბლიკაში ქ. დუშამბეში ბეჟან გეგეჭკორის სახელზე. ჩ. გ.
841 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 56 ვ სილ ლუარსაბის ძე ლებანიძეს სახელზე, ჩ. გ.
832 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა და რეგისტრაციის ფურცელი ონისიმე იოსების ძე გიორგობიანის სახელზე, ჩ. გ.
830 1—1

დაიკარგა პირადი სამხედრო წიგნაკი და აღრიცხვის ბარათი ნიკოლოზ ზოსიმის ძე ინნაძის სახელზე, ჩ. გ.
829 1—1

დაიკარგა საპენსიო ფურცელი № 516, მარიამ გარაყანიძის სახელზე, ჩ. გ.
838 1—1

დაიკარგა წიგნაკი № 530 ცაცემული გორის პროფბიუროდან იოსებ სოლოღაშვილის სახელზე, ჩ. გ.
831 1—1

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 2509, პარმენ კორინთელის სახელზე, ჩ. გ.
828 1—1

დაიკარგა სალექციო წიგნაკი № 3812 გაცემული სახ. უნივერსიტეტიდან აკაკი ბოკუჩავას სახელზე, ჩ. გ.
834 1—1

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი ირტემ ანდრეს ძეს მაღრაძეს სახელზე, ჩ. გ.
837 1—1

დაიკარგა კომუნალური მეურნ. მიერ მოცემული საწევრო წიგნაკი № 4315, ტარასი სირაძის სახელზე, ჩ. გ.
833 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 380, ივლ. მ. გოგოტიშვილის სახელზე, ჩ. გ.
835 1—1

დაიკარგა მოწმობა № 1115, ალექსანდრე ტატიშვილის სახელზე, ჩ. გ.
836 1—1

სტამბა „ზარია ვოსტოკა"-ს საშუალუკიძის ქუჩა № 4